პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 6-81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან - 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ —ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- თავდასხმა პუბლიცისტ ნოვაჩინსკიზე ვარშავაში.
- ოსმალეთ - სპარსეთის მოლაპარაკება საზღვრების მოწესრიგების შესახებ.
- ოსმალეთის მთავრობამ აარ ძალა უცხოეთის ახალი(?) შეტანა ოსმალეთში.
- კანტონში დახვრიტეს 70 თმა გაკრეჭილი ქალი.
- უცხოელ მწერალთა წერილი.
- ამერიკის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.
- ურალის აღმოსავლეთ ქედზე აღმოჩენილია ქვა - ნახშირის ახალი ბუდობები.

კვირა, 25 დეკემბერი 1927 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 293 (2038)

ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე

დღეს უკეთებთ ჯამს სახალხო მეურნეობის საბჭოების ათი წლის მუშაობას, მუშაობას იმ საბჭოთა მრეწველობის მმართველობის ორგანოებისას, რომელიც მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობას უწევენ ხელმძღვანელობას.

განვლილი გზის შეფასება მთლიანად, გათვალისწინება ყველა იმ გამოცდილების, რომელიც ათი წლის განმავლობაში მივიღეთ მრეწველობის ახალ, საბჭოთა ნიადაგზე მოწყობის დარგში, შესრულებული მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეების შემოწმება, — ამაში მდგომარეობს დღევანდელი იუბილეს ამოცანა, მრეწველობის იმ დღესასწაულის აზრი და მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვიხდით ახლი. კიდევ უფრო ძნელი, მაგრამ დიადი განვითარების პერიოდის დასაწყისში.

10 წელი — მცირე დრო არ არის ყოველი სახელმწიფოს მრეწველობის ისტორიაში. ჩვენი ქვეყნისთვის ეს ათი წლის თავი მთელ ისტორიულ ეპოქას შეადგენს. იგი არა მარტო პრინციპიალურად ახალი თავია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ის ტემპი, რომელიც გვიჩვენა მრეწველობის განვითარებამ პროლეტარიატის დიქტატურის დროს, არის მრეწველობის ძლიერი აღორძინების ისეთი ნიმუში, რომელიც ჯერ კიდევ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. მცირე იყო მათი რიცხვი, ვინც ფიქრობდა, რომ ისეთი ცოტა ხნის განმავლობაში, როგორც არის მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის 6 წელი, შეიძლება მიუახლოვდეთ არა მარტო ომამდე არსებულ დონეს, არამედ კიდეც გაუსწროთ მას.

რაში მდგომარეობს იმის მიზეზი, რომ ცხოვრებამ გაამართლა ყველაზე უფრო ოპტიმისტური აზრები მრეწველობის განვითარების შესაძლებლობის შესახებ პირველ ათი წლის განმავლობაში?

ეს მიზეზები ასეთია: პირველი, შემოქმედებითი ენტუზიაზმის ის უდიდესი ძალა, რომელიც მუშათა კლასმა საქმით გამოიჩინა საწარმოო ურთიერთობის ახალ სოციალურ საფუძველზე გარდაქმნის დარგში. მუშათა კლასი თავისი საუკეთესო მოწინავე კადრების სახით შეიჭრა ჩვენი ვეებერთელა სამრეწველო ორგანიზმის ყველა კუნჭულებში და მან ამ ათი წლის განმავლობაში გამოიჩინა ისეთი შემოქმედებითი ენერგია, ისეთი თავგანწირვა, ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნება და სამეურნეო ფრონტზე გამარჯვებისადმი ისეთი ძლიერი მისწრაფება, რომელმაც ჩვენი კავშირი ხანმოკლე დროის განმავლობაში დააყენა მრეწველობის აღორძინებისა და აყვავების გზაზე. აი, ამიტომ ჩვენ პირველ რიგში ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების მიერ მიღწეული წარმატებანი მიღებულ იქნა, უპირველეს ყოვლისა, იმ მჭიდრო კავშირით, რომელიც ამ საბჭოებისა და მუშათა მასებს შორის დამყარდა მათი მოქმედების პირველსავე დღიდან, და იმის გამო, რომ მუშათა კლასი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიური დიქტატურის ორგანოების შექმნაში და მათ მუშაობაში.

მრეწველობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარტია და რომელიც მასებს ემყარებოდა, მთელი თავისი მუშაობა ჩაატარა მასების საშუალებით და ამ მასებიდან იღებდა თავისი აღორძინებისათვის საჭირო ძალებს. მუშათა კლასი თავისი ახალი ისტორიული პერიოდის მიჯნაზე კიდევ უფრო მეტად უნდა დაირაზმოს მრეწველობის ირგვლივ, ხოლო მრეწველობა კიდევ უფრო მაგრად უნდა დაუკავშირდეს პროფკავშირებს და მათში გამონახოს ძალები მომავალ სიძნელეთა გადასალახავათ.

როცა ვაფასებთ განვლილ გზას, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, მეორე გარემოება—ის, რომ თუ მრეწველობის თანდათანობითი გაფართოება გაცილებით უფრო წარმატებით მიდიოდა, ვიდრე დასაწყისში ვფიქრობდით, ეს მოხდა აგრეთვე იმის გამო, რომ ჩვენი სამეურნეო საქმიანობას საფუძვლად ედო გეგმიანობა. აქ ჩვენ საკმაოდ ვერ შევაფასეთ საბჭოთა წყობილების ყველა უპირატესობანი, სავსებით ვერ წარმოვიდგინა, თუ როგორი მძლავრი იარაღი გვქონდა სტიქიის ძლევისა და დამორჩილებისათვის. კიდევ მეტი, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გეგმიანობის მეთოდს სამეურნეო მშენებლობის პრობლემის გადასაწყვეტად პირველ ხანებში ყოველთვის არ ვაყენებდით და არ ვანხორციელებდით მრეწველობის მუშაკთა შორის. ბრძოლა პარტიზანობასთან და სტიქიის ყველა სხვა ფორმებთან დიდხანს წითელი ზოლივით ტარდებოდა მრეწველობაში.

ამ იარაღის მომარჯვებას ხელში ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ, ჩვენ ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ვსარგებლობთ ამ იარაღით მოხერხებულად, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვეჩვევით მას; ეს არის მეორე საწინდარი იმისი, რომ ახალ ათწლეულში საბჭოთა მრეწველობა შესძლებს პრაქტიკულად გადასჭრას პარტიის მიერ დასახული ამოცანა — არა მარტო დაეწიოს, არამედ კიდეც გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარებას.

უკანასკნელ წლებში მთელი სიგრძე - სიგანით წამოიჭრა ძირითად კაპიტალის აღდგენის პრობლემა, რამაც მრეწველობისაგან მოითხოვა მთელი მისი ძალების მიმართვა ტექნიკურ - საწარმოო ამოცანებისაკენ. თუ მრეწველობამ პრაქტიკულად დასვა დღის წესრიგში ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა, მსხვილ სოციალისტურ ინდუსტრიის შექმნის ამოცანა ახალ ტექნიკურ ბაზისზე, და შეუდგა მის გადაჭრას, ეს შესაძლებელი გახდა უმთავრესად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი კოოპერაცია დროზე დადგა ფეხზე და გამაგრდა, და მრეწველობამ დაბოლოს შესძლო, რომ ზრუნვა პროდუქციის მიწოდება ბაზარზე უშუალო მომხმარებლისათვის გადაეკისრებია კოოპერატიულ სისტემისათვის, რომელიც ენათესავება მას საერთო სოციალისტური მიზნებით. ბაზრის პროცესების მოწესრიგება საქონლის ბრუნვაში სოციალისტურ ელემენტების ხვედრითი წონის სისტემატიური ზრდის საფუძველზე, სავაჭრო ფუნქციებიდან საწარმოო ფუნქციების გამოყოფის პროცესის აშკარად დასახვა, სავაჭრო ფუნქციების გადასვლა სინდიკატებსა და კოოპერაციაზე და, დასასრულ, სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება მრეწველობისა და კოოპერაციის შორის, ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ დაეხმარა მრეწველობას დაეძლია ის ამოცანები, რომლებიც იდგა მის წინაშე განვლილ ათწლედში. ჩვენ მიერ განვლილ ეტაპის ეს მიღწევა აუცილებლად ყოველ მხრივ უნდა განვამტკიცოთ.

თავის მოხსენებაში მე-11 პარტიულ ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ უნდა შეუკავშირდეთ გლეხთა მასას, უბრალო მშრომელ გლეხობას და გავსწიოთ წინ, ბევრად უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროდ მთელი მასა ნამდვილად ჩვენ წამოგვყვება"-ო. „მაშინ — სთქვა მან — ეს მოძრაობა თავის დროზე იმდენად დაჩქარდება, რომ ამაზე ჯერ ოცნებაც კი არ შეგვიძლია"-ო. ეხლა, როდესაც ეს „მოძრაობის დაჩქარება" ფაქტად ხდება. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ეს გზა წარმოადგენს ერთა-ერთ გზას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სიმტკიცეს და მით მრეწველობის თანდათან განვითარებას? სამრეწველო საზოგადოებრივობის სისხლსა და ხორცში ამ ათი წლის განმავლობაში შევიდა იმის შეგნება, რომ სამრეწველო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო მშენებლობასთან. განვლილ ათი წლის ეს ძირითადი პოლიტიკური გაკვეთილი სავსებით შეითვისეს მრეწველობის ყველა მუშაკებმა და ს. მ. უ. საბჭოს პოლიტიკის ღერძს, ძირითად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ყველა სამრეწველო პრობლემებისადმი სახალხო - სამეურნეო თვალსაზრისით მიდგომა. სწორედ ამ გარემოებამ გააძლიერა მრეწველობის საჭიროებათა გარშემო პარტიის, საბჭოების და პროფკავშირების შეკავშირება და მათ მიერ მრეწველობისათვის სათანადო დახმარების გაწევა. ეს სახალხო მეურნეობის გეზი კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა აღიბეჭდოს თავიანთ დროშზე მრეწველობის მუშაკებმა ახალ ათწლედშიაც, ვინაიდან სოციალისტურ მრეწველობის წარმატებით წინსვლა, ინდუსტრიალიზაციის ძირითად პრობლემების გადაჭრა საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის უკრიზისო განვითარების ბაზისზე, შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ მრეწველობის შეთანხმებული მუშაობით სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგებთან. განვლილმა ათმა წელმა მიგვიყვანა ჩვენ ახალ პერიოდთან, რომელიც იქნება საბჭოთა სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონის მუდმივი ზრდის მომასწავებელი. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც წარმოადგენს მთელი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ღერძს, წინასწარ განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უდიდეს როლს და ამასთანავე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მას.

საჭიროა, რომ მრეწველობის ყველა მუშაკებმა გარკვეული წარმოდგენა იქონიონ ამ პასუხისმგებლობის სიდიდეზე და ყოველი ღონე იხმარონ, რომ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც სდგას მრეწველობის, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ დარგის წინაშე.

ვ. კუიბიშევი.

„პრავდა", 24 დეკემბერი.

წარსული შეცდომები არ უნდა განმეორდეს

(საბჭოთა არჩევნების გამო)

ამიერ - კავკასიის ცაკის დადგენილება ამიერ - კავკასიაში საბჭოთა არჩევნების ჩატარების შესახებ განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიის დაწყების და დამთავრების ვადებს 1928 წლის დეკემბერ-აპრილით. მაშასადამე, აუცილებელია ამ თავითვე შევუდგეთ ფართო ორგანიზაციულ ღონისძიებების გატარებას კამპანიის მოსამზადებლად. ეს ღონისძიებები ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში შემდეგს უნდა შეიცავდეს:

მოსამზადებელ მუშაობის ჩატარება ადგილებზე საბჭოთა წარსულ არჩევნების დროს დაშვებულ შეცდომების გამოსარკვევად და აღსარიცხავად, მომავალ კამპანიაში მსგავს შეცდომების თავიდან აცილების მიზნით; კამპანიის ჩასატარებელ საკალენდარო ნუსხის გამომუშავება. და აღრიცხვის ფორმების დაწესება, როგორც [illegible] კამპანიის, ისე თვით არჩევნების მსვლელობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების უმაღლესი ორგანოების დაბლა მდგომ ორგანოებთან კავშირს და ხელმძღვანელობას. ადგილებთან წესიერი ურთიერთობასა და მოსამზადებელი მუშაობის დროს რესპუბლიკების ცაკების მიერ ცოცხალ ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო არჩევნების თავის დროზე ჩატარება და გეგმის შესრულება, არამედ იმ შეცდომების თავიდან აშორებაც, რომელიც დაშვებული იქნა გასული წლის კამპანიის დროს და რომელმაც ჩვენი ამდენი ყურადღება მიიქცია.

გასული წლის ორგანიზაციულ ნაკლოვანებათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ძირითადი საბჭოების საარჩევნო კომისიის შემადგენლობის არასაკმაო ყურადღებით შერჩევა, რამაც აუცილებელი გახადა ასეთი კომისიების სრულიად გაუქმება და ხელახლა შედგენა ისეთი კომისიების, რომელნიც მოსახლეობის უმრავლესობის ავტორიტეტითაც სარგებლობდენ და კლასიურადაც სათანადო სიმაღლეზე იდგნენ.

მეორე ნაკლოვანება ის იყო, რომ საარჩევნო ინსტრუქციები შედგენილი იყო კლასიურ მოთხოვნათა ნაკლებ გარკვეული ფორმულიროვკით იმ პირთა მიმართ, რომელთაც საარჩევნო უფლება ქონდათ, ამიტომ ამ ინსტრუქციების ადგილებზე გამოყენების დროს ხდებოდა იმ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა, რომელნიც თავისი სოციალური ბუნებით საბჭოთა ხელისუფლებასთან ახლო დგანან და მისთვის თავდადებული არიან, სამაგიეროდ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო მიტმასნებულმა ელემენტებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

მესამე ნაკლოვანებას წარმოადგენდა ის, რომ კამპანიის პროცესში ღარიბი გლეხობის მოსაზიდათ და მის საბჭოთა გადარჩევის კამპანიაში ჩასაბმელად აღებულმა კურსმა ადგილობრივი მუშაკთა ყურადღება მოაშორა ამოცანის მეორე ნაწილს—ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხობასთან შეკავშირების საქმეს, ამიტომ საშუალო გლეხური მასა საბჭოებში ვერ იყო სათანადოთ წარმოდგენილი, ზოგიერთ ადგილებში საშუალო გლეხი განზე დარჩა, რამაც სრულიად გაამრუდა საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის მიერ აღებული ხაზი ღარიბი და საშუალო გლეხობის შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მათი გაერთიანებული მუშაობა პროლეტარული დიქტატურის განსამტკიცებლად.

დასასრულ, მეოთხე — ნაკლოვანებას წარმოადგენდა ქალების სუსტი მონაწილეობა არჩევნებში და ქალების ნაკლები წამოყენება საბჭოებში. ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ჯერ-ჯერობით საქართველოსა და სომხეთში ადგილები მეტისმეტად გაუბედავობას იჩენენ ქალების თავმჯდომარის და სხვა თანამდებობაზე წამოყენების საკითხში, მაშინ, როცა სწორედ ამ რესპუბლიკებში ქალი უფრო კულტურულია, ვიდრე აზერბეიჯანში, და აქ ქალს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ლენინის ანდერძი სახელმწიფო მმართველობაში ქალის მონაწილეობის შესახებ.

ამჟამად რესპუბლიკებში მიმდინარეობს ადგილობრივ მუშაკთა თათბირები საარჩევნო კამპანიის სამზადისის შესახებ. ამ თათბირებზე მკაცრი კრიტიკა უნდა გაუკეთდეს გასული წლის კამპანიის ორგანიზაციული ხასიათის ნაკლულოვანებებს და გამომუშავებული უნდა იქნეს პრაქტიკული ღონისძიებები, იმისათვის რომ მომავალი საარჩევნო კამპანიის დროს ეს ნაკლულოვანებანი არ განმეორდეს.

პარტიამ შეაფასა რა შარშანდელი არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა ამიერ-კავკასიაში, აღნიშნა შემდეგი მიღწევები: 1) მშრომელთა აქტივობის ზრდა არჩევნებში და ახალი საბჭოების შემადგენლობის შერჩევა, 2) პროლეტარიატის ხელმძღვანელობითი როლის გაძლიერება საბჭოებში, 3) საბჭოების მუშაობის გაცხოველება პროლეტარული დემოკრატიის საფუძველზე, 4) კულაკ - გლეხობის და ანტი-საბჭოთა ელემენტების ყოველგვარ ცდების მარცხი - ზეგავლენა მოეხდინათ კამპანიის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე, 5) ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის კავშირის განხორციელება და განმტკიცება, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად ავტორიტეტიანი საბჭოების შექმნა, რომელიც ძირითადი მშრომელ მასის ნდობით სარგებლობდა.

მომავალ არჩევნებისათვის ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად საარჩევნო კამპანიის მოსამზადებლად და ჩასატარებლად, ფართოდ უნდა სწარმოებდეს საბჭოების მიერ გასული წლის განმავლობაში შესრულებულ მუშაობის შეფასება და შემოწმება იმ პოლიტიკურ მიღწევების გაფართოებით და გაღრმავებით, რომელიც გასული წლის არჩევნებს შედეგათ მოჰყვა.

საჭიროა ყოველგვარი ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ ეს ამოცანები განხორციელებული იქნეს ბოლშევიკური შეუპოვრობით და გაბედულობით.

თ. გ.

საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების განახლების წინ

ნანკინის და მუკდენის მოლაპარაკება ურთიერთ შეთანხმების შესახებ

საარჩევნო რეფორმა გერმანიაში.-მასლოვ-ფიშერის ჯგუფის დამარცხება არჩევნებში

სპარსეთის მეჯლისის გარეშე საქმეთა კომისიამ უარყო პოლონეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება

საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება

პარიზი, 23 დეკემბერი. საფრანგეთ - საბჭოთა დაახლოების საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ფილიპოტო ეწვია საელჩოს, სადაც მას საუბარი ქონდა საფრანგეთ - საბჭოთა მოლაპარაკების, შესახებ, რომელიც დაიწყება დოვგალევსკის ჩამოსვლის შემდეგ.

ფილიპოტომ, გაზეთ „პტი ბლე"-ს თანამშრომელთან საუბარის დროს, აღნიშნა, რომ საბჭოთა საელჩოში მიღებულ ცნობების თანახმად, ძალაში რჩება რაკოვსკის მიერ წარმოდგენილი უკანასკნელი წინადადებანი. შემდეგ ფილიპოტომ განაცხადა:

„საფრანგეთის დელეგაციის პასუხი უახლოეს მომავალში გადაეცემა საბჭოთა საელჩოს. ვინაიდან რაც დრო გადის საფრანგეთისათვის არახელსაყრელი მდგომარეობა იქმნება, აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა მოწესრიგდეს საფრანგეთ - საბჭოთა ვაჭრობა — სავაჭრო ხელშეკრულების დადების გზით. რაც უფრო დავიგვიანებთ, მით უფრო ძნელი იქნება ხელსაყრელი პირობების მიღწევა, ვინაიდან საბჭოებს ბერლინში და ლონდონშიაც კი, მიუხედავად ურთიერთობის შეწყვეტისა, ხელს უწყობენ სავაჭრო გარიგებათა დადების დროს. არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზები არ არსებობს იმისათვის, რომ დოვგალევსკის ჩამოსვლისთანავე განახლდეს მოლაპარაკება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ". (ადს).

ერვეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

პარიზი, 23 დეკემბერი. ბელვილის თეატრში დანიშნული იყო გუსტავ ერვეს მოხსენება, რომელზედაც მხოლოდ პარიზის მე-20 უბნის ამომრჩევლებს შეეძლოთ დასწრება. პრესა ამ მოხსენების გამო იუწყებოდა, რომ „შექმნა რა ნაციონალისტური პარტია, ერვეს განზრახული აქვს თავისი კანდიდატურის წამოყენება მახლობელ არჩევნებში და ამიტომ მან გადასწყვიტა განაახლოს კონტაქტი მუშათა მასებთან"-ო. **მაგრამ მოხსენება დამთავრდა მარცხით. გამოჩნდა თუ არა ერვე ტრიბუნაზე, ათას ხუთასი მუშა ადგა ფეხზე და იმღერა ინტერნაციონალი.** ამის შემდეგ დარბაზში ასტყდა ისეთი ხმაურობა და ერვეს ისეთ „ხოტბას" ასხამდენ, რომ მან ერთი საათის განმავლობაში სიტყვის დაძვრაც ვერ მოახერხა.

მუნიციპალური მრჩეველი **ლიუკე** დამსწრეთ მოუწოდებდა წესრიგისაკენ და სთხოვდა მათ მიეცათ შესაძლებლობა ორატორისათვის გამოეთქვა თავისი აზრი. ამის საპასუხოდ ტრიბუნას დაუშინეს ლაყე კვერცხები და ფლაკონები მყრალი სითხით.

ერვემ კიდევ დაიცადა რამდენიმე ხანს უშედეგოთ და შემდეგ წავიდა ისე, **რომ ვერ მოახერხა დაეწყო თავისი სიტყვა.**

თვით ერვე გაკვირვებით აღნიშნავს თავის გაზეთ „ვიკტუარ"-ში, რომ ის არ მოელოდა თუ „ჩვენი სახელოვანი ფრანგი მუშები ამდენად არიან დატყვევებული კომუნისტების მიერ".

შენიშვნა: ერვე მიმდინარე საუკუნის დასაწყისში სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა და აწარმოებდა შეუპოვარ ანტი-მილიტარისტულ კამპანიას. მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მან რადიკალურად შეიცვალა პოზიცია და დაიწყო წმინდა იმპერიალისტური ხასიათის პროპაგანდა.

ერვე გაათრებულ კამპანიას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

„ჩინეთის გადასარჩენად"

პეკინი, 23 დეკემბერი. ჩჟანძოლინის რეაქციონურმა ჯგუფმა დელეგატები გაგზავნა ტიან - ძინში. დელეგაციის მიზანია გამოარკვიოს ზავის დადების შესაძლებლობა ნანკინის და მუკდენის ჯგუფს შორის. ჯგუფი აღნიშნავს, რომ „მას შემდეგ, რაც ნანკინმა ურთიერთობა გასწყვიტა მოსკოვთან, ნანკინის კამპანიას ჩრდილოეთის მთავრობის წინააღმდეგ, აზრი აღარ აქვს".

ჯგუფი ფიქრობს, რომ „მუკდენმა და ნანკინმა ერთად უნდა იმუშაონ ჩინეთის გადასარჩენად". (ადს).

მკვდრების ქალაქი

ლონდონი, 23 დეკემბერი. რეაქციონური „მორნინგ პოსტი"-ს კანტონელი კორესპონდენტი სწერს:

„კანტონი გადაიქცა მკვდრების ქალაქად. დახოცილი კომუნისტები საბარგო ავტომობილებით მიაქვთ სასაფლაოზე, სადაც მათ აწყობენ შტაბელებში სამ-ოთხ წყებათ. მკვდრები დაწყობილია ფილაქანების გასწვრივაც. ასეთია ბოროტი შურისძიება იმათზე, ვისაც დააბრალეს კომუნისტობა".

თეთრი ტერორის საშინელებანი

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. ამერიკის გაზეთები, უკეთებენ რა კომენტარიებს ჩინეთის ამბებს, უმეტეს შემთხვევაში გამოსთქვამენ ერთგვარ ეჭვს იმის გამო, რომ თეთრმა ტერორმა მიიღო მეტად საშინელი ხასიათი.

რეაქციონური პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა მოქალაქეების მოკვლით.

გაკრეჭილების სიკვდილით დასჯა

ბერლინი, 23 დეკემბერი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგს" მოჰყავს ცნობა გონკონგიდან, რომლის თანახმად კანტონში სიკვდილით დასაჯეს 76 თმაგაკრეჭილი ქალი. თმა გაკრეჭილი ქალების სიკვდილით დასჯა გრძელდება. (ადს).

საბჭოთა კონსულის გამომგზავრება შანხაიდან

შანხაი, 23 დეკემბერი. 24 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კონსული და საკონსულოს შემადგენლობა გაემგზავრა შანხაიდან გემ „სიშან"-ით. (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების რეგისტრაცია კანტონში

შანხაი, 23 დეკემბერი. გარეშე საქმეთა კომისარმა გუ-ტაი-ჩიმ ერთი კვირით გააგრძელა საბჭოთა მოქალაქეების რეგისტრაციის ვადა. (ადს).

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ლონდონი, 23 დეკემბერი. „უორკერ ლაიფის" (ინგლისის კომპარტიის ორგანო) ბრედფორდელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ მიტინგები, რომელსაც აწყობდა კომპარტია საფეიქრო მრეწველობის რაიონში მუშათა შორის კომპარტიის გავლენის გასაძლიერებლად, წარმატებით ჩატარდა. **საფეიქრო წარმოების მუშებში შემჩნეულია ლტოლვა კომპარტიისაკენ. კამპანიის დროს გავრცელებული იქნა 35 000 ფურცელი და 18 000 საქარხნო გაზეთი, რომელნიც განაწილებულ იქნა იორკშირის საფეიქრო რაიონის ყველა მნიშვნელოვან წარმოებებს შორის.** (ადს).

გერმანიის მრეწველების მემორანდუმი

ბერლინი, 23 დეკემბერი. გერმანიის მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს მემორანდუმი, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვენ საერთო საიმპერიო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას, აგრეთვე ხარჯების შემცირებას გერმანიის ცალკე სახელმწიფოების და ოლქებისათვის 1928 წ. და ფინანსთა მინისტრისათვის საპროტესტო უფლების მინიჭებას რეიხსტაგისაგან ბიუჯეტის გადიდებისა და დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის მოთხოვნის დროს. მრეწველები თავიანთ მოთხოვნილებებს ასაბუთებენ ყველა იმ დაბრკოლებათა დაძლევის აუცილებლობით, რომელნიც ხელს უშლიან წარმოების თვითღირებულების დაკლებას.

მრეწველები მოითხოვენ, რომ მრეწველობის რაციონალიზაციის შემდეგ ჩატარებულ იქნეს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია. ამ მიზნით ისინი ცდილობენ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე. (ადს).

შეკითხვა გერმანიის პარლამენტში

ბერლინი, 23 დეკემბერი. გერმანიის კომუნისტ დეპუტ. **შტრეკერმა** რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქციის დავალებით მთავრობას მიმართა შეკითხვით ამ დაბრკოლებათა გამო, რომელიც გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს საბჭოთა მუშათა დელეგაციისა და ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივნის კუკისათვის გერმანიაში შესვლის ნებართვის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ნოემბრის დასაწყისში.

უპასუხა რა შტრეკერს, რეიხსკანცლერმა მარქსმა პასპორტების გაცემაზე უარის თქმა დაასაბუთა პასპორტების გაცემაზე არსებული წესით, რომლის მიხედვით გერმანიის საზღვარზე გადასვლაში უარი უნდა ეთქვას მსურველთ იმ შემთხვევაში თუ ფაქტები ამართლებენ **წინასწარ მოსაზრებას, რომ მგზავრობა შეიძლება საზიანო იქნეს საზოგადოებრივ უშიშროებისა და წესრიგისათვის ან გერმანიის სხვა ხასიათის ინტერესებისათვის**". (ადს).

საარჩევნო რეფორმა გერმანიაში

ბერლინი, 23 დეკემბერი. გერმანიის უზენაეს სასამართლოს დადგენილება ჰამბურგის, მეკლენბურგ-სტრელიცის და ჰესენის არჩევნების გაუქმების შესახებ აღნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოების საარჩევნო კანონებში არსებული მუხლები, რომლებიც აძნელებენ წვრილ პარტიების მონაწილეობას არჩევნებში, ეწინააღმდეგებიან გერმანიის საერთო კონსტიტუციას. ამრიგათ, მომავალ ახალ არჩევნებში საკანდიდატო სიის წამოსაყენებლათ საჭირო არ იქნება არც ხელმოწერების განსაზღვ. რიცხვი და არც ფულადი საწინდარი. **საარჩევნო წესების ასეთი შეცვლა საშუალებას მისცემს ყველა წვრილ პარტიებს, მათ შორის მასლოვ-ფიშერის „ულტრა-მემარცხენე" ჯგუფსაც, არჩევნების დროს წამოაყენონ თავისი საკანდიდატო სიები. სასტიკი დამარცხების შემდეგ ალტონში ულტრა-მემარცხენეები არჩევნებში ცალკე სიებით არ გამოსულან.** ულტრა-მემარცხენეების ცდა მიმართული იქითკენ, რომ გაეყვანათ თავისი სიები ჰამბურგის არჩევნებში, დამარცხებით დასრულდა, ვინაიდან ამ სიებმა ვერ შეაგროვეს 3.000 ხელმოწერა, როგორც ამას მოითხოვდა კანონი. ულტრა-მემარცხენეები თავის დამარცხებას ამართლებდენ ადმინისტრატიულ და ფინანსიურ დაბრკოლებებით. ეხლა გერმანიის უზენაეს სასამართლოს დადგენილებასთან დაკავშირებით მათ ეს გასამართლებელი საბუთი ერთმევა.

პროფკავშირების მუშაობის შესახებ

(საკავშირო პროფსაბჭოს დირექტიულ წერილის გამო)

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინაშე სდგას გრანდიოზული ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ეს მოითხოვს მუშაობის ახალ მეთოდებს და უფრო სხვა მიდგომას. ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება ვერ მოხერხდება მარტო სამეურნეო ორგანოების მიერ. აუცილებლათ საჭიროა პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულ მასების აქტიური მონაწილეობა. ეს მონაწილეობა არ შეიძლება ამოიწუროს კავშირების უშუალო დახმარებით წარმოების გაუმჯობესების საქმეში. პროფესიონალური კავშირებისათვის მთავარი უნდა იყოს მუშათა მასების ორგანიზაციული დარაზმვა, მუშათა ახალ ფენებში კლასიური შეგნების შეტანა, მათი კულტურული დონის ამაღლება.

საბჭოთა პროფესიონალური კავშირებისათვის აღნიშნული ამოცანები არ არის ახალი. კავშირების მიმდინარე მუშაობა ამ ამოცანებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ მათი გადაჭრის დროს ახლაც არის დეფექტები. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭო თავის დირექტიულ წერილში მიუთითებს კავშირების მუშაობაში არსებულ დეფექტებს და აღნიშნავს, რომ, ახლა, როცა პროლეტარული დიქტატურის წინაშე სდგას ფრიად სერიოზული საკითხები, ეს დეფექტები უფრო საგრძნობი არიან და მათ შეუძლიათ მოიტანონ უფრო მეტი უარყოფითი შედეგები. წერილში აღნიშნულია მთელი რიგი მიღწევები, რომელნიც აქვს პროფესიონალურ მოძრაობას საბჭოთა კავშირში, მაგრამ ამასთანავე მეტი ყურადღება აქვს მიქცეული კავშირების მუშაობის არსებულ დეფექტებს. ის უმთავრესათ გამოიხატება შემდეგში: მასებთან დაახლოვების ლოზუნგის არა ენერგიული გატარება, მუშათა ყოფა-ცხოვრების და წარმოების წვრილმან საკითხებისადმი უყურადღებობა; პრაქტიკული და პასიური მიდგომა სამეურნეო ორგანოების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ზომებისადმი და ახალი მუშებისადმი მედიდური მოპყრობა და ნაკლები ყურადღების მიქცევა.

ფართო დემოკრატიის გატარებას ახლა უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. ბევრგან დემოკრატია გარეგნულ შეხედულებით ტარდება, ფორმით არის დაცული და არა არსებითათ. მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებისა წყდება მასების გარეშე. კავშირების ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათათ არიან წარმოებებში. ტარდება სხვადასხვა კამპანიები ხშირათ და ზერელეთ. ზოგან ადგილი აქვს საერთო კრებებისადმი მუშების პასიურ დამოკიდებულებას, რაც უმთავრესათ გამოწვეულია საერთო კრებებზე მუშებისათვის არა საინტერესო საკითხების დასმით. საერთო კრებების დადგენილებები ხშირათ არ მოჰყავთ სისრულეში. იქ, სადაც საწარმოებს ცვლით მუშაობა, საქარხნო კომიტეტი ყველა ცვლების მუშებს ვერ ემსახურება ერთნაირათ. მსხვილ წარმოებებში პროფმუშაობა საამქროებში ვერ არის დაყენებული.

წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვი იზრდება უმთავრესათ ახალი მუშების ანგარიშზე. ისინი სრულებით არ არიან გაცნობილი რევოლიუციამდე არსებულ ქარხნების მუშების ყოფა-ცხოვრებას, მათთვის უცხოა მუშათა კლასიური ბრძოლა და კლასიურ თვითშეგნებისაგან ისინი ჯერ კიდევ შორს არიან. კავშირების ამოცანას წარმოადგენს მათი ჩაბმა თავიანთ რიგებში, კულტურული დონის აწევა და კლასიური თვითშეგნების გაღვიძება. ახალი მუშების ჩაბმა უნდა ხდებოდეს ისეთ ფორმებში, რომ ისინი დაინტერესდნენ და იგრძნონ კავშირის რიგებში ყოფნის სარგებლიანობა.

კავშირის ორგანოების არჩევნების პრაქტიკაში უნდა იქნეს შეტანილი მთელი რიგი ცვლილებები, რომ უზრუნველვყოთ ყველა მუშების აქტიური მონაწილეობა არჩევნებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების ხელმძღვანელ პირების შერჩევას. ისინი უნდა იყვნენ მუშებისათვის ავტორიტეტული, შეეძლოთ მასების ხელმძღვანელობა და მუშების ინტერესების სათანადო დაცვა.

ყურადღება უნდა მიექცეს კავშირების ყრილობების მოწყობას, უნდა ხდებოდეს წინასწარი სამზადისი, მასალების წინასწარი დაგზავნა, ყრილობებზე დაზგის მუშების უფრო მეტი რიცხვის გაგზავნა, კავშირების ორგანოებში დაზგის უპარტიო მუშების არჩევა და სხვ.

სუსტათ ტარდებოდა კავშირების მიერ მუშების წამოყენება საბჭოთა ორგანოების სხვადასხვა საპასუხისმგებლო მუშაობაზე. ამ საქმეში არ იყო გეგმიანობა. წამოყენებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა საჭიროა ამ მხრივაც იქნეს გამოსწორებული დეფექტები და მუშათა წამოყენებას სისტემატიური ხასიათი მიეცეს. სატარიფო - საეკონომიო დარგში საკავშირო პროფსაბჭოს დირექტიული წერილი კავშირების ყურადღებას აქცევს შემდეგ საკითხებს: კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება, საწარმოო თათბირების მუშაობა, წარმოების რაციონალიზაცია, 7 საათის სამუშაო დღისათვის მომზადება, რეალური ხელფასის ზრდა ფასების დაკლებით და მუშათა კოოპერაციის გაძლიერება.

კავშირების კულტურულ მუშაობის დარგში საკავშირო პროფსაბჭოს დირექტიული წერილი აყენებს მთელ რიგ კონკრეტიულ ამოცანებს. მიუხედავათ ამ დარგში მთელ რიგ მიღწევებისა კავშირების კულტურული - განმანათლებელი მუშაობა ჩამორჩენილია მუშათა კულტურულ მოთხოვნილების ზრდასთან. კულტმუშაობის მნიშვნელობა არსებული პირობებში იზრდება, რამდენათაც წარმოების რაციონალიზაცია და მაღალ ტექნიკაზე გადასვლა ნაწილობრივათ დამოკიდებულია მუშათა კულტურულ დონეზე. წარმოების მაღალი ტექნიკა მოითხოვს მუშების უფრო მაღალ კულტურულ დონეს. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნეს მოწყობილი კავშირების კულტმუშაობა.

რამდენათ საბჭოთა კავშირი იმყოფება ომის საფრთხის წინაშე და გარემოცულია კაპიტალისტური ქვეყნებით, პროფესიონალურმა კავშირებმა უნდა აწარმოონ თავის წევრებს შორის სამხედრო პროპაგანდა და სამხედრო საქმის შესწავლა.

საკავშირო პროფსაბჭოს დირექტიული წერილი კავშირების ორგანოების წინაშე სვამს მთელ რიგ კონკრეტიულ საკითხებს, რომელნიც უმთავრესათ ეხება არსებულ დეფექტების გამოსწორებას. ეს დირექტიული წერილი ფრიად საყურადღებო არის. ის ყველას გასაგონათ ამჟღავნებს კავშირების მუშაობაში არსებულ დამახინჯებებს. მუშაობისადმი ასეთი კრიტიკული მიდგომა ხელს შეუწყობს ჩვენი საქმიანობის გაჯანსაღებას. პროფესიონალური კავშირების ადგილობრივმა ორგანოებმა ასეთივე კრიტიკული თვალსაზრისით უნდა გადასინჯონ თავიანთი მუშაობა.

ტომელი.

უკანასკნელი ცნობები

ლიტვინოვის წინადადებას იწონებენ

ლონდონი, 23 დეკემბერი. ყოფილი ფრონტელების მუშათა ლიგის გულლის ორგანიზაციამ ინგლისის პრემიერ ბოლდუინს გაუგზავნა ასლი თავისი რეზოლიუციისა, რომელშიც იგი იწონებს ლიტვინოვის წინადადებას საყოველთაო განიარაღების შესახებ (ადს).

კანონპროექტი მრეწველობაში უბედური შემთხვევების შესახებ

პარიზი, 23 დეკემბერი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი მრეწველობაში უბედურ შემთხვევების შესახებ.

შესწორება კომუნისტ დეპუტატის ფურნიესი, რომელიც მოითხოვდა მუშათა დროებით ან სამუდამო ინვალიდობის უფრო უკეთ უზრუნველყოფას, უარყოფილ იქნა (ადს).

კომუნისტების წინადადება უარყოფილია

პარიზი, 23 დეკემბერი. ბელგიის პალატამ უარყო კომუნისტების წინადადება სამხედრო სამსახურის ვადის ექვს თვემდე შემცირების შესახებ (ადს).

გადარჩენის იმედი არ არის

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. მშველელი ექსპედიცია შეუდგა ჰაერის ჩაშვებას წყალქვეშა ნავში, რომელიც პროვინსტოუნის რეიდზე ჩაიძირა. მაგრამ ნავში მყოფთა გადარჩენის იმედი აღარ არის (ადს).

მსოფლიო რეკორდი

რომი, 23 დეკემბერი. იტალიელმა მფრინავმა **დონატიმ** გაფრენის დროს, რომელიც მოხდა ოფიციალური მეთვალყურეობის დროს, მიაღწია 38.802 ფუტს. როგორც ამტკიცებენ იტალიაში, ეს არის მსოფლიო რეკორდი.

პოლონეთის ოხრანკის მორიგი პროვოკაცია

ვარშავა, 23 დეკემბერი. გაზეთ „აბც" იტყობინება, თითქო ოხრანკამ ვარშავაში აღმოაჩინა კომუნისტების სტამბა. გაზეთი აცხადებს, რომ ამის გამო ოხრანკამ დააპატიმრა 18 კაცი და გაჩხრიკა 40 ბინა (ადს).

პოლიციელთა შეურაცხყოფისათვის

რეველი, 23 დეკემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში მონაწილე ესტონელ მუშათა დელეგაციის წევრს—რიატსელს სასამართლომ მიუსაჯა ორი კვირით დაპატიმრება იმის გამო, რომ „მან შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის მოხელეებს".

ლოკაუტი ქაღალდის მრეწველობაში

სტოკჰოლმი, 23 დეკემბერი. შვეციის მწარმოებელთა კავშირმა 2 იანვრიდან ლოკაუტი გამოაცხადა ქაღალდის მრეწველობაში. ლოკაუტი ეხება 17.000 მუშას. (ადს).

შვეციის მემაღაროეთა მტკიცე პოზიცია

სტოკჰოლმი, 23 დეკემბერი. კონსერვატიული „ნიუა დაგლიტ ალეხანდა", უკეთებს რა კომენტარიებს მოლაპარაკების შეწყვეტას შვეციის მემაღაროეთა და მწარმოებელთა წარმომადგენლებს შორის, გაკვრით აღნიშნავს, რომ შვეციის მემაღაროეთა მტკიცე პოზიცია გამოწვეულია იმით, რომ ხელშეკრულება არსებობს შვეციის მემაღაროეთა და საბჭოთა მემაღაროების პროფკავშირს შორის. გაზეთი აცხადებს, რომ დახმარება, რომელიც საბჭოთა პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიათ აღმოუჩინონ შვეციის მემაღაროებს, არის სახელმწიფოებრივი დახმარება საბჭოთა კავშირის მხრივ (ადს).

ახალი კანონპროექტი პროფმოძრაობის შესახებ

ლონდონი, 23 დეკემბერი. „დეილი ჰერალდი"-ს მოჰყავს შინაარსი ავსტრიის პარლამენტში შეტანილ კანონპროექტისა „მრეწველობაში მორიგების და არბიტრაჟის შესახებ", რომელიც, გაზეთის სიტყვით, წარმოადგენს უფრო მკაცრ ზომას პროფმოძრაობის წინააღმდეგ, ვიდრე კანონი პროფკავშირების შესახებ, რომელიც ამას წინად მიიღო ინგლისის პარლამენტმა. ეს კანონპროექტი საარბიტრაჟო სასამართლოს აძლევს უფლებას მოხსნას პროფორგანიზაციების წესდების ყოველივე პუნქტი, თუ ვინიცობაა ეს პუნქტი სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა როგორც „უკანონო, ტირანიული და უგუნური".

უმუშევრობა ინგლისელ მემაღაროეთა შორის

ლონდონი, 23 დეკემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" აქვეყნებს მთელ რიგ ცნობებს ინგლისელ მემაღაროეთა სიღატაკის შესახებ, განსაკუთრებით, რონდის ოლქში. თავისი ცნობების დასამტკიცებლად გაზეთი ეყრდნობა ჯილეტის მოხსენებას კვაკერების კრებაზე. ჯილეტი აღნიშნავს, რომ მთავრობის ცნობიდანაც ჩანს, რომ ასეთი სიღატაკე, რონდის ოლქში, არ ყოფილა ამ 15 წლის განმავლობაში. სამხრეთ-უელსში უმუშევართა რიცხვი შეადგენს 60.000 კაცს, მათ შორის ჯილეტის სიტყვით, 30.000 კაცისთვის საეჭვოა სამუშაოს მიღება. მრავალი უმუშევრები აღარ იღებს დახმარებას უმუშევრობის და სიღარიბის გამო. (ადს).

„რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი"

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების სასამართლოს დადგენილებით კერენსკის მთავრობის ყოფილ წარმომადგენელს ბახმეტიევის ფინანსიურ აგენტს სერგეი უგეტს მიეცა 984.000 დოლარი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც გამოიწვია აფეთქებამ მეფის მთავრობის სამხედრო იარაღების დეპოში 1916 წ. თავისი სარჩელი უგეტმა წარადგინა, როგორც „რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელმა"; სახელმწიფო დეპარტამენტმა და სასამართლომ ის ასეთად სცნო. სასამართლომ უარჰყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ ვექილის წინადადება, რომ სასამართლოს დაენიშნა აღნიშნულ თანხის შემნახველი პირები, სანამ ამერიკა იცნობდეს რუსეთის მთავრობას.

როგორც იუწყებიან, უგეტი არაოფიციალურად დათანხმდა ამ თანხის ნაწილი შეიტანოს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების ხაზინაში იმ ვალების ანგარიშში, რომლებიც აიღო ამერიკაში კერენსკის მთავრობამ.

სპარსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება

თეირანი, 23 დეკემბ. სპარსეთის პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს ოსმალეთის მთავრობასთან ანგორაში ფორუგის მიერ წარმოებულ მოლაპარაკებას სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრების მოწესრიგების შესახებ, აცხადებს, რომ „ამ მოლაპარაკების დროს მიღწეულია უკვე ერთგვარი შეთანხმება". (ადს).

ს პ ა რ ს ე თ შ ი

კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმება სპარსეთში

თეირანი, 23 დეკემბერი. სპარსული გაზეთების ცნობით, საფრანგეთის, ბელგიის და უცხოეთის ზოგიერთმა სხვა მისიებმა შეატყობინეს სპარსეთის მთავრობას, რომ მათი მთავრობები თანხმა არიან გაუქმდეს კაპიტულიაციის რეჟიმი სპარსეთში. (ადს).

იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება

თეირანი, 23 დეკემბერი. რადგან სპარსეთის იუსტიციის მინისტრს დავერს სასამართლოს რეფორმის გასატარებლად მინიჭებული რწმუნებების ვადა გაუვიდა, მან მეჯლისს ახლად შემოღებული კანონები გააცნო და სთხოვა დაემტკიცებინა სამსხამართლო უწყების შენობათა შესაკეთებელი ხარჯები.

მეჯლისმა დაამტკიცა დავერის მიერ წარდგენილი ხარჯები.

სპარსეთის პოლიტიკურ წრეებში იმ გარემოებას, რომ მეჯლისმა დაუყოვნებლივ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა, თვლიან ნდობის დემონსტრაციად დავერის რეფორმისადმი, ხოლო უნდობლობად იმ დათმობების გამო, რომლებზეც მთავრობა წავიდა სამღვდელოების მიმართ.

პოლონეთ-სპარსეთის ხელშეკრულების უარყოფა

თეირანი, 23 დეკემბერი. სპარსეთის მეჯლისის გარეშე საქმეთა კომისიამ უარჰყო 19 მარტს დადებული პოლონეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება. კომისია მიზანშეუწონლად სთვლის უპირატესი უფლების მინიჭებას პოლონეთისათვის. (ადს).

ბიუჯეტი

თეირანი, 23 დეკემბერი. სპარსეთის ფინანსთა მინისტრმა მეჯლისში მიცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს აღნიშნა, რომ 1928 წლის ბიუჯეტი უდეფიციტო იქნება; ბიუჯეტის ჯამი უდრის 27 მილიონ თუმანს, მიმდინარე წელს კი 25 მილიონ თუმანს უდრიდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ წელს, მოლოდინის წინააღმდეგ სამხრეთი ნავთის კამპანიისაგან ხაზინაში შემოსულია 1.880.000 გირვანქა სტერლინგი, ე. ი. მთელი ბიუჯეტის მეოთხედზე მეტი.

დასასრულ მინისტრმა განაცხადა, რომ ახალი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში გათვალისწინებულია თანხები შაქრისა და ცემენტის ქარხნების ასაგებად, გემების შესაძენად და საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად.

ფინანსთა მინისტრის საპასუხოდ გამოსულმა დეპუტატმა რაჰიმ წინადადება შეიტანა, რომ დაჩქარდეს ნაციონალური ბანკის გახსნა.

გაზეთ „მახიდის" დახურვა

თეირანი, 23 დეკემბერი. მთავრობის განკარგულებით, დაიხურა რადიკალური სატირიკული გაზეთი „მახიდი", რადგან მან ირონიული შენიშვნა მოათავსა მთავრობისა და სამღვდელოების შეთანხმების გამო.

სპარსეთის პრესა სდუმს გაზ. „მახიდის" დახურვის შესახებ, მხოლოდ გაზეთმა „ტუფანმა" რბილად გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება. (ადს).

საქართველოს
ეროვნული

ამერიკის დელეგაციები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი. ნიუ-იორკში შესდგა მასიური მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა კავშირიდან ახლად დაბრუნებულ ამერიკის დელეგაციის წევრებმა. ორატორები ახასიათებდენ სოციალიზმის შენებლობას საბჭოთა კავშირში, აღტაცებას გამოსთქვამდენ საბჭოთა წყობილების მიმართ და უპირდაპირებდენ მას ამერიკის კაპიტალისტურ წყობილებას. დელეგაციამ განაცხადა, რომ ასეთსავე მოხსენებას წაიკითხავს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პუნქტებშიაც.

საბჭოთა კავშირში ამერიკის დელეგაციების მოგზაურობის შედეგები აშკარავდება მთელ რიგ გამოსვლებში. მაგალითად. სოციალისტ ჯეიმს მაურერ, საბჭოთა კავშირში ნამყოფ პროფკავშირების დელეგაციის თავმჯდომარე, ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში მოხსენებას კითხულობს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას შეერთებული შტატების მიერ. ორივე დელეგაციის წევრები მუშათა გაზეთებში აქვეყნებენ წერილებს, რომლებშიაც აღტაცებას გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირის მიმართ. პირველი დელეგაციის თანხლები ექსპერტები ტექნიკურ ჟურნალში ამზადებენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. ზოგიერთი ექსპერტები გამოვიდენ ბურჟუაზიული აუდიტორიის წინაშე და წაიკითხეს საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრული განწყობილების გამომხატველი მოხსენებანი. მათ მოათავსეს აგრეთვე წერილები ბურჟუაზიულ პრესაში (ადს).

ამერიკის მრეწველობის დეპრესია

ნიუ-იორკი, 23 დეკ. მიუხედავათ იმისა, რომ ვაშინგტონის მთავრობის ოფიციალური პრესა ქებას ასხამს ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების „აღორძინებას“, არის ფაქტები, რომელნიც აშკარავებენ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის დეპრესიას. უმუშევრობა და სილატაკე მშრომელთა შორის სისტემატიურად იზრდება. რამოდენიმე ათასი მუშა კარგავს სამუშაოს შუა ზამთარში. ნიუ-იორკში, ჩიკაგოში და ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სხვა დიდ ქალაქებში უმუშევრობა საგრძნობლად იზრდება. ჩიკაგოში ყოველდღიურად იზრდება საქველმოქმედო დაწესებულებებთან ულუფის მისაღებათ უმუშევართა კუდები. ახალი ინგლისის „ამოსკეაგ-მილის“ უდიდესი საფეიქრო წარმოებაში საშობაოთ მუშების ხელფასი შეამცირეს 10 პროცენტით. ამგვარივე შემცირება მოხდა სხვა საფეიქრო წარმოებებშიაც.

ძლიერი დეპრესია ემჩნევა აგრეთვე საავტომობილო მრეწველობას.

„ნიუ-იორკ-ტაიმსში“ მოთავსებულია წერილი სამრეწველო დეპრესიის შესახებ. წერილის ავტორი, რომელიც აღიარებს დეპრესიის არსებობას. ბრალს სდებს ფინანსთა მინისტრს მელონს და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს იმაში, რომ მათი განცხადება „აღორძინების“ შესახებ არის სიყალბე (ადს).

თავდასხმა პუბლიცისტ ნოვაჩინსკზე

ვარშავა, 23 დეკემბერი. ვარშავაში თავს დაესხნენ პუბლიცისტ ნოვაჩინსკის. ნოვაჩინსკისთან ქუჩაში მივიდა ორი უცნობი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი არიან პოლიციის აგენტები, წარუდგინეს მას პროკურორის ორდერი, დააპატიმრეს და ავტომობილით წაიყვანეს ქალაქს გარეთ. უცნობმა პირებმა ნოვაჩინსკი მიიყვანეს ტბის პირად, საშინლად სცემეს მას და უპირობდენ დახრჩობას, მაგრამ ვეღარ მოასწრეს, ვინაიდან გამვლელებმა გაიგონეს ნოვაჩინსკის ყვირილი და მიეშველენ მას. ნოვაჩინსკის მიყენებული აქვს ბევრი ჭრილობები; ერთ მის თვალს საშიშროება მოელის.

ხმები დადის, რომ ნოვაჩინსკიზე თავდასხმა გამოიწვია მისმა ფელეტონმა ნაპოლეონ მესამეს შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო „გაზეტა ვარშავსკა პორანნა“-ში. ამ ფელეტონში ნოვაჩინსკი ანალოგიას ატარებდა ნაპოლეონ მესამესა და პილსუდსკის შორის. (ადს).

უცხოელ მწერალთა ჯგუფის წერილი

მოსკოვი, 24 დეკემბერი. უცხოეთიდან კულტურული კავშირის საზოგადოებამ მიიღო წერილი იმ მწერალთა ჯგუფებისაგან, რომელნიც დაესწრენ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს. წერილში ნათქვამია. „საბჭოთა კავშირი არის საერთო სამშობლო იმ პირთათვის, რომელთაც კავშირი გაუწყვიტეს ძველ მსოფლიოსთან, აშკარად დაიწყეს ბრძოლა ახალი კაცობრიობის გამარჯვებისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირმა უკვე გაიმარჯვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში. ამიერიდან საბჭოთა კავშირი იქნება სიყვარულისა და ახალი ცხოვრებისადმი მისწრაფების კერა, იგი იქ ება ენერგიის წყარო, საითკენაც მიილტვიან ყველა მშრომელნი, რათა აქ აღიჭურვონ მხნეობით, რწმენით და იმედით. ბევრი რამ აშორებს ერთმანეთისაგან თქვენს გულწრფელ მეგობრებს, ძალიან ბევრი განსხვავება შეიძლება იყოს მათ რწმენაში, მაგრამ არავითარმა ძალამ არ უნდა დააშოროს ისინი ერთმანეთს. ერთ ძირითად პუნქტში: ისინი ხალ კლდესავით უნდა აღიმართონ და როგორც ერთი კაცი დადგენ საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე იმპერიალისტების წინააღმდეგ, სადაც არ უნდა იჩინოს თავი თავდასხმის ცდებმა იმპერიალისტების მხრივ. საბჭოთა კავშირი ჩვენთვის ძვირფასია მთელი მისი არსებით: ჩვენ ვამართლებთ მას ყველაფერში, მის ერთგვარ ძალადობასაც, რომელიც ნაკარნახევია აუცილებლობით. საბჭოთა კავშირი ჩვენ მიგვაჩნია საყვარელ დედად, რომელიც ჩვენი საყოველთაო პატივისცემის ღირსია. ჩვენ მისი მსაჯულები კი არ უნდა ვიყოთ, არამედ მას უნდა მივყვეთ და მოვიგერიოთ მის წინააღმდეგ მიმართული იერიშები. ჩვენ ეხლა გვეკალება დავანგრიოთ უცოდინრობისა და სიცრუის კედელი, რომელიც სურთ გარს შემოარტყან საბჭოთა კავშირს. ჩვენ მთელ მსოფლიოს კატეგორიულად უნდა განუცხადოთ ის, რაშიაც ჩვენ ეხლა ყველანი დავრწმუნდით. საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები თავგანწირულად იბრძვიან მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოთ“. (ადს).

ნევროპატოლოგ ფსიქიატრების ყრილობა

მოსკოვი, 24 დეკემბერი. დაიხურა ნევროპატოლოგ-ფსიქიატრების პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობის მუშაობამ ნათელ ჰყო, რომ ექიმთა საზოგადოებრიობამ წინ გაუსწრო ომის წინა ხანების დონეს. ყრილობამ სამეცნიერო მუშაკებს წაუყენა მთელი რიგი ამოცანები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ საზოგადოებრივი მუშაობის ფარგლებში შეიძლება. ასეთ ამოცანათა შორის ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბრძოლას ნარკომანიასთან, რომელიც ნერვიულ სულიერ დაავადებების მთავარი მიზეზია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებმაც. (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის მონაწილეობა უცხოეთის ბაზრობებში

მოსკოვი, 24 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გეგმა იმ ბაზრობებში, რომლებიც 1928 წ. გაზაფხულზე იმართება უცხოეთში. საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს ლეიპციგის, მილანის, ბრიუსელის და პარიზის ბაზრობებში. ირკვევა საკითხი საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ ბერლინის სასურსათო გამოფენაში და საფრანგეთისა და ესპანეთის ზოგიერთ ბაზრობებში. (ადს).

უცხოეთის კომუნალურ მუშაკების მოწვევა კომუნალურ მუშაკების საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი, 24 დეკემბერი. კომუნალური მუშაკების კავშირის ცკამ დაადგინა მოიწვიოს საფრანგეთის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის, ნორვეგიის, პოლონეთის; შვეიცარიის; დანიის; ბელგიის, ინგლისის, ინდოეთის, ჩინეთის და ოსმალეთის კომუნალური მუშაკების წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის კომუნალური მეურნეობის მუშაკების ყრილობაზე, რომელიც თებერვალში გაიხსნება. (ადს).

ამხ. ძერჟინსკის სახელობის წამქეზებელი პრემიები

მოსკოვი, 24 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა დაადგინა გასცეს ძერჟინსკის სახელობის წამქეზებელი პრემიები სამეურნეო-კვლევითი შრომისათვის პრაქტიკულ ქიმიაში. (ადს).

ქვანახშირის მადნები

მოსკოვი, 24 დეკემბერი. მიღებულია ცნობა, რომ ურალის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილია ქვა-ნახშირით მდიდარი რაიონი მადნებს უჭირავს 150 კილომეტრის სივრცე (ადს).

7 საათის სამუშაო დღის გასატარებლად.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 24 დეკემბერი. ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიის უდიდეს საფეიქრო ფაბრიკაში, სადაც 11.000 კაცი მუშაობს, დაიწყო მზადება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად. ფაბრიკაში ნაწილობრივ უკვე შემოღებულია სამ წყებათ მუშაობა. (ადს).

მანუფაქტურით მოვაჭრე სპეკულიანტების დაპატიმრება

დნეპროპეტროვსკი, 24 დეკემბერი. სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა მთელი რიგი სპეკულიანტების, რომლებიც მანუფაქტურით ვაჭრობდენ. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდა დიდძალი მანუფაქტურა, რომელიც ბაზარზე ცოტა იშოვება. ვაჭრებს ეს მანუფაქტურა შეძენილი აქვთ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციებიდან, საქონლის მისაღებათ რიგში მდგარ პირების საშუალებით.

სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ გამოარკვია, რომ სპეკულიანტები მანუფაქტურის ფასს 700 პროც. უმატებდენ.

არაჩვეულებრივი ყინვები

სიმფეროპოლი, 24 დეკემბერი. ყირიმში არაჩვეულებრივი ყინვებია. 23 დეკემბერს ღამით ტემპერატურა დაეცა 16 გრადუსამდე.

მიწისძვრა

სიმფეროპოლი, 24 დეკემბერი. 22 დეკემბერს იალტაში საღამოთი კვლავ ადგილი ჰქონდა მიწისქვეშა ბიძგებს. რომელთა ძალა უდრიდა 2 ბალს. (ადს).

საკავშირო ცაკ.ის საბიუჯეტო კომისიის პლენარული სხდომა

მოსკოვი, 24 დეკემბერი. 21 დეკემბერს შესდგა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენარული სხდომა საორგანიზაციო საკითხების შესახებ. საბიუჯეტო კომისია ბიუჯეტის შესადგენად აირჩია 10 მოსამზადებელი კომისია. მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდენ—თავმჯდომარეთ—ამხ. ორჯონიკიძე, თავმჯდომარის მოადგილეთ—ამხ. შმიდტი, წევრები—ამხ. ვეტოშკინი, ტერ-გაბრიელიანი და ფიმატნერი. (ადს).

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის

მოსკოვი, 24 დეკემბერი. შრომის სახალხო კომისარის ამხ. შმიდტის თავმჯდომარეობით შესდგა მთავრობის კომისიის პირველი სხდომა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად. კომისიამ გამოიტანა მთელი რიგი პრინციპიალური გადაწყვეტილებანი. რომლებიც წარედგინება ცაკსა და სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად. წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უნდა სწარმოებდეს მთავრობის კომისიის სპეციალური გეგმით დადგენილ წესის მიხედვით. საერთო გეგმის დამტკიცებამდე ცალკე წარმოებათა გადასვლა შემცირებულ სამუშაო დღეზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთავრობის კომისიის ნებართვით. სამრეწველო კომუნალურ საწარმოთა დამოუკიდებელი გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე. რაც ხდებოდა ზოგიერთ ადგილებში. კომისიის მიერ კატეგორიულად აკრძალულია.

ღიად დარჩა საკითხი ქალის შრომის დაშვების შესახებ ღამით იმ წარმოებებში. რომელთათვისაც შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე.

შრომის სახალხო კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა შეისწავლოს ეს საკითხი. მოზარდთა სამუშაო დღის შემცირება მოხდება იმ მუშების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შემდეგ რომლებიც ამჟამად 8 საათი მუშაობენ. კომისიამ დაადგინა დასტოვოს უცვლელად სამუშაო დღის ხანგრძლივობა ეგრედწოდებულ „მავნებელ“ წარმოებებში მომუშავეთათვის. რომლებიც, როგორც ვიცით. შემცირებული სამუშაო დღით სარგებლობენ.

1928 წლის 1 იენისისათვის მთავრობის კომისიის მიერ შედგენილ იქნება იმ წარმოებათა სია. რომლებშიაც 1928-29 წელში შემოღებული იქნება 7 საათის სამუშაო დღე. ყველა ახალმა წარმოებებმა. მათ შორის საკონსერვო და კერძომ. რომლებიც 1928-29 წლიდან ამუშავდება. უნდა შემოიღონ 7 საათის სამუშაო დღე.

საკითხი მიმდინარე სამეურნეო წელში საფეიქრო მრეწველობის მთელ რიგ წარმოებათა 7 საათის სამუშაო დღეზე და სამ წყება მუშაობაზე გადასვლის შესახებ განხილული იქნება კომისიის შემდეგ სხდომაზე. (ადს).

მრეწველობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენა

მოსკოვი, 24 დეკემბერი. საკავშირო ს.მ.უ.ს. საგეგმო ეკონომიურმა სამმართველომ შეიმუშავა დირექტივები სამეურნეო ორგანოებისათვის მრეწველობის განვითარების საპერსპექტივო გეგმის შესადგენად. მთელი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემცირებულ სამუშაო დღის თანდათანობით განხორციელებას.

ზედმიწევნით უნდა დამუშავდეს საკითხი წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ ცალკე მსუბუქ და ცალკე მძიმე ინდუსტრიის დარგებში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ დარგების მომგებიანობა და საწარმოო იარაღებზე ფასების მაქსიმალური დაკლება. (ადს).

საბჭოთა კავშირის რემედასის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 24 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის რემედასის ცკას პლენუმზე მოხსენება თეთრი ტერორის შესახებ გააკეთა ამხ. აბელმა. მოხსენებიდან სჩანს, რომ მიმდინარე წლის იანვრისა და სექტემბრის განმავლობაში მხოლოდ ჩინეთში მოკლულია 193.666 კაცი და სიკვდილით დასჯილა 10.551 კაცი. ამ რიცხვს ეხლა ემატება კიდევ კანტონში და მთელ სამხრეთ-ჩინეთში დახოცილი რევოლუციონური მუშები და გლეხები.

ევროპაში თეთრი ტერორი უფრო ძლიერია: ბულგარეთში იანვრისა და სექტემბრის განმავლობაში მოკლულია—330 კაცი, იტალიაში 181. ამავე თვეების განმავლობაში იტალიაში დაპატიმრებულია—8.654 კაცი, პოლონეთში—4.344 კაცი.

გარდა მკვლელობათა და დაპატიმრებათა, ბურჟუაზია ფართოდ მიმართავს ეკონომიურ ტერორს—წარმოებებიდან ითხოვს ყველა იმ მუშებს, რომლებიც შემჩნეული არიან, როგორც რევოლუციონური მოძრაობის მონაწილენი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ტროცკისტებს-დეზორგანიზატორებს ადგილი არა აქვთ ლენინის პარტიაში

(საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის დადგენილება)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა, ა. წ. 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა რა ქვემოჩამოთვლილ პირთა საქმე ფრაქციულ-ოპოზიციონური მუშაობის შესახებ. დაადგინა: გამორიცხულ იქნან საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც გაუსწორებელი ფრაქციონერ-ტროცკისტები, ლენინის პარტიის მთლიანობის დამრღვეველნი:

თალაკვაძე სევასტი მოსამსახურე, პარტიის წევრი; ოკუჯავა ნინა—მოსამსახურე. პარტიის წევრი; დონაძე ვასილ—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ბობოხიძე ალექსანდრე—მოსამსახურე, პარტ. წევრი: ოუდინი ვლადიმერ—მუშა, პარტ. წევრი; მორთქი იული—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ხოლოვიანი მუშეგი—მოსამსახურე. პარტიის წევრი; იბრაგიმოვი იბრაგიმ—სტუდენტი. პარტიის წევრი; ბოჭორიშვილი სერაფიონ—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ჩხაიძე დოროთე—მოსამსახურე, პარტიის კანდიდატი: იმნაიშვილი სევერიანე—გლეხი, პარტიის კანდიდატი; ნადირაშვილი ნიკოლოზ—გლეხი. პარტიის კანდიდატი; ლობჟანიძე ლუარსაბ—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ესიაშვილი ილია—მოსამსახურე, პარტიის წევრი; კიკვაძე გიორგი—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ვაჩაძე ნესტორ—მოსამსახურე, პარტიის წევრი; წიწიშვაძე ვასილ—მოსამსახურე, პარტიის წევრი; ბერიაშვილი ზაქარია—მუშა, პარტიის წევრი; უსანეთაშვილი გიორგი—მუშა, პარტიის წევრი; გვარამია აფო—გლეხი, პარტიის წევრი: გაბუნია მიხეილ—მოსამსახურე, პარტიის წევრი.

ზემოჩამოთვლილ პირთ წინადადება ეძლევა ერთი კვირის განმავლობაში ჩააბარონ პარტორგანიზაციას პარტიული მანდატები.

საქ. კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი.

სტოვებენ ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა ყოფილ ოპოზიციონერთა: ამხ. ვალიკო იმნაძის, შალვა ჩხეიძის, და გრიგოლ ბეგიჯანოვის განცხადებები.

ამხ. იმნაძე (პარტბილეთი № 0855494) აცხადებს: „ერთი წლის განმავლობაში ოპოზიციაში ყოფნის დროს მე ვადევნებდი თვალს ოპოზიციის ყოველივე ნაბიჯს. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის მუშაობა მიმართულია პარტიის მთლიანობის და მისი ბოლშევიკური ცეკას წინააღმდეგ. საბოლოოდ ვემიჯნები რა ოპოზიციას, მოუწოდებ ყველათ, ვინც ჯერ არ ჩამოსცილებია ოპოზიციას და ვისთვისაც ძვირფასია პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოშორდენ ოპოზიციას და დაუბრუნდენ პარტიას“.

„ვხსნი რა ჩემ ხელის მოწერას „83“ განცხადებაზე და ოპოზიციის პლატფორმაზე, სწერს თავის განცხადებაში ამხ. შ. ჩხეიძე (პარტიული სტაჟი 1918 წლიდან, პარტბილეთი № 0864845) მე ვაცხადებ. რომ მთლიანად ვიზიარებ მე-15 პარტიული ყრილობის ყველა დადგენილებებს და გავატარებ მათ ცხოვრებაში. ამასთანავე ვაცხადებ. რომ მე არასოდეს არ მიწარმოებია ფრაქციული და არალეგალური მუშაობა, რადგან ვთვლიდი ასეთ მუშაობას პარტიისათვის მიუღებლად და საზიანოდ“.

ამხ. გ. ბეგიჯანოვი (პარტიის კანდიდატი საკანდიდატო ბარათი № 20586) თავის განცხადებაში აღნიშნავს ფრაქციულ მუშაობის უდიდეს ზიანს, რომელიც ხელს უშლის პარტიას მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს სააღმშენებლო ამოცანების შესრულებაში“.

„ამ რიცხვიდან, სწერს ამხ. ბეგიჯანოვი მე ვსწყვეტ ოპოზიციასთან იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს, ვხსნი ჩემ ხელმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან და ვუბრუნდები საკავშირო კომპარტიის (ბ) შემჭიდროებულ რიგებს“.

შორდებიან ტროცკისტულ პარტიას

საქ. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტში შეტანილია შემდეგი განცხადება:

„ჩვენ ქვემომოხსენებული ამხანაგები ვეკუთვნით ს. კ. პ. (ბ) ოპოზიციას და ვაწარმოებდით ფრაქციულ აქტიურ მუშაობას ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ. მე-15-ტე პარტყრილობის მოახლოვებისას და მანამდეც ჩვენი მუშაობა სცილდებოდა ლენინურ პარტიის წესდების ფარგლებს.

გულწრფელად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი თავაშვებული ანტიპარტიული მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათზე აყენებდა მესამე ძალას.

ჩვენ უკვე ვგრძნობდით, რომ 7 ნოემბრის დემონსტრაციამ გამოააშკარავა ოპოზიციის ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა საქმიანობა.

მიუხედავად ოპოზიციის მრავალ დაპირებებისა. ის მაინც არ მიდის პარტიასთან შეთანხმებაზე და ამრიგად ემზადება მეორე პარტიის შექმნისათვის. ეს კი ლენინურ პარტიაში ჩვენ კვლავად დაუშვებლად მიგვაჩნია. ვცნობთ რა ოპოზიციის ყველა ნაბიჯებს დამღუპველად პარტიისათვის, ჩვენ ოპოზიციასთან ვწყვეტთ, როგორც იდეოლოგიურ, აგრეთვე ორგანიზაციულ კავშირს და სავსებით ვემორჩილებით პარტიულ მასების ნებისყოფის გამომხატველ ლენინურ მე-15-ტე პარტყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს. ჩვენ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, ენერგიას და ცოდნას მოვახმარებთ პარტიის მთლიანობას და დაუნდობელ ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ამას ხანავე დავძენთ, რომ ჩვენ სრულიად შეცდომათ მიგვაჩნია „83“-ის განცხადება, ამიტომ ვხსნით ჩვენს ხელისმოწერას ამ განცხადებაზე“

1. სამსონ ისიდორეს ძე გოგოლაშვილი, 2. ვარლამ მიმინოშვილი, 3. ევგრაფი ზოსიაშვილი, 4. სევერიანე შავგულიძე, 5. სამსონ მერკვილაძე, 6. პიმენ გოგოლაშვილი, 7. გიორგი სანებლიძე, 8. მიხეილ ილარიონის ძე გელოვანი, 9. სარდიონ ზოსიმეს ძე ფირცხალავა.

ვგმობ ოპოზიციას

(ყ. ოპოზიციონერ ამხ. ანანია მშვიდობაძის წერილი საქ. კომპარტიის გურკომს)

მე, საქ. კ. პ. (ბ) პარტიის წევრი 1916 წლიდან, ანანია მაქსიმეს ძე მშვიდობაძე, როგორც ოპოზიციონერი, დღემდე ვაწარმოებ ოპოზიციონურ ფრაქციულ მუშაობას ლანჩხუთის ორგანიზაციაში ყოფ. პარტიის წევრ პარმენ ცინცაძესთან ერთად. ჩვენმა მუშაობამ მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ სრულებით ჩამოვშორდით პარტიის ხაზს, და გადავეჩეხეთ ტროცკიზმში. ტროცკიზმი მუდამ ეწინააღმდეგებოდა ლენინიზმის ძირითად პრინციპებს და დღეს ის უკვე აშკარა ბრძოლით შეუტია ბოლშევიკურ მთლიანობის დარღვევას. მდგომარეობა ისეთია, რომ ამ უკანასკნელად არსებობს არა მარტო ფრაქცია, არამედ მეორე ტროცკისტული პარტია.

საჭიროა თვითეულმა ჩვენთაგანმა კრიტიკის თვალით მოიხედოს უკან, თუ რას ვაკეთებდით ჩვენ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. ყველა ობიექტიურად მოაზროვნე ოპოზიციონერი მივა იმ დასკვნამდე, რომ მას მოუძღვის უდიდესი დანაშაული პარტიის წინააღმდეგ. ძნელია აღნიშნა ყველა იმ უმსგავსო და ანტიპარტიულ საშუალებების, რომელსაც ჩვენ მივმართავდით პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ვიმეორებ, საჭიროა ამხანაგები ოპოზიციიდან ღრმად ჩაუკვირდენ თუ რას აკეთებენ ისინი და, სანამ გვიან არ არის. დადგენ ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე. კავშირი გასწყვიტონ ტროცკისტულ ოპოზიციასთან და გვერდში ამოუდგენ ბოლშევიკურ ცეკას. რაც შეეხება მე, უნდა განვაცხადო, რომ ვემიჯნები ოპოზიციას და ვხსნი ჩემს ხელმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან. დღეიდან მთელი ჩემი ენერგიით ვიბრძოლებ პარტიის მთლიანობისათვის.

ანანია მშვიდობაძე.
პარტიის წევრი 1916 წლიდან.

როგორ „მუშაობდა“ ოპოზიცია ქუთაისში

დაახლოვებით ამ ერთი თვის წინად მე საბოლოოდ დავტოვე ოპოზიციის რიგები. ჩემი პარტიული მოვალეობის მიხედვით საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი რამ: ოპოზიციის მოღვაწეობა ქ. ქუთაისში უმთავრესად გამოიხატებოდა ცენტრიდან, ე. ი. თბილისიდან ლიტერატურის მოწოდებაში, ოპოზიციონურად განწყობილ პარტ-წევრების დაჯგუფებაში და კავშირის გაბმაში ამა თუ იმ უჯრედთან, რომელიმე წევრის დამუშავებით. ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა ყოველდღიურად დაწესებულებაში შეხვედრის დროს, ან და საღამოობით ქუჩაში შეხვედრის დროს. ასეთი დირექტივა, რამდენადაც მე ვიცი, ვერ იქნა შესრულებული სრულიად, რაც აიხსნება პარტორგანიზაციების ფხიზელი მუშაობით და სალი ხელმძღვანელობით.

რაც დრო გადიოდა, ვრწმუნდებოდი, ოპოზიციის შეხედულებათა სიყალბეში. სხვათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: ამ ბოლო ხანებში თბილისიდან გვატყობინებდენ, რომ ოპოზიციის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე წარსულში. მხოლოდ საჭიროა მეტი ინტენსივობით მუშაობა, ოპოზიციის მჭიდრო ორგანიზაციული კავშირით და სხვა. ასეთ განმარტებებს მეც მომცა თბილისში ყოფნის დროს დავით ლორთქიფანიძემ.

დაახლოვებით თვე და რიცხვი აღარ მახსოვს, ვფიქრობ ეს ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო, მოდის ცნობა, რომ ამხ. კოლია ოკუჯავა, სარგებლობს რა ის წყალტუბოს კურორტზე ყოფნით, ჩამოვა ქუთაისში და გააკეთებს მოხსენებას. მხოლოდ საჭიროა კონსპირატიული ბინის მოძებნა და შეჯგუფება 100 პროცენტიანი ოპოზიციონერებისა. მე სამსახურის საქმეებით ძალზე დატვირთული ვიყავი. ამ საკითხის მოგვარება იკისრა ალექსანდრე გიორგობიანმა და ვალოდია კალანდაძემ. ბინათ შერჩეული იქნა ამხ. გ. იამანიძის მშობლების სახლი (გორაზე). საღამოს 9—8 ნახ. საათი იქნებოდა შევიკრიბეთ 12—13 კაცი, სახელდობრ: ს. ვაშაყმაძე, გიორგი იამანიძე, ილია მაჭავარიანი, სპირიდონ ფოფხაძე, ალექსი გიორგობიანი, კონსტანტინე რუსაძე, ვანო ასათიანი, სამსონი გოგოლაშვილი, ყრუაშვილი (საბურთალო ქარხანა) და ვასილ გურულაშვილი.

ეთქვით თუ ვინიცობაა, ვინმე შემოგვესწრო, ვსთქვათ, ამხანაგურ მაგიდაზე პურ-ღვინოთ შევსხედითო, რომლის მომარაგება დაივალა ამხ. იამანიძემ.

კრებაზე გამოცხადდა კოლია ოკუჯავა და დაიწყო მოხსენება (კრების ხელმძღვანელად დამსახელდენ მე და მაჭავარიანი). მოხსენებას თემა იყო ორგანიზაციული ხასიათის. სახელდობრ: ოპოზიციის მუშაობა-საქმიანობა და ც. კ. წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. მომხსენებელმა ილაპარაკა 2 საათამდე. მან მიგვათითა თუ რა ღონისძიებანი და საშუალებანი უნდა იქნას გამოძებნილი უჯრედებში ერთგვარი ჩვენი გავლენის შესაქმნელად და აღნიშნა, რომ ჩვენ ცეკას ხაზის წინააღმდეგ ყველგან გამოვალთ აშკარად, ხოლო ასეთ კრებებზე როგორიც დღეს გვაქვს და ლიტერატურის მიღება-გადაცემაზე სრული კონსპირაცია უნდა დავიცვათო.

მსჯელობების შემდეგ გამოყოფილი იქნა ხელმძღვანელი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ი. ვაშაყმაძე, ს. ფოფხაძე, ს. მაჭავარიანი ს. გოგოლაშვილი და ყრუაშვილი. ბიუროს ქონდა დავალებული ოპოზიციონური ლიტერატურის გავრცელება, კავშირის გაბმა ოპოზიციონერებს შორის და საერთო ხელმძღვანელობა. უნდა ითქვას, რომ ბიურო არც ერთხელ შეკრებილა და ნაწილობრივადაც კი არ შეუსრულებია მისზედ დაკისრებული მოვალეობა.

იოსებ ვაშაყმაძე—პარტიის წევრი 1915 წ.

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-7 პლენუმი

24 დეკემბრის დილის სხდომა

გუშინ გაიხსნა ლენინურ კომკავშირის ცეკას მე-7 პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. ორუთინოვმა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: დისკუსიის შედეგები. მე-15 პარტყრილობის შედეგები, ყრილობის მოწვევის დროის დანიშვნა და ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცება, სამაზრო ორგანიზაციებიდან დელეგატების ნორმის განსაზღვრა და ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილების დამტკიცება ამხ. ბრაგვაძის ც. კ. შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.

პირველ საკითხზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. გობეჩია. თავის მოხსენების შესავალში ამხ. გობეჩიამ აღნიშნა. რომ საქ. ლ. კ. ორგანიზაციაში ჯერ კიდევ 1926 წელში დაიწყო მუშაობა ოპოზიციამ. რომელიც პირველ ხანებში მიმდინარეობდა ც. კ. ყოფილ წევრების უშუალო ხელმძღვანელობით. მათ სცადეს ინდივიდუალური დამუშავება, როგორც ც. კ. წევრების, ისე სხვა კომკავშირელებისა. მაგრამ აქედან ბევრი არაფერი გამოვიდა. ც. კ. მე-4 პლენუმმა ეს ამხანაგები გამორიცხა ც. კ. შემადგენლობიდან. მათ კი ტროცკისა და ზინოვიევის მსგავსად შემოიტანეს განცხადება, სადაც ისინი უარყოფდენ ფრაქციულ მუშაობის მეთოდებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც პარტიაში კვლავ დაიწყო ოპოზიციური გამოსვლები, კომკავშირის ოპოზიციონერებმაც კვლავ მოჰკიდეს ხელი ბრძოლის ამ მეთოდებს.

კომკავშირის ოპოზიცია ცდილობდა საქ. ორგანიზაციებში გადაეტანა შინა-პარტიულ უთანხმოების საკითხები. ისინი განსაკუთრებით თვალ-ყურს ადევნებდენ ჩვენი კავშირის მე-11 კონფერენციას, და ამის გამო მათ შემოიტანეს 20 ფურცელზე დაწერილი განცხადება, სადაც ისინი ცეკას უყენებდენ მთელ რიგ ბრალდებებს.

ცეკას მე-6 პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება ამ წერილის ირგვლივ. ეხება რა ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას მომხსენებელი აღნიშნავს. რომ ის წერილი, რომელიც დაგზავნილი იქნა ადგილობრივ კომიტეტებში მისამართით ტროცკის სახელობის კომკავშირის ხელმოწერით, საბოლოოდ დადასტურდა. რომ გაგზავნილი იყო ოპოზიციონერების მიერ. ოპოზიციამ „მუშაობა“ ჯერ დაიწყო თბილისში, და შემდეგ გადავიდა მაზრებში, ოპოზიციის ხელმძღვანელებმა თბილისში ჩამოაყალიბეს ლენინიზმის შემსწავლელი წრეები. როდესაც ჩვენ ვეკითხებოდით, რას აკეთებთ? ისინი გვიპასუხებდენ. ვარჩევთ და ვამუშავებთ ლენინიზმის საკითხებსო. ნამდვილათ კი მუშაობა მიდიოდა სულ სხვა მიმართულებით. მაგ. თბილისში მუშფაკის უჯრედში, როცა სტუდენტები დათხოვნილი იყვნენ არდადაგებზე, ოპოზიციონერებმა—18 კაცმა მიიღო ოპოზიციონური რეზოლუცია. როდესაც არდადაგების შემდეგ შეგროვდენ ამ ორგანიზაციის წევრები რიცხვით 700 კაცი, მთლიანად უარყვეს ძველი რეზოლუცია.

უკანასკნელმა დისკუსიამ, რომელიც ჩატარდა კომკავშირში, შემდეგი შედეგი მოგვცა: ცეკას ხაზს ხმა მისცა 34,194 კაცმა. წინააღმდეგ 73, თავი შეიკავა 41. ამრიგად; დისკუსიამ ცხადლ კიდევ დაგვანახვა რომ საქ. კომკავშირი გაიზარდა იდეურად და გაკაჟდა ყოველგვარ გადახრებთან ბრძოლაში. დასასრულ ამხ. გობეჩია აღნიშნავს, რომ საჭიროა სასტიკი ბრძოლის წარმოება ტროცკიზმის მიმდევარ კომკავშირელების წინააღმდეგ.

ჩვენ ვებრძვით ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას და როგორ უნდა შევუთვისდეთ ჩვენს ორგანიზაციაში ნეო-მენშევიზმს მიმდევრებს ამბობს მომხსენებელი.

რაც შეეხება კომკავშირიდან გამორიცხულთა უფლებას, აქ უნდა გადაჭრით ვსთქვათ, შემდეგი არაა კმარა, როცა გამორიცხული ოპოზიციონერი გამოდის კრებაზე, შემოიტანს განცხადებას ოპოზიციის წინააღმდეგ და მოითხოვს თავის თავის აღდგენას. საჭიროა ავწონოთ თვითეული ამხანაგი, შევისწავლოთ მისი პოლიტიკური ფიზიონომია და შემდეგ გადავწყვიტოთ საკითხი. ამხ. გობეჩიას მოხსენების ირგვლივ გაშლილ კამათში ჩაეწერა 15 ამხანაგი.

ამხ. სილაძე, ქუპრაძე, გასიევი, ზეიადაძე, თოდუა, ვარდანია, ბერიძე, ჯავახიძე; ფურცხალავა და სხვები. ორატორები ეხებოდენ დისკუსიის შედეგებს ადგილებზე და მიუთითებდენ მომავალში ოპოზიციასთან იდეოლოგიურ ბრძოლის გაფართოების აუცილებლობაზე.

24 დეკემბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. რახმანოვის მოხსენება მე-15 პარტყრილობის შედეგებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყრილობის ცენტრალურ საგანს შეადგენდა არა ოპოზიციის მიმართ ზომების მიღება, არამედ მომავალი პერსპექტივები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების და სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. დაახასიათა მოკლედ ყველა დადგენილებანი და დასძინა, რომ საქ. კომკავშირმა ფართოდ უნდა შეისწავლოს მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებანი. პლენუმის მიერ მიღებული რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ის სავსებით უერთდება მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამხ. გობეჩიას მოკლე ინფორმაციის შემდეგ პლენუმმა დაადგინა სამაზრო და საოლქო კ. კ. კონფერენციები დაწყებულ იქნას 3 იანვრიდან 12 იანვრამდე.

საქართველოს კომკავშირის ყრილობა კი მოწვეული იქნეს ა.-წ: 27 თებერვალს შემდეგი დღის წესრიგით:

1) პოლიტიკური მოხსენება ამხ. კახიანი; 2) საქ. კომკავშირის ცეკას ანგარიში და პიონერთა შორის მუშაობა.

დელეგატების ნორმათ მიღებულია 200 კაცზე —1 დელეგატი.

საერთაშორისო მიმოხილვა

სისხლიანი ტრაგედია ჩინეთში. —ნანკინელ ყაჩაღების თავხედური გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. — გამოაშკარავებული სიყალბე. — კონფლიქტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ჩვენი გაზეთის მთავარი ყურადღება უკანასკნელ კვირეებში სამართლიანად იყო მიქცეული პარტყრილობისაკენ. ამავე დროს მსოფლიოში დიდი მნიშვნელობის ამბები მოხდა. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ საბჭოების ხელისუფლების დამყარება კანტონში და მისი განადგურება ჩინეთის გაერთიანებული კონტრ-რევოლიუციონური ძალების მიერ.

კანტონი (სამხრეთ - ჩინეთი, გუანდუნის პროვინცია) იმ თავიდანვე წარმოადგენდა რევოლიუციონურ მოძრაობის კერას. სუნ-იატ-სენმა თავის დროზე სწორედ აქ მოიკიდა მკვიდრად ფეხი. აქედანვე დაიწყო დიდი სამხედრო ექსპედიცია ჩრდილოეთის ფეოდალების და მილიტარისტების წინააღმდეგ. მას შემდეგაც, რაც ჩინეთის ბურჟუაზიამ გომინდანის მეთაურობით, შეშინებულმა რევოლიუციის გაღრმავება - გაფართოვებით, გასცა მასები ქვეყნის განთავისუფლების საქმე და გაატრებული რეაქცია გაამეფა,— ამის შემდეგაც კანტონში და მთელ გუანდუნის პროვინციაში მუშათა და გლეხთა ბრძოლა არ შეწყვეტილა. გუანდუნში ჰპოვეს დასაყრდენი იე-ტინისა და ხო-ლუნის რევოლიუციონურმა ჯარებმა, რომელნიც კანტონის დიქტატორის ლი-ტი-სინს და მის თეთრ ტერორზე დამყარებულ რეჟიმს განადგურებით ემუქრებოდენ. ჩინეთის კონტრ - რევოლიუციამ მთელი თავისი ძალები მოიკრიბა და შესძლო ამ ჯარების დამარცხება. ამას, რა თქმა უნდა, მოყვა მუშათა და გლეხთა მასების და მათი ორგანიზაციების გამხეცებული დარბევა—მოსპობა.

მიუხედავად ამისა, მასების ნებისყოფა არ გატეხილა. სასტიკად დევნილნი და ჯურღმულში ჩადენილნი, ისინი განაგრძობდენ თავის რიგების დარაზმვას ახალი ბრძოლისათვის. და აი, ჩვენ მოწმენი გავხდით იმის, რომ კანტონის პროლეტარიატმა გუანდუნის მშრომელ გლეხობასთან ერთად, კომუნისტების ხელმძღვანელობით. დაამხო, რეაქციონერების თავ - აშვებული ბატონობა და საბჭოების დროშა აატრიალა. შესდგა გუანდუნის საბჭოთა მთავრობა. მოძრაობა მოედო სხვა მახლობელ პროვინციებსაც, სადაც ალაგალაგ კიდეც გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ საბჭოთა რევოლიუციის გამარჯვება ამჟამად ხანმოკლე გამოდგა. ყველა შავი ძალები, რომელნიც ჩვეულებრივ თითქმის მუდამ იბრძვიან ერთი - მეორეს, გაერთიანდენ წითელი საფრთხის წინაშე და სისხლის მორევში ჩაახრჩვეს ჩინეთის პირველი ნამდვილი მუშურ - გლეხური რევოლიუცია, სანამ ის განმტკიცდებოდა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბდებოდა. იწყება უდიდესი სიმხეცე, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. ასობით და ათასობით კომუნისტებს, რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს გაუგონრად აწამებენ და ხვრეტენ. ამ ველურობაში უპირველეს როლს თამაშობენ ის გომინდანელი არამზადები, რომელთაც ერთ დროს თავისი „მემარცხენეობით“ მოჰქონდათ თავი. აი, მაგ. რას აცხადებს ერთი მათგანი — ვან-ცზინ-ვეი: „საჭიროა დაუყონებლივ სრულიად შეუბრალებლად მოვსპოთ გადარჩენილი კომუნისტები, არ დავინდოთ ახალგაზრდობაც, რომელიც თუ გინდ დამნაშავე იყოს მარტო სიტყვების წარმოთქმაში. საჭიროა აღვკვეთოთ ყოველგვარი მასიური მოძრაობა და გავანადგუროთ ყველა, ვისაც ბრალად ედება მონაწილეობის მიღება გლეხთა და მუშათა მოძრაობაში“-ო. ამგვარად ჩინეთის კონტრ - რევოლიუციას გადაწყვეტილი აქვს ფიზიკურად მოსპოს რევოლიუციონური მასები, საშინელი რეპრესიებით მოღუნოს ისინი, შემდეგი ბრძოლის უნარი წაართვას და სავსებით წამოაჩოქოს თავის წინაშე.

მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რეაქციის ზეიმი დროებითია. მოძრაობაში მოსულ, თავისუფლებისათვის მებრძოლ ოთხასი მილიონ მასების ხანგრძლივად დამონება ყოველგვარ ძალას აღემატება, საბჭოთა რევოლიუციის ეხლანდელი დამარცხება ჩინეთში. გამოსავალ წერტილად გახდება ახალ, უფრო გრანდიოზულ და გადამჭრელ ბრძოლისათვის. ჩინეთში დაღვრილი ზღვა სისხლი, აშკარაა, ამაოდ არ ჩაივლის. აქედან მასები სათანადო დასკვნებს გამოიყვანენ. ერთი მთავარი და საბოლოო დასკვნაა ის, რომ ჩინეთის ბურჟუაზია და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია — გომინდანი — უკანასკნელების ზედა - ფენების სახით მოსისხლე მტერია ჩინეთის მშრომელი ხალხის და მისი განთავისუფლებისა იმპერიალიზმის უღლისაგან. აქედან: ჩინეთის ხალხის განთავისუფლება მოსახერხებელია მხოლოდ ამ ბურჟუაზიასთან დაუნდობარი ბრძოლის გზით, მუშათა, გლეხთა და ქალაქის ღარიბ ფენების კავშირის ნიადაგზე. ეს კი გულისხმობს, რომ ჩინეთის რევოლიუციის წარმატება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ის საბჭოების დროშის ქვეშ იწარმოებს. სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს ჩინეთის ხალხის ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება კანტონში ამის პირველი სერიოზული ცდა იყო. ამიერიდან საბჭოების ლოზუნგი, რომლის განხორციელებისათვის ამოდენა სისხლი დაიღვარა და იღვრება, ყველაზე უფრო პოპულიარული ხდება ჩინეთში. ამ ლოზუნგით, უდავოა, ჩინეთის მასები გაიმარჯვებენ და მაშინ დადგება „გადაკითხვის დღე“ იმათთვის, ვინც ეხლა მუშების სისხლით დამთვრალი ზეიმობს.

⁂

კანტონის ამბები საყურადღებოა არა მარტო ჩინეთის რევოლიუციის ბედის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით გომინდანელმა ჯალათებმა და ავაზაკებმა უმაგალითო ბოროტმოქმედება ჩაიდინეს საბჭოთა კავშირის მიმართ.

ცნობილია, რომ იმპერიალისტები ყოველგვარ განმანთავისუფლებელ და რევოლიუციონურ მოძრაობას, სადაც არ უნდა ხდებოდეს ის, საბჭოთა მთავრობას და მის „აგენტების“ „დამრღვეველ მუშაობას“ აწერენ. ნანკინის მთავრობამ, როგორც იმპერიალიზმის ყურმოჭრილმა მონამ, „მოვლენათა ახსნის“ ასეთი მეთოდი, სავსებით, წრეგადასული ერთგულობით შეითვისა. ის აცხადებს, რომ ჩინეთში არსებული საბჭოთა დაწესებულებები ვითომ წითელ პროპაგანდის ცენტრს წარმოადგენენ, კერძოდ კანტონში აჯანყების დროს კომუნისტები თითქოს „სარგებლობდენ, როგორც ბაზა თავისი ოპერაციებისათვის, საბჭოთა საკონსულოთი და საბჭოთა სახელმწიფოებრივ კომერციულ აგენტურებით“.

ზედმეტია იმის განმარტება, რომ ეს ბრალდება უტიფარი სიცრუეა. ნანკინის მთავრობას ამის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ მოყავს და არც შეიძლება მოიყვანოს: საამისო ფაქტები არ არსებობს. მაგრამ ნანკინი ასეთი სიცრუეს მიმართავს, ჯერ ერთი, იმპერიალისტების დავალების შესასრულებლად: უკანასკნელთა მიზანს ხომ ის შეადგენს, რომ რამენაირად მოაჩვენონ მათ გამგონე ელემენტებს, რომ საბჭოთა მთავრობა თითქოს ერევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში და სცდილობს მათ „დანგრევას“. ამ გზით მათ სურთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მასები აამხედრონ და ნიადაგი შექმნან მასზე გალაშქრებისათვის. შემდეგ, ნანკინელი მხეცების ამოცანა — მათ მიერ კანტონში და სხვაგან დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიისათვის ჩინეთის ხალხის თვალში საბჭოთა მთავრობა გამოიყვანონ დამნაშავედ და თვითონ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა და რისხვა. ამიტომაა, რომ ჩან-კაი-ში სუნ-ძინ-ლინისადმი გამოგზავნილ საპასუხო დეპეშაში აცხადებს, რომ, საბჭოთა რუსეთი „დასცინოდა ჩვენთან თანამშრომლობას“, რომ მისმა „აგენტებმა კანტონი მსხვერპლად აქციეს“-ო.

მაგრამ სინამდვილის დამახინჯებას ვერავინ შესძლებს, ვინ აქცია კანტონი „მსხვერპლად“ — ამას ჩინეთის მასები კარგად ხედავენ. ჩან-კაი-შის ჯალათების მიერ დახვრეტილ უამრავ მუშების გვამები და სისხლის ტბა კანტონის ქუჩებში ყველაზე მჭერმეტყველურად ღაღადებენ, თუ ვისი მსხვერპლი გახდა კანტონი. საბჭოთა მთავრობა „დასცინოდა ჩვენთან თანამშრომლობას“-ო. ვინ სურს ჩან-კაი-შის ასეთი უმსგავსო ცილისწამებით შეცდომაში შეიყვანოს. რომ საბჭოთა კავშირი ერთად - ერთი სახელმწიფოა, რომელიც უდიდესი პატივისცემით ეპყრობა ჩინეთის (ისე, როგორც სხვა ქვეყნების) უფლებებს და მის განთავისუფლებას ენერგიულად უჭერს მხარს,—ეს ხომ კარგად აქვს შეგნებული ჩინეთის მშრომელ მასებს.

ჩან-კაი-ში ამბობს, რომ მისი მთავრობა სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტისათვის; მაგრამ ნანკინის მთავრობას მარტო ამისათვის როდი ეკისრება პასუხისმგებლობა. თავის თავად ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტით მან უდიდესი დანაშაული ჩაიდინა თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთის ხალხის წინაშე და აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმის მიმართ. მაგრამ ეს ცოტაა. ამასთან ერთად, ნანკინის ხროვის უმძიმესი ბოროტმოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ გამოიხატება კანტონის საბჭოთა ვიცე - კონსულის და სხვა საბჭოთა მოქალაქეების წამებასა და მოკვლაში, საბჭოთა წარმომადგენლობებზე ბანდიტურ თავდასხმაში და მათ დარბევა - გაცარცვაში, საბჭოთა მოქალაქეთათვის ათასგვარ გაუგონარ შეურაცხყოფის მიყენებაში და სხვ.

აი, რისთვის უნდა აგონ პასუხი ნანკინის მთავრობამ და ჩინეთის რეაქციის ყველა იმ ძალებმა, რომელთა ხელი გასვრილია ამ საქმეში. ამავე დროს აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩინეთში მომხდარ თავხედურ გამოსვლებისათვის პასუხისმგებლობას ვერ აიცილებენ იმპერიალისტები და მათ შორის, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ინგლისი. ეხლანდელი თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობებზე უფრო ველური ფორმით ლონდონსა, პეკინსა და შანხაიში თავის დროზე ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლების განმეორებაა. დღესაც, უეჭველია, რომ აქ ინგლისის მთავრობის ხელი მუშაობს.

ტყუილად კი არ ეძლევა კონსერვატორების პრესა სიხარულს მომხდარ ამბების გამო. ჩემბერლენები მოწადინებული არიან, — რა კი სხვაგან ჯერჯერობით მათმა ანტი - საბჭოთა კამპანიამ თვალსაჩინო ნაყოფი ვერ გამოიღო, — ჩინეთის ხაზით გაართულონ ჩვენი მდგომარეობა, რათა შემდეგ უფრო გააფართოვონ იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მსოფლიო რეაქცია და იმპერიალიზმი, რომლის აგენტს ამ შემთხვევაში ნანკინის მთავრობა წარმოადგენს, აძლიერებს შეტევას საბჭოთა კავშირზე. საბჭოთა მთავრობა, როგორც თავის განცხადებაში ამბობს, წინანდებურად მტკიცედ გააგრძელებს რა თავის სამშვიდობო პოლიტიკას, ამავე დროს მზად არის დაიცვას პროლეტარულ სახელმწიფოს უფლებები ყოველგვარ თავდასხმისაგან და კერძოდ დაუსჯელად ვერ დასტოვებს იმ მხეცურ აქტებს, რომლებსაც სამხრეთ ჩინეთში ჰქონდა ადგილი. თავდაცვის აუცილებელ ზომების მიღების დროს მასთან იქნებიან არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები.

⁂

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩინეთში საბჭოთა წარმომადგენლობებზე მოწყობილ თავდასხმის ერთ-ერთი მიზანია იმის „დამტკიცება“, თითქო საბჭოთა მთავრობა ერეოდეს სხვა სახელმწიფოების შინაურ ცხოვრებაში და მათ მიმართ აგრესიულ ზრახვებს ატარებდეს. მსოფლიოს „საზოგადოებრივი აზრის“ ასეთი დამუშავება განსაკუთრებით საჭირო გახდა იმპერიალისტებისათვის მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში გამოვიდა საყოველთაო განიარაღების პროგრამით. საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო მშრომელ მასებზე, არამედ პაციფისტურად განწყობილ ბურჟუაზიულ წრეებზედაც. მან ყველასათვის ცხადი გახადა იმპერიალისტების „მშვიდობის მოყვარეობის“ თვალთმაქცობა და საბჭოთა მთავრობის ნამდვილი სამშვიდობო მისწრაფებანი.

ხოცვა-ჟლეტის მოციქულებისათვის აუცილებელი შეიქნა „რევანშის“ მიცემა საბჭოთა მთავრობისათვის და ჩვენი დეკლარაციის შთაბეჭდილების რამენაირად შესუსტება. ჯერ კიდევ ჟენევის კონფერენციის გახსნამდე ინგლისის სამხედრო მინისტრი ევანსი გამოვიდა განცხადებით, რომელშიაც ფანტასტიური ციფრები მოყავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესახებ. ასეთ გამოსვლას, ევანსის აზრით, ეჭვი უნდა აღეძრა სამშვიდობო წინადადების მიმართ, რომლებსაც ჩვენ ჟენევაში წამოვაყენებდით. საბჭოთა დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ მორთეს ერთი განგაში, რომ თითქოს ეს იყო ცალიერი პროპაგანდა, ნამდვილად კი საბჭოთა მთავრობა ვითომ იმპერიალისტურ პოლიტიკას ანხორციელებდეს.

ამავე მიზნით გამოგონილ იქნა „სტალინის წერილი“, რომლის გარშემო ერთი ხმაური ასტყდა ევროპის ბურჟუაზიულ და სოციალ - დემოკრატიულ პრესაში. ამ „წერილში“ მოყვანილია ვითომდა, სტალინის ცნობები და დირექტივები საბჭოთა კავშირის შეიარაღების უდიდესი ზრდის შესახებ. ასეთი ყალბი დოკუმენტი პირველად გაავრცელა ინგლის - ამერიკის საგენტომ („ანგლო-ამერიკენ ნიუსპეიპერ სერვის“) სწორედ განიარაღების კომისიის სესიის დახურვის პირველ დღეებში. 10 დეკემბერს ეს ყალბი ცნობა გადაბეჭდა ვენის გაზეთმა „ნეიე ფრეიე პრესსე“-მ, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია და რომელსაც, სენსაციების მოყვარულობასთან ერთად, ასე თუ ისე სერიოზულ ბურჟუაზიულ ორგანოს სახელი აქვს გავარდნილი.

აშკარაა, რომ ამ „ისტორიაში“ ლონდონის „პოლიტიკოსები“ არიან გარეული. — შეხედეთ. საბჭოთა მთავრობა ოფიციალურად, სხვებისათვის თვალების ასახვევად, გამოდის საყოველთაო განიარაღების პროგრამით, ხოლო სინამდვილეში კი ის შეიარაღებას გამალებით აწარმოებსო, —ასეთი ყვირილი მორთეს იმპერიალისტებმა და მათმა მოსყიდულმა კალმოსნებმა, „სტალინის წერილთან“ დაკავშირებით.

აღსანიშნავი, ამასთან ის არის, რომ ამ სიყალბეს, როგორც ყორნები მძორს, დაეხვიენ გამცემელი სოციალ-დემოკრატები. გერმანიის მენშევიკების ორგანომ „ფორვერტს“-მა და ბაიერის „არბაიტერ ცეიტუნგ“-მა საგანგებოდ იწყეს ლაპარაკი საბჭოთა კავშირის „წითელ იმპერიალიზმის“ შესახებ. ოღონდაც! მათ რაიმე „მასალა“ იშოვონ შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ და როგორ შეიძლება ის არ გამოიყენონ. რა უყოთ, რომ ეს „მასალა“ თითიდან გამოწოვილი სიცრუეა: პროლეტარიატის დიქტატურასთან ბრძოლისათვის მენშევიკებს ყოველგვარი საშუალება დასაშვებად მიაჩნიათ.

მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. თვის თავად ცხადი იყო, რომ ამხ. სტალინს არავითარი ასეთი წერილი არ დაუწერია, და რომ „სტალინის წერილი“ თავიდან ბოლომდე ყალბია. ამხ. სტალინმა თავის განცხადებაში ეს კატეგორიულად აღნიშნა. ბოლოს, „ნეიე ფრეიე პრესსე“-ც იძულებული იყო აღეარებია, რომ ის მსხვერპლი გახდა „ანგლო - ამერიკენის“ მოჭორილი ინფორმაციის, რის გამო განაცხადა, რომ ყოველგვარ კავშირს სწყვეტს ამ საგენტოსთან. თვით ხსენებული საგენტო ცინიკურად აცხადებს, რომ მან საჭიროდ დაინახა „სტალინის წერილის“ გავრცელება ჟენევაში ლიტვინოვის გამოსვლის შემდეგო, რაც ჩადენილ სიყალბის აღიარებაა თვით მისი ავტორების მიერ. ამგვარად, სიყალბე გამოაშკარავებულ იქნა, რას იტყვიან ამაზე „ფორვერტს“ და „ვენის მუშური გაზეთი“? მაგრამ მათ ხელმძღვანელებს ხომ ვერ მოვსთხოვთ ელემენტარულ რიგიანობასაც, კი, როცა საქმე საბჭოთა კავშირს ეხება.

⁂

სოციალ - დემოკრატები კაპიტალის აგენტის როლს ასრულებენ არა მარტო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში. მათი ასეთი მტრობა შრომის სახელმწიფოსადმი გამომდინარეობს მთელი მათი გამცემლობიდან მუშათა კლასის საქმისადმი. ისინი სულ უფრო მარჯვნივ იხრებიან და აშკარად გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი ფაქტები უამრავია. ამ შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავთ გერმანელ მენშევიკების მორიგ სისაძაგლეს გერმანიის მელითონეთა ბრძოლის საკითხში.

გერმანიის ლითონის მრეწველობაში კარგა ხანია უდიდესი რეალური კონფლიქტი მწიფდება. მელითონენი. (როგორც სხვა დარგის მუშებიც) უდიდეს გასაჭირს განიცდიან გერმანიაში.

ჯერ ერთი, სოციალ - დემოკრატიების „ლოცვა - კურთხევით“ 1923 წ. გააუქმეს რვა საათის და შემოიღეს 9—10 საათის სამუშაო დღე. ეს უნდა ყოფილიყო თითქო „დროებითი ზომა“, ვითომდა მსხვერპლი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის მიზნით გაღებული (მენშევიკების აზრით, „მსხვერპლი“ უეჭველად მუშებმა უნდა გაიღონ და არა კაპიტალისტებმა.) შემდეგ: გერმანელ მუშის ხელფასი მეტად დაბალია. ის საშუალოდ 40—60 პროც. ჩამორჩება ომის წინანდელ დონეს; ამავე დროს სწრაფად იზრდება ფართე მოხმარების საგნების სიძვირე. მრავალ ასეთ საგანზე ის აღემატება 60—70 პროცენტს ომის წინა დროისას.

გერმანიის მუშათა კლასი სისტემატიურად იბრძვის თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გაფიცვები ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული. რამოდენიმე თვის წინათ, როგორც ვიცით, ჩატარდა 60.000 მემადნეთა გაფიცვა. ბოლო დროს მელითონეებმა (300.000 კაცმა) წამოაყენეს მოთხოვნა რვა საათის სამუშაო დღის შემოღების და ხელფასის 13 პროცენტით მაინც გადიდების შესახებ. მრეწველები გაღმა გაუდგენ: ჩვენ ზარალი მოგვდის (მაშინ, როცა ლითონის მრეწველობა მეტად მომგებიანი დარგია გერმანიაში), ხელფასი ეხლა არსებულზე უფრო უნდა შევამციროთ, ხოლო სამუშაო დღის შემოკლებაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო; წინააღმდეგ შემთხვევაში ლოკაუტით იმუქრებოდენ.

მხარეებმა მოლაპარაკებით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ გერმანიაში არის კანონი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათის შესახებ. ეს კანონი სოციალ - დემოკრატების დასტურით იქნა შემოღებული — „სოციალური ზავის“ დასამყარებლად. მისი აზრი იმაშია, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შრომის მინისტრს უფლება აქვს სავალდებულო ძალა მისცეს მომრიგებელ ინსტანციის დადგენილებას, თუ გინდ უკანასკნელს ერთი რომელიმე მხარეთაგანი არ ეთანხმებოდეს. აბა რა მტკიცება უნდა, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელშიაც უმრავლესობა კაპიტალისტებს ჰყავთ, უკანასკნელისა სასარგებლო დადგენილება გამოაქვს ყოველთვის. ეხლაც ჩვენ ვხედავთ: ლითონის მრეწველობაში წამოჭრილ კონფლიქტის გამო, ამ სასამართლომ დაადგინა, რომ ხელფასი მუშებს მოემატოთ მხოლოდ სამი პროცენტით, ხოლო რაც შეეხება სამუშაო დღეს, ის წინანდელი რჩება. შრომის მინისტრმა კანონის ძალა მისცა ამ გადაწყვეტილებას.

მუშები უაღრესად უკმაყოფილო არიან, მათ არ სურთ ხსენებულ გადაწყვეტილებას დაემორჩილონ. კომპარტია მოუწოდებს მუშებს ბრძოლისაკენ. მაგრამ სოციალ - დემოკრატიის ზედა წრეები, რომელნიც პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში სხედან, „ღვთის წყალობათ“ სთვლიან გადმოგდებულ ნამცეცს და ყოველ ზომას ღებულობენ, რათა ჩაშალონ გაფიცვის ტალღა, რომელიც მელითონეებს ედება. მათ მხარეზეა სახელმწიფო ძალა - უფლება, რომელიც შრომის კონფლიქტებში ერევა კაპიტალისტების სასარგებლოდ.

როგორადაც არ უნდა გათავდეს ამჟამად საქმე, ეჭვი არ არის, რომ გერმანიაში, როგორც ლითონის მრეწველობაში, ისე სხვა დარგებში, მოსალოდნელია დიდი კლასობრივი ბრძოლები, რომელთა აცილებას ამაოდ ცდილობენ მენშევიკები. თავისი გამცემლობით უკანასკნელნი სულ უფრო შორდებიან მუშათა კლასს. რომლის გამემარცხენება უდავო ფაქტია.

გ. ქ—ლი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი არმიის ათი წლის თავი

საერთაშორისო მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში გართულდა და გამწვავდა. ჩვენ ვდგევართ ახალ იმპერიალისტურ ომის საფრთხის წინაშე. კაპიტალისტური მტაცებლები მზად არიან დაგვესხან თავს და გაანადგურონ საბჭოთა კავშირი. „სამშვიდობო კონფერენციები" სუსტნი არიან შესცვალონ შექმნილი მდგომარეობა.

ასეთ პირობებში ჩვენ ვუახლოვდებით მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულს.

ამ დღესასწაულმა უნდა უფრო შეამჭიდროოს მშრომელნი თავის შეიარაღებულ ავანგარდთან. ყოველივე მუშამ, გლეხმა, პატიოსანმა მშრომელმა უნდა იცოდეს წითელი არმიის გმირული წარსული; ყველამ უნდა იცოდეს, თუ რა მიღწევები აქვს წითელ ყაზარმას პოლიტიკურ და სამხედრო მომზადების დარგში.

დღესასწაულის უმთავრესი ამოცანა არის საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების გასინჯვა, რომლის ცენტრში იდგება წითელი არმია. წითელ არმიასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელები დაანახვებენ ყველას თავის მიღწევებს სამხედრო მომზადების დარგში.

ამ საბრძოლო გასინჯვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომკავშირისათვის და საერთოდ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისათვის, რადგან წითელი არმია აქედან ღებულობს თავის ახალ ძალებს—წითელ არმიელებს და მეთაურებს.

დღესასწაულში განსაკუთრებული აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ, ვინც გაიარა წითელ არმიის რიგებში. ასეთების რიცხვი კი ძალიან დიდია. რამოდენიმე მილიონმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა სამოქალაქო ომში, ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით და სხვა გმირული ნიშნებით.

დღესასწაული მოახლოებულია. ეხლავე საჭიროა შეუდგეთ სათანადო სამზადისს. ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური, ახკომკავშირის და სამხედრო ორგანიზაციები უნდა ჩაებმან ამ სამზადისში. კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, წითელი კუთხეები, გლეხის სახლები და სასპორტო ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ფართე მოსამზადებელ მუშაობას დიადი დღესასწაულისათვის.

ა. ც.

თანამედროვე სამხედრო ტექნიკაზე

დაკავშირებით მომავალ ომთან, ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ სამხედრო ტექნიკაზე და უცხოეთის არმიების შეიარაღებაზე. ამასთანავე ამ დარგში მრავალი ჭორია გავრცელებული რადგან ბევრს არა აქვს ნამდვილი წარმოდგენა სამხედრო ტექნიკაზე.

თუმცა უცხოეთის არმიები კარგად არიან შეიარაღებულნი ტექნიკური საშუალებებით, როგორიც არის ზარბაზნები, ტანკები და სხვა, მაგრამ ამავე დროს ისინი არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას. საბრძოლო საშუალებები შეიძლება შემოღებულ იქნენ მხოლოდ ომის დროს. მებრძოლი ადამიანი მალე ეგუება ყოველივე ახალ საბრძოლო საშუალებებს და მალე პოულობს საწინააღმდეგო იარაღს.

იმპერიალისტური ომის წინა დროს გამოგონებულ იყო მრავალი საბრძოლო ტექნიკური საშუალებები. ამბობდენ, რომ იმპერიალისტური ომი ვერ გასტანს დიდხანს, რადგან ვერც ერთი არმია ვერ აიტანს ახალ ტექნიკურ საშუალებების ძალას. მაგრამ, ომმა გასტანა ოთხ წელს. ჯარისკაცნი მალე შეეჩვიენ ომის წარმოებას, მათ სრულიად არ აშინებდათ არც გაზები, არც უზარმაზარი ყუმბარები, ყველა ამის წინააღმდეგ გამოგონებულ იქნა საბრძოლო საშუალებები. ამასთანავე ბევრი საბრძოლო საშუალებები, რომელიც მოგონილი იქნა მშვიდობიან დროს, ომში გამოდგნენ სავსებით გამოუსადეგარნი და ვერ იქნენ გამოყენებულნი. მებრძოლ სახელმწიფოებს მიერ დამზადებული იქნა მრავალი სამხედრო ავტომობილი, რომელნიც საათში გადიოდნენ 100 კილომეტრს. მაგრამ, ეს ავტომობილები ვერ იქნენ გამოყენებული, რადგან საჭირო იყო მათთვის კარგი გზები. ფრონტზე კი იშვიათია კარგი გზები.

იმპერიალისტური ომის დროს გამოირკვა, რომ ქიმიური იერიშებისათვის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენენ არტილერიის ქიმიური ყუმბარები, რადგან შესაძლებელია მათი გატყორცნა დიდ მანძილზე. მაგრამ, გამოირკვა, რომ ისეთ მიდამოს მოსაწამლავათ, რომელსაც აქვს 100 მეტრის განი, საჭიროა 400 ყუმბარა. 100 მეტრიანი მიდამო ძალიან მცირეა; რომ განადგურებულ იქნეს მოწინააღმდეგე საჭიროა მოწამვლა დიდი მიდამოების. ეს კი მოითხოვს რამოდენიმე ათას ყუმბარას და ჯდება რამოდენიმე ათასი მანეთი, რადგან თითო ყუმბარა ღირს არა ნაკლებ 50 მანეთისა.

შეიძლება მოყვანილ იქნეს მრავალი ამის დაგვარი მაგალითი. მშვიდობიან დროს ყველა საბრძოლო საშუალებები არ გამოდგებიან ომის დროს.

ომის დროს საჭიროა უბრალო ტექნიკური საშუალებები, რომელნიც არ ფუჭდებიან მალე, არ ღირან ძვირად და რომელთა მოხმარება ადვილია და გასაგები ყველასათვის. ამისათვის ჩვენ ვხედავთ, რომ თუმც სამხედრო ტექნიკა მიდის წინ ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ შაშხანა თოფი, ხიშტი და ხელის ყუმბარა არ ჰკარგავენ თავის მნიშვნელობას.

სამხ. ტექნიკა ძალიან ვითარდება არტილერიასა, ავიაციასა და ქიმიაში. სამხ. სპეციალისტების ცდები მიმართულია იქითკენ, რომ გამოგონებულ იქნეს მსუბუქი, მოძრავი შორს მსროლელი ზარბაზანი. ამასთანავე სწარმოებს მუშაობა, რომ ამ ზარბაზნების ყუმბარები იყვნენ ძლიერნი.

საავიაციო დარგში სამხედრო ტექნიკა ცდილობს შეიმუშაოს ძლიერი მოტორი და გააძლიეროს თვითმფრინავების ტვირთტევადობა. აგრეთვე მიდის ცდები ისეთ ჰაეროდრომების ასაგებათ, რომელნიც შესძლებენ თვითმფრინავების მიღებას ღამით.

ქიმიის დარგში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა, მაგრამ ყოველი ახალი გამოგონება შეადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოს საიდუმლოებას. მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ გაძლიერებულ იქნეს უკვე ცნობილ გაზების მოქმედების ძალა.

ლაპარაკი იმაზე, რომ მომავალ ომში ჩვენ გვექნება საქმე რაიმე უცნობ, ჯერ გაუგონარ, უნახავ საშუალებასთან, ზედმეტია.. მაგრამ, რომ მომზადებულნი შევხვდეთ მომავალ ომს და იმ ახალ საშუალებებს, რომელნიც გამოყენებულ იქნებიან ომის პირველ პერიოდში, საჭიროა თვალყური ვადევნოთ სამხედრო საქმის მსვლელობას, ყველა ამას წითელ არმიელები გაეცნობიან წითელ ყაზარმაში. მუშებმა და გლეხებმა კი უნდა შეიძინონ საჭირო ცოდნა სამხედრო კუთხეებში და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებში.

შ. გ—ლი.

სამაგალითო მუშაობა

(წერილი ქუთაისიდან)

„თავდაცვის კვირეულის" შემდეგ განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას ქ. ქუთაისში და მის მაზრაში. ამ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი ნახევარი წლის განმავლობაში გაიზარდა თითქმის ოთხჯერ და ამჟამად საზოგადოებაში ირიცხება 15 ათასზე მეტი წევრი, გაფართოვდა სასროლო და ქიმიურ წრეების, კუთხეების, ტირების და საცდელ მინდვრების ქსელი. ამ საქმის განვითარებას ხელს უწყობენ ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები. კარგია აგრეთვე კავშირი წითელარმიის ნაწილებთან.

კარგად არის დაყენებული სასროლო საქმე. გარდა სასროლო წრეებში წარმოებულ მეცადინეობისა, ტარდება შეჯიბრი სროლაში განსაკუთრებით გაფართოვდა სასროლო საქმე მის შემდეგ. რაც ქალაქში მოწყობილ იქნა დიდი ტირი, განზრახულია 400 ნაბიჯიდან სასროლო პოლიგონის მოწყობა. საქართველოს მასშტაბით მოწყობილ სასროლო შეჯიბრებამ ნათლად დაგვანახვა. რომ სროლის საქმე ქუთაისში სათანადო სიმაღლეზე დგას. ქუთაისმა შეჯიბრზე დაიკავა პირველი ადგილი.

სათანადო ყურადღება ექცევა საჰაერო სპორტის განვითარების საქმეს. ქუთაისის ოლქ. დაცვა-ავიაქიმის ძალებით ქალაქ-გარეთ იქნ. დამთავრებული აეროდრომის აშენება ორგანიზაციაში ტარდება ლექციები და საუბრები ავიაციაზე. ვრცელდება სპეციალური ლიტერატურა. დიდი გატაცებაა ახალგაზრდობაში პლანერების და მოდელების აშენების საქმით.

ქიმიურ წრეებში, რომლებიც ჩამოყალიბებულია უმთავრესად საწარმოო დაწესებულებებში და მაღალ ტიპის სკოლებში, სწარმოებს საუბრები სხვადასხვა გაზების მოქმედებაზე და მათგან თავდაცვის საშუალებებზე. გამოშვებულია კურსების მიერ ქიმ-საქმის ინსტრუქტორები.

ავიაქიმის უჯრედები არსებობენ ქუთაისის მაზრის თითქმის ყველა დიდ სოფლებში, მაზრაში სულ 30-მდე გლეხური უჯრედია. დანიშნულ რაიონებში იგზავნება მომხსენებლები სამხედრო საკითხებზე მოხსენების გასაკეთებლად.

ამ უკანასკნელ ხანებში ავიაქიმის დახმარებით და ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნ. ქუთაისის კომკავშირის ლაშქრობა. რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ სწორ ხელმძღვანელობის ქვეშ კომკავშირი წარმოადგენს სათანადო დისციპლინის და ბრძოლის უნარის მქონე შეიარაღებულ ძალას.

დღეს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მუშაობამ ქვეყნის თავდაცვისთვის დიდი გამოძახილი ჰპოვა მშრომელ მასებში და ამ მუშაობას შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი შედეგები, რასაც ჩვენ ვხედავთ სინამდვილეში ქუთაისის ავიაქიმის მაგალითიდან.

ი. რუდოვსკი.

სამხედრო სანიტარული ერთეულები

ამ დღეებში მოსკოვში დამთავრდა საკავშირო სამხედრო-სანიტარული თათბირი. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქ. წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ამხ. კაკალეიშვილმა, რომელიც გაგზავნილი იყო წარმომადგენლად თათბირზე, თათბირის შედეგების შესახებ შემდეგი განაცხადა:

თათბირი გაიხსნა 1-ლ დეკემბერს და მუშაობდა ორი კვირის განმავლობაში. ამ თათბირზე განხილულ იქნა რამოდენიმე ფრიად საყურადღებო საკითხი იმის შესახებ, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს წითელი ჯვრების და წითელი ნახევარი მთვარეების საქმიანობა მოსახლეობაში სამხედრო-სანიტარული ცოდნის გავრცელების დარგში. დღემდის ეს მუშაობა ორივე საზოგადოებაში არ არსებობდა.

მომავალი ომი იქნება სახალხო ომი, რომელიც გამანადგურებელი იქნება როგორც ფრონტზე, ისე ზურგშიაც, რადგანაც ამის საშუალებას იძლევა განვითარებული სამხედრო ტექნიკა, (ჰაეროპლანები, გაზები და სხვა); ამისათვის საჭიროა მოსახლეობის ისე მომზადება, რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს პირველ საექიმო დახმარების აღმოჩენა.

თათბირის მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, მოწყობილი იქნება სამხედრო სანიტარო ერთეულები, რომლებიც ომიანობის დროს დახმარებას აღმოუჩენენ დაჭრილ-დაავადებულთ.

ვინაიდან მომავალი ომის დროს, მოსალოდნელია ლტოლვილთა დიდი რიცხვი, თათბირმა გაითვალისწინა ეს გარემოება, და წით. ჯვრებს და წითელ ნახევარ მთვარეებს დაავალა ჩაატარონ სათანადო სამზადისი ამ მხრივ და იქონიონ მარაგი სამკურნალო და საკვებ პუნქტების გასახსნელად.

ზემოაღნიშნულ ამოცანების შესასრულებლად წითელ ჯვარს საჭიროებს თანხების გადიდება და დიდი შრომის გაწევა მოუხდება.

წვევამდე მზადება

შეუდექით საქმიან მუშაობას

(№ ლეგ. წვევამდელთა წერტი).

წვევამდელთა მზადება ჩვენი ლეგიონის წერტზე დაიწყო 5 დეკემბრიდან. წვევამდელნი გამოცხადდენ სამეცადინოთ ეკლესია, როგორც ერთი კაცი. წერტზე სწარმოებს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობა. პოლიტმეცადინეობისათვის ჩამოყალიბებულია 4 ჯგუფი. ყოველ ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, პოლიტსაათი დათმობილი აქვს ყოველდღიურათ 45 წუთი, წვევამდელები დიდათ დაინტერესებული არიან პოლიტიკური ცხოვრებით, რასაც მოწმობს ის, რომ პოლიტ საათზე იძლევიან მრავალ შეკითხვებს.

წერტზე მოწყობილია ლენინის კუთხე ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით. არჩეულია სარედაქციო კოლეგია, რომელიც მოკლე ხანში გამოუშვებს კედლის გაზეთს.

სამხედრო დარგში წვევამდელებმა უნდა გაიარონ განსაზღვრული პროგრამა. მათ უნდა შეისწავლონ ზარბაზნის ნაწილები, სროლა, შესადებები, ცხენოსნობა და სხვა, უნდა ითქვას, რომ საარტილერიო საქმე ძალიან აინტერესებს წვევამდელებს.

დისციპლინა წერტზე სავსებით არის დაცული, ჯერ-ჯერობით არ ყოფილა შემთხვევა. დისციპლინის და არ ასრულებით უფროსის რომ წვევამდელებს შეგნებულათ დაერღვიოთ ბრძანება და განკარგულება.

დ. ლ—ძე.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

იმ ახალგაზრდების წვევამდე მზადება, რომლებმაც გასულ წელს გაიარეს მზადების პირველი საფეხური, დასრულდება 1928 წლის 5 იანვარს. 9 იანვრიდან 21 თებერვლამდე იწარმოებს 1906 წელში დაბადებულთა ახალგაზრდების მზადება, რომლებიც ჯერ არ ყოფილან გაწვეულნი სამხედრო მზადებაზე.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

№ ქართ. მსრ. დივიზიასთან შესდგა წითელი არმიის ათი წლის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია. კომისიამ პირველ სხდომაზე გამოიმუშავა დღესასწაულის ჩატარების გეგმა, რომელიც სხვა მითითებებთან ერთად მოკლე ხანში დაეგზავნება დივიზიის ყველა ნაწილებს

შეღავათები წითელ არმიელთა მეურნეობებს

საბჭოთა კავშირის საფინანსო კომისარიატის წინასწარ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად. მთელ კავშირში სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათით ისარგებლა 618.926 წითელ არმიელთა, სამხედრო მსახურთა და ომის ინვალიდთა ოჯახმა და მეურნეობამ. შეღავათისაგან შემდგარი საერთო ჯამი უდრის 6.773:935 მ.

სამხედრო ლიტერატურა

№ ქართ. მსრ. დივიზიის შტაბი და პოლიტგანყოფილება მოკლე ხანში გამოსცემს სახელგამთან ერთად მთელ რიგ პოპულიარულ სამხედრო წიგნებს წიგნები განაწილებულ იქნებიან სამხედრო კუთხეებსა და ქოხ-სამკითხველოებს შორის.

ყრილობები და თათბირები

თათბირი ნედლეულობის დამზადების შესახებ

24 დეკემბრის სხდომაზე ა.-კ. მებამბეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ მოხსენებას აკეთებს ა.-კ. საბამბო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ბარიშევი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასაბჭოების დროს განადგურებული მებამბეობა 2—3 წლის განმავლობაში იმდენად აღორძინდა, რომ თითქმის გაუთანაბრდა ომის წინა დროის დონეს და ამჟამად ა.-კ. საქონლის ბრუნვაში ბამბა შეადგენს მთელი ბრუნვის ორ მეხუთედს.

მებამბეობის განვითარებასთან ერთად იზრდება კრედიტების მოთხოვნილება, რომლის სავსებით დაკმაყოფილება მოუხერხებელი ხდება.

ზოგიერთ რაიონებში ბამბასთან ერთად ითესება ბრინჯი, კანაფი, აბუსალათინი და სხვა, რაც იწვევს წყლის არა რაციონალურ ექსპლოატაციას და ზიანს აყენებს მებამბეობის განვითარებას.

ა.-კ. მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ორგანიზაციის და განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. პანიევმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ა.-კ. სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ამჟამად შეადგენს ომის წინა დროის ექსპორტის 33 პროცენტს (ნავთის, მარგანეცის, თევზეულობის და ხე-ტყის მასალის გამოკლებით). ექსპორტის შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ პროდუქტზე (მატყლი, აბრეშუმი) გაიზარდა ადგილობრივი მრეწველობის მოთხოვნილება.

ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების გამო, მომხსენებლის აზრით, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მეტად ხარისხოვან პროდუქტების (ვაშლი, თხილი, კონსერვები, დაფნა, სოია და სხ.) ექსპორტს.

სამეცნიერო ცდების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს რესპუბლიკათა მიწად. მოქმედების სახ. კომისარიატების და სმუს-ის წარმომადგენლებმა — საქართველოდან—ამხ. კაკაბაძემ, აზერბეიჯანიდან—ამხ. ლებედევმა, სომხეთიდან—ამხ. ფირუმოვმა და აფხაზეთიდან — ამხ. კვარაცხელიამ.

თათბირზე ყველა მოხსენებები დამთავრდა: მუშაობა გადატანილია კომისიებში.

თათბირი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ

ს. პ. ქ. ს. სატარიფო-საეკონომიო განყოფილებაში შესდგა კავშირების სატარიფო-განყოფილებათა გამგეებისა და საქართველოს შრომის სახკომისარიატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების საკითხი. გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ იანვრის პირველი რიცხვი ჩაითვალოს ხელშეკრულებების დადების მაქსიმალურ ვადათ. თათბირმა განიხილა აგრეთვე საკითხი კოლხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ შრომის კომისარიატის ორგანოებში. ეს საკითხი ფრიად საყურადღებო მომენტს შეიცავს. კოლხელშეკრულებათა დადების საქმეს აფერხებს ერთის მხრივ ის გარემოება, რომ შრომის კომისარიატის ორგანოებში ჩვეულებრივი წესით გადაგზავნილი ხელშეკრულებები ხშირად იწვევენ მთელ რიგ მიწერ-მოწერას, ვინაიდან ხშირია შემთხვევა, როდესაც კოლხელშეკრულებების მუხლები შესწორება-დამატებების შეტანას საჭიროებენ. ამრიგად, კოლხელშეკრულების თავის დროზე რეგისტრაციაში გატარება უნებლიედ ფერხდება.

თათბირმა, გაითვალისწინა რა აღნიშნული გარემოება, მიიღო დადგენილება, რათა მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულებები არ აგზავნებოდეს შრომის კომისარიატის ორგანოებში ფოსტის წესით, არამედ ასეთი წარედგინოს აღნიშნულ ორგანოებს დაწესებულებათა და პროფკავშირთა წარმომადგენლების მიერ უშუალოდ, რათა მათი თანდასწრებით იქნეს კოლ. ხელშეკრულება განხილული და შეტანილ მასში ის შესწორებები - დამატებანი, რომელიც საჭირო იქნება. კოლხელშეკრულებათა რეგისტრაციის ამ წესის გატარებით თავიდან აცილებული იქნება ზედმეტი მიწერ-მოწერა და გაადვილებული და დაჩქარებული იქნება მათი რეგისტრაციის საქმე.

შემჩნეულია, რომ სამედიატორო და საკონფლიქტო ორგანოებში საქმეების გარჩევის დროს კავშირებისა და სამეურნეო მუშაკთა მხრივ არ არის დაცული ფორმალური მხარე, როგორიცაა—მაგალითად: წარმომადგენელთა სათანადო მანდატებით აღჭურვა, რაც ხშირად იწვევს კოლხელშეკრულებათა რეგისტრაციის დაგვიანებას. თათბირმა დაადგინა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

დასასრულ, თათბირი შეეხო საკონფლიქტო ორგანოების სხდომებზე მხარეთა სათანადო მასალებით გამოცხადების საჭიროების საკითხს. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც, მასალების უქონლობის გამო, სასამართლო იძულებულია საქმე გადადოს. ყველა აღნიშნული დეფექტები გათვალისწინებული და დაძლეული უნდა იქნეს პროფკავშირებისა და სამეურნეო მუშაკების მიერ.. რაც ხელს შეუწყობს კოლ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის დაჩქარებით ჩატარებას.

თათბირი ფიზკულტურის და გასამხედროების საკითხებზე

პირველი დღე

ამხ. ლ. ფირალიშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდენ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებს საფიზკულტურო მუშაობას ადგილებზე. ამ დაბრკოლებებს შორის მთავარია თანხების და მომზადებულ ინსტრუქტორების ნაკლებობა. ადგილებს არ ჰყავთ აგრეთვე ფიზკულტურის დარგში მომუშავე სპეციალისტი ექიმები. მეცნიერულ კაბინეტებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

მოხსენების გარშემო რეზოლუციის და პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად თათბირმა გამოჰყო კომისია.

გუშინ მუშაობდა აღნიშნული კომისია. დღეს დილით შესდგება თათბირის მეორე სხდომა, რომელიც დაამტკიცებს რეზოლუციას ამხ. ალ. ფირალიშვილის მოხსენების გარშემო და მოისმენს მოხსენებას საფიზკულტურო მუშაობის 1927—28 წლის კონკრეტულ გეგმის შესახებ.

„მწყემსის" საბჭოს პლენუმი

გუშინ, 24 დეკემბერს, შესდგა საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული საზოგადოება „მწყემსი"-ს ცენტრალური საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

საზოგადოების 1927 წლის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მწყემსის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გონაშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი", ამჟამად აერთიანებს 5.500 წევრს—ერთ მილიონზე მეტი ცხვრით. ჩამოყალიბდა 17 მატყლის მისაღები პუნქტი ბარში და 23 მოძრავი პუნქტი მთაში, რამაც საგრძნობლად გაადიდა მატყლის შესყიდვა; მაგალითად, 1926 წ შემოვიდა 55.405 ფ. მატყლი, 1927 წ. კი 60.127 ფ. ზრდა 8.5 პროც.).

მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს, რომ „მწყემსი" ამჟამად განიცდის საძოვრების კრიზისს. 1913 წელთან შედარებით. საძოვრების სივრცე საქართველოში შემცირებულია: ზაფხულო საძოვრების—69 პროც., საზამთრო —20 პროც. ამიტომ საზოგადოების ცხვრის გადაყვანა მოუხდა ოსმალეთში, სომხეთში და დაღესტანში გაყვანილია საძოვრებზე პერიოდში 221.000 სული ცხვარი. მომავალში უნდა გადავიყვანოთ ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: შაქრო ნავთლუღელმა, თამდილაშვილმა, ალიკაშვილმა, ლასკარმა და სხვებმა. ორატორები მიუთითებდენ: მავნე კონკურენციის მოსპობის აუცილებლობაზე, აპარატის რაციონალიზაციაზე, მწყემსებში კულტურულ მუშაობის გაძლიერებაზე და სხვა. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. რომელიც გამგეობის მუშაობას საფინანსო დარგში სწორად ცნობს, მიუთითებს მთელ რიგ დეფექტებზე და საჭიროდ სცნობს „მწყემსი"-ს გამსაღებელ პუნქტების საბრუნავი თანხების გადიდებას.

ქუნთრუშასა და ხუნაგის ეპიდემია

გაუფრთხილდით ბავშვებს!

ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემია თბილისში დაიწყო ნოემბრიდან. ეპიდემიასთან საბრძოლველად თბ. აღმასკ. ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსებულია განსაკუთრებული სამეული. ეპიდემიის მიმდინარეობის შესახებ საგანგებო სამეულის თავმჯდომარემ ექ. ლ. კამილოვმა განაცხადა:

— ყველა საბავშვო სენებს შორის ყველაზე საშიშ ავათმყოფობათ უნდა ჩაითვალოს ხუნაგი. გარდა ამისა, რომ ხუნაგისაგან ხშირათ ძალიან ძნელდება ბავშვის სიცოცხლის გადარჩენა, ეს სენი მორჩენის შემდეგაც, უტოვებს ბავშვს სხვადასხვა ავათმყოფობას. უკანასკნელ ხანებში ხუნაგის ეპიდემიას ემჩნევა ზრდა. დეკემბრის 15-მდე ხუნაგით ავათ გამხდარა მთელ ქალაქში 56 ბავშვი. ხოლო მარტო უკანასკნელ კვირაში კი (5 დღეში) 30 ბავშვი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულმა ეპიდემიამ იცის მეტად სწრაფი ზრდა, საჭირო ხდება ამ ეპიდემიასთან საბრძოლველად მეტად მკაცრი ზომების მიღება. ამ მხრივ საგანგებო სამეული მიიღებს ყოველგვარ ზომებს, მაგრამ საჭიროა თვითონ მშობლებიც გაუფრთხილდნენ ბავშვებს და არ გაუშვან ისინი ისეთ ადგილას, სადაც ხალხი იყრის თავს.

მომავალ საშობაო არდადეგების დროს საგანგებო სამეულის ამცრელი რაზმები დაიწყებენ ქუნთრუშისაგან აცრას თბილისში არსებულ საბავშვო ბაღებში. საგანგებო სამეულმა უკვე დამთავრა აცრის ჩატარება 14 სკოლაში და 6 საბავშვო ბაღში.

აღსანიშნავია, რომ ქუნთრუშის ეპიდემიას უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეტყობა საგრძნობი შესუსტება. რაც უნდა მიეწეროს ამცრელი რაზმების მუშაობას. ქუნთრუშის და ხუნაგის ეპიდემიებისაგან თავი უნდა დაიცვას ყველა ახალგაზრდობამ 15-16 წლის ასაკამდე.

საქ. სახკომსაბჭოში

ბარიტზე დაწესებული საფუთო გადასახადის შესახებ

ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ უარჰყო ს.მ.უ. საბჭოს შუამდგომლობა ადგილობრივი აღმასკომების სასარგებლოდ ბარიტზე დაწესებული საფუთო გადასახადის რაოდენობის გადასინჯვის შესახებ.

ამასთანავე წინადადება მიეცა ს.მ.უ. საბჭოს მიიღოს ზომა, რათა ბარიტის თვითღირებულება სხვა ზედნადების ხარჯის შემცირებით იქნეს დაკლებული.

მედიკამენტების 1927—28 წ. საიმპორტო გეგმა

1927—28 წ. მედიკამენტების საიმპორტო გეგმა დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: ქინაქინა 273.205 მან.; იოდი 30.000 მან., სხვა მედიკამენტები—176.805 მან.; საექიმო იარაღები და ხელსაწყოები 100.000 მან., საოპტიკო მასალა 18.250 მან. სულ—598.560 მან.

ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს სარედაქციო კოლეგია

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოხსენების თანახმად, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოეწყოს ხსენებულ სამმართველოსთან სარედაქციო კოლეგია ამხ. რუხაძის (თავმჯდომარე), ბ. ჩიქოგიძის, გ. ფერაძის და გ. მაღნარაძის შემადგენლობით.

ჯანსახკომის კოლეგიაში

ამხ. ა. გოგობერიძე განთავისუფლებულია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრობისაგან.

რიონჰესის სამუშაოები

სამუშაოთა სამმართველოს ცნობით, 15 დეკემბრისათვის რიონჰესის მთავარ სამუშაოებიდან შესრულებული იყო შემდეგი: დაიწყო მიწის თხრა და კლდის ჭრა—მთავარი ჯებირის, წყალმიმღების და № 1 გვირაბის რაიონებში მთავარ ჯებირთან უკვე მიზიდულია წინასწარ გამზადებული გრანიტის ქვები ჯებირის ასაგებად. რკინა-ბეტონის სამუშაოების ადგილას მიზიდულია 1.800 კუბიკური მეტრი ქვიშა და ხრეში. წყალმიმღებთან (საგენერატორო სადგურის მახლობლად) გაყვანილია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა ნაპირა მიწის გადასაყრელად. დასრულდა აგრეთვე ორი რკინის გზის ჩიხის მოწყობა.

დროებითი ელექტრო-სადგურის მოსაწყობად ადგილობრივ მიტანილია ორი ახალი სისტემის ლოკომობილი, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 680 ცხ. ძალას. ელექტრო სადგურის აგება გადაცემული აქვს სააქციო საზოგადოება „საქმშენს", რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ტელეფონის ქსელის მოწყობა რიონჰესის მთელ ტერიტორიაზე უკვე დასრულებულია სულ დადგმულია 30 სატელეფონო აპარატი. დასრულდა საბაზისო სახელოსნოების აგება და მოწყობა

ზაჰესის მთელი მოწყობილობა გადატანილია რიონჰესის სამუშაოთა რაიონებში. ყველა ამ მოწყობილობათა საერთო ღირებულება უდრის 740.000 მანეთს. საზღვარგარეთ შეკვეთილი მოწყობილობების მიღება უკვე დაწყებულია. ჯერ-ჯერობით მიღებულია შეკვეთილ მანქანათა მცირე ნაწილი.

საქ. უნივერსიტეტში

სტალინგრადის სტუდენტთა დელეგაცია

საქ. უნივერსიტეტის აღმასბიურომ მიიღო დეპეშა სტალინგრადის უნივერსიტეტიდან, რომელშიაც იტყობინებიან, რომ ამ დღეებში საქართველოს უნივერსიტეტის გასაცნობად გამოემგზავრება სტალინგრადის სტუდენტთა დელეგაცია.

სავეტერინარო განყოფილება

უნივერსიტეტმა გადასწყვიტა. აგრონომიულ ფაკულტეტთან მოეწყოს სავეტერინარო განყოფილება. განყოფილების მოსაწყობათ გამოყოფ. კომისია ამხ. ვ. კანდელაკის მიწსახკომის წარმომადგენლის, პროფ. კეკელიძის, პროფ. გ. მუხაძის, და პროფ. ა. რაზმაძის შემადგენლობით.

38.348 მ. 28 კ. კლუბისათვის

სტუდენტთა საკლუბო ფონდის მოსაწყობათ. საქ. უნივერსიტეტმა საქართ. საზ-ბა „[illegible]"-ს გადასცა 38.348 მ. 28 კ. [illegible]

ა.-კ. მებამბეობის კომ-ში

ქატოს გატანა

ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტმა დაადგინა საზღვარგარეთ გაიტანოს 6.552 ტონა ქატო.

თესლის შესყიდვა

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა დაადგინა მიყიდოს საპონ-ზეთის ტრესტს მისი ქარხნების საჭიროებისათვის 200.000 ფუთი ბამბის ტექნიკური თესლი და მიაწოდოს ამ ქარხნებს ნედლი ბამბა მშრალი ბამბის დასამზადებლად. ხელშეკრულების თანახმად, საპონ-ზეთის ტრესტმა უნდა დაამზადოს 30—35 ათასი ფუთი ბამბა.

მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა მისწერა თავის განყოფილებას აზერბეიჯანში, რომ ეს უკანასკნელი შეუთანხმდეს ფეიქართა კავშირს, რათა მუშების და მოსამსახურების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან დარჩენილი თავისუფალი თანხა გამოყენებულ იქნეს მუშათა სახლების ასაგებად ყვლახში, ზუბოვკაში და უჯარაში და აბანოების მოსაწყობად გახჯის, ზუბოვკის, პეტროპავლოვსკის, ლიაკის და უჯარის ქარხნებთან; ამას გარდა, ამ თანხიდან სესხად უნდა მიეცეს ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებს 20.000 მანეთი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ცირკულიარი № 3

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მოკავშირე აფხაზეთის სოც. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა მაზრა-ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს.

ქალაქის საბჭოების გადარჩევის შესახებ

1927 წლის ქალაქების საბჭოების არჩევნების დროს უეჭველ მიღწევებთან ერთად, აღსანიშნავია აგრეთვე ნაკლულოვანებაც, როგორიც არის:

1. ზოგიერთ ქალაქის საბჭოების შემადგენლობაში მუშებისა და მუშა-ქალების არა საკმაო რაოდენობით ჩაბმა (40 პროც.).

2. ქალაქის საბჭოებში ქალების მცირე რაოდენობით ჩაბმა (10,5 პროც.).

3. ზოგიერთ ქალაქის საბჭოებში და მათ აპარატებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სიმცირე.

ამის გამო, ქალაქის საბჭოების გადარჩევის დროს საჭიროა იხელმძღვანელოთ საარჩევნო ინსტრუქციით და სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის ა-წ. 17 დეკემბრის თარიღით გამოცემულ ცირკულიარის № 1-ის ძირითად დებულებით, და მიაქციოთ სათანადო ყურადღება შემდეგს:

1. საარჩევნო კომისიები ყალიბდებიან საარჩევნო ინსტრუქციის 10—20 მუხლების თანახმად, დაზგის მუშების და მუშა-ქალების მონაწილეობის უზრუნველყოფით.

2. ქალაქის საარჩევნო უბნებათ დაყოფის დროს საარჩევნო პუნქტები შექმნილ უნდა იქნას პროფკავშირებში გაერთიანებულ ამომრჩევლებისათვის წარმოება - დაწესებულებებში და წარმოებითი ნიშნების მიხედვით, ხოლო დანარჩენებისათვის და პროფკავშირებში გაერთიანებულ ამომრჩეველთა ოჯახის წევრებისათვის მოეწყოს ცალკე საარჩევნო კრებები.

3. საარჩევნო უფლების მქონე და ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა სახელობითი სიები სდგება საერთო წესით ყველა ქალაქებში გარდა ქ. თბილისისა.

4. ამომრჩეველთა მოწვევის საუწყებო სისტემა დატოვებულ უნდა იქნას ყველა ქალაქებში, გარდა ქალაქ თბილისისა, სადაც უწყება ეგზავნებათ მხოლოდ პროფკავშირებში გაერთიანებულ ამომრჩეველთა ოჯახის წევრებს.

5. ქალაქის საბჭოს დეპუტატთა საანგარიშო მოხსენებები უნდა ჩატარდეს წარმოება - დაწესებულებებში. მოხსენებაში აგრეთვე გაშუქებული უნდა იქნეს წარსულ წელში მიცემული გამწესის (ნაკაზის) შესრულება. აქვე კრებაზე უნდა მოხდეს ახლად ასარჩევ დეპუტატთათვის განაწესების პროექტის შემუშავება და განხილვა.

6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის საბჭოების და მათი პრეზიდიუმების შემადგენლობაში დაზგის მუშების და მუშა-ქალების რაოდენობის გადიდებას.

7. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ამომრჩეველთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციონალურ წარმომადგენლობას ქალაქის საბჭოებში.

სრ. საქართვ. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ს. თოდრია.

სრ. საქ. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

23 დეკემბერი, 1927 წ.

გახურებული შანთით

იმედიც კარგი საქონელია

კულაკებმა ნიკა სომხიშვილმა და ილა დათუკიშვილმა მიიღეს დიდი კრედიტი მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსის"-აგან. მიღებულ თანხის ანგარიშში მათ „მწყემსი"-სათვის უნდა ჩაებარებიათ მატყლი. სომხიშვილმა საკითხი მოკლედ გადასჭრა. მან კრედიტი პირად საჭიროებას მოახმარა. როცა გამგეობამ მატყლზე მიაკითხა, სომხიშვილმა საკუთარ ბანანზე მიიკიდა ხელი და უთხრა, აი ჩემი მატყლი, ცხვარი მე არა მყავს, რა მატყლზე მეკითხებით ვერ გავიგეთო.

დათუკიშვილმა კი საქმე შორიდან დაიწყო. მან „მწყემსის" ფულებით ტრაქტორი შეიძინა, ასე ვსთქვათ სოფლის მეურნეობის მექანიზაციას შეუდგა. მექანიზაცია ჰპოვნის ფართე ნიადაგს მეცხვარეობის განვითარებისათვის. მეცხვარეობის განვითარების შემდეგ კი დათუკიშვილი მიართმევს მატყლს „მწყემსის" გამგეობას.

ასე მსჯელობს დათუკიშვილი, მაგრამ საინტერესოა, როგორ მსჯელობს „მწყემსის" გამგეობა, რომელიც ასე უპრაგონოთ აძლევს ფულებს კულაკებს. ამას სჩადის ის მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იყო მიღებული დადგენილება მატყლის კოოპერატიული წესით დამზადების შესახებ.

სომხიშვილი და დათუკიშვილი, კიდევ ჰო, კიდევ ასე როგორმე წარმოიდგენს. მაგრამ არავითარ ფანტაზიის და წარმოდგენას არ ეგუება ის ფაქტი, რომ „მწყემსის" გამგეობამ მატყლის დამზადების მიზნით მისცა სესხად პავლე იმგაიძეს 1.564 მანეთი, გიგა ბალაშვილს და ზემოხსენებულ ილა დათუკაშვილს 4.608 მანეთი, ვასილ კობაიძეს 1.956 მანეთი, ნიკო ჯალიაშვილს 1.960 მან., ფილიპე პავლიაშვილს 4.882 მან., ივან გორძაკიანცს 1.041 მან., მიშო ჯალიაშვილს 1025 მან., გუგულა ბენაშვილს 1.637 მანეთი და კიდევ სხვა პირებთან ერთად სულ გასცა 60 ათასი მანეთამდე სესხი.

ბევრ ამათგანს ცხვრის სისხლიც არ გააჩნიათ. მათ სხვაგან უნდა შეიძინონ მატყლი და შემდეგ „მწყემსს" გადასცენ, ესეც ვთქვათ კიდევ არაფერია, რომ „მწყემსის" მოვალეები უფრო შორს არ წასულიყვნენ. ბევრმა მატყლის ნაცვლად შეიძინა ცხვარი. „ხორცი მე და მატყლი „მწყემსსო", გადასწყვიტეს მათ ერთი ორაკის მსგავსად.

საყურადღებოდ ცხადია, რომ სესხების ასეთ ათასობით გაცემის დროს, ღარიბი გლეხკაცობის ხსენებაც არსად იყო. კულაკმა იჯერა გული „მწყემსის" ფულებზე. „მწყემსის" გამგეობა ალბად მატყლს ელის მათგან. რაც გაუწყობა, იმედიც კარგი საქონელია- მაგრამ მიუხედავად იმისა. რომ ამ ორგანიზაციას მეტად სიმპატიური სახელი აქვს, ყველა მისი ჭკუით არ დაიარება. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენ რომ „მწყემსის" მატყლის იმედით დავრჩებოდით, ჩაუცმელობისაგან სიცივით დავიხოცებოდით, ზამთარი, მოგეხსენებათ წელს მეტად ნადრევი და სუსხიანი დაგვიდგა.

კომბალი.

უყარაულოთ დარჩენილი საყარაულოს თემი

თბილისის მაზრაში, ერწოს რაიონში არის თემი. რომელსაც სახელად ჰქვია საყარაულო. არ ვიცით, რამდენათ ამართლებდა ეს თემი თავის სახელწოდებას წარსულში, ხოლო დღეს კი აშკარათ უნდა ითქვას, რომ ეს სახელი პირდაპირ დაცინვაა აღნიშნულ თემისათვის და სხვა არაფერი. თუ რაიმე საყარაულო და სადარაჯოა, პირველყოვლისა ეს საყარაულოს თემშია, სადაც აღმასკომის თავმჯდომარე ფანცულაია და კოოპერატივის ნოქარი ბუჯიაშვილი მალაყს გადადიან სახალხო ქონებაზე. ძნელია იმ ბოროტებათა ჩამოთვლა, რომელსაც სჩადიან შეხმატკბილებული თავმჯდომარე და ნოქარი. მაგრამ ლიტონ ბრალდებებს, სჯობს ფაქტები და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მკითხველის ყურადღება მოვაცდინოთ ამ ფაქტების ჩამოთვლით. მაშ დავიწყოთ:

1) კოოპერატივმა თბილისიდან მიიღო თეთრი პურის ფქვილი. თავმჯდომარემ და ნოქარმა ეს ფქვილი სახლში გაიტანეს, ხოლო კოოპერატივში მოაცლევს ადგილობრივი შავი ფქვილი, რომლის პურიც, რომ ანგარიშში სწორათ გამოსულიყო, თეთრი პურის ფასად გაყიდეს — გირვანქა 10 კაპეიკათ; 2) აღნიშნულ პირებს კოოპერატივიდან გააქვთ პურის ფქვილი, ძვირად არაყს და ღვინოს ფასში ყიდიან; 3) ქერით ვაჭრებს აძლევდა ფართალს; 4) ძმა-ბიძებს და ნათესავებს, თუნდაც ისინი კოოპერატივის წევრები არ იყვნენ, აძლევენ ისეთ საქონელს, რომელიც მხოლოდ კოოპერატივის წევრებს უნდა ეძლეოდეს; 5) კოოპერატივის სახელით ადგილობრივ ყიდულობენ საქონელს, ჰყიდიან მას თბილისში, მოგებას კი ძმურათ იყოფენ; თემში არის შემოსავლიანი წისქვილი, რომელიც ყოველთვის საჯარო ვაჭრობით იცემოდა იჯარაში. წელს სოფელს საჯარო ვაჭრობის შესახებ არაფერი გაუგია, ხოლო გაიგო თავმჯდომარის განცხადება: „წისქვილი მე და ნოქარს დაგვრჩა საჯარო ვაჭრობაში"-ო; 7) თემში საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა ცხენი, საქმეში ჩაერია თავმჯდომარე, ცხენი თვითონ დაიბრუნა და იმავე დღეს გაყიდა 50 მანეთის მოგებით...

მგონი კმარა... ბრალდებები კიდევ იმდენია, რომ მათ ჩამოთვლას მოუნდება მთელი ეს პატარა წერილი. როგორც ვხედავთ, საყარაულოს თემს ფანცულაია - ბუჯიაშვილის სახით დადგებული „ყარაულები" ადგას თავს.

ხელი ხელს ბანს, ამბობენ ხშირათ რაც არ უნდა ბანონ ერთმანეთს ხელები ნოქარ-თავმჯდომარემ. ბოროტმოქმედების ჩირქს ისინი ერთმანეთს ვერს მორეცხავენ.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ მალე მესამე ხელიც ჩაერევა ნოქარ - თავმჯდომარის ხელებში და ისე მაგრათ დაჭერს მათ, რომ ბოლოდ ყალყზე დადგებათ. სიტყვა თბილისის აღმასკომს ეკუთვნის.

სოფლის მოკეთე.

„პურმარილის" კაცი შაქრო

შაქრო მიქაძე ცნობილი ვაჭარია დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანში. ის ოსტატურად ვაჭრობს, რომ რწყილსაც ტყავს გააძრობს და საქალამნეთ გაასაღებს, იყო დრო კურთხეული, სანეტარო დრო, როცა შაქროები არა თუ ვაჭრობდენ. არამედ სახლებსა და ბაღ-ვენახებსაც იძენდენ. მუხრანში, მოგეხსენებათ, ბაღის პატრონობა მეტად სარფიანი საქმეა. მაგრამ მოხდა ის. რასაც ვაჭარი შაქრო ვერასოდეს წარმოიდგენდა. ჩამოართვეს შაქროს ბაღი, დაზვინეს და დაამძიმეს გადასახადებით. ჩამორთმეული ბაღი გადაეცა ქვრივს.

ბევრი იხტუნა შაქრომ, აქეთ ეცა, იქით ეცა, სად ქრთამით სცადა, სად ვექილობით, სად ხვეწნა-მუდარით,—არაფერმა გასჭრა. მამული მაინც ქვრივის ხელში დარჩა. მაგრამ ნათქვამია:—მამულისათვის ისე სჯობს, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. მამაზე უფრო მეტად გახელდა ბაღის დაკარგვამ შაქროს ღირსეული ვაჟი, რომელმაც ერთ ღამეს იხელთა დრო, გადავარდა ბაღში და ძირში დასჭრა ვაზის ნერგები და საუკეთესო ნამყენები.

შერჩა შაქრო ისევ თავის დახლს,—თავის ძველ სამიკიტნოს. მაგრამ აქაც ოსტატურად დაუწყო საქმეს. მამულზე სასამართლოში საჩივარი შეიტანა, თავი გლეხათ გამოაცხადა, დუქანში კი უპატენტო ვაჭრობა გაშალა. ახლაც ეს მითხარით, ვაჭრობს უფასოდ. გლეხის სახელს ატარებს და თან მამულის დაბრუნების საქმეს აჩარხაკებს. ბევრ თბილისელ ვაჭრებს შეშურდებათ შაქროს გოგრა. აი კაცი, აი მესმის ვაჭარი, იტყვიან ისინი. მაგრამ საქმე აქ იმდენად შაქროს გოგრაში არაა, რამდენადაც სხვების, რომელნიც მოვალენი არიან თვალყური ადევნონ ამ უმსგავსობას.

შაქრო მიქაძის სამიკიტნოში მუდამ დღე ჰარი-არალი და კახური მრავალ-ჟამიერის გუგუნია. სოფელი გააყრუა ამ განუწყვეტელ ქეიფმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივი ხელისუფლება და ფინინსპექტორი ჯერ აინუნშიაც არ მოსულან. შაქრო თავის მუშტრებს, სხვების თვალის ასახვევად, სტუმრებს უწოდებს. ან კი რა ქნას, ძველი „პურ-მარილის" კაცია.

ვინც ფულს იხდის ამ „პურ-მარილში" მისთვის ყველაფერი სულერთია. მაგრამ ფრთხილად იყვნენ ისინი, ვისაც ვაჭრების ნასუფრალისაკენ უჭირავს თვალი. მათ კარგათ უნდა ახსოვდეთ, რომ შაქროების პურ-მარილი ბევრს შაქრათ არ შერგებია.

დელ.

ორშაბათს 26 დეკემბერს საღამოს 6 საათზე
მუშათა თეატრში (კორის ქუჩ.) შესდგება
თბილისის საბჭოს მუშათა და წითელ-არმიელთა
დეპუტატების საბჭოს მეხუთმეტე პლენუმი
სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად

დღის წესრიგი:

1. ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის ანგარიში და სექციის თანამოხსენება.
2. მიმდინარე საკითხები.

სამშაბათს 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში (ოთახი № 228) დანიშნულია არა მორიგი სხდომა სავაჭრო-კოოპერატიული სექციისა,

სექციის წევრების და სექციაზე მიმაგრებულ მუშათა აქტივის დასწრება სავალდებულოა.

ნ. 386.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

„პატარა" ფაქტი დიდი დასკვნებისათვის

„ალბად ამხ. №-ს უკუღმა გაუგია ძია ლენინის სიტყვები"

ამ წერილში მე მოვიყვან „პატარა" ფაქტს. ამ „პატარა" ფაქტიდან დიდი დასკვნები უნდა გააკეთოს ყოველმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, პასუხისმგებლობას მუშათა კლასისა და მისი რევოლუციის წინაშე; და უნდა გააკეთოს დიდი დასკვნები ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობის დროს გამოსაყენებლად, ცხოვრებაში გასატარებლად.

ვინ იცის, რამდენ ასეთ ფაქტს აქვს ადგილი ყოველდღიურად ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს დაწესებულებებში, რომლებსაც ჯერ კიდევ სავსებით ვერ განვუკურნავთ თავი ბიუროკრატიულ სიმახინჯისაგან!

ვინ იცის, რამდენი ასეთი ფაქტი რჩება ჩვენ მიერ უყურადღებოთ, შეუმჩნეველად, რადგანაც ბევრ რამეს, რაც მიუღებელია, დაუშვებელია, ზოგი ჩვენგანი შეეჩვია; ბევრმა რამემ, რაც მიუღებელია, დაუშვებელია, თითქოს მოიპოვა ზოგან და ზოგიერთთან არსებობის უფლება!

ვინ იცის, ასეთმა ფაქტმა რამდენ მუშას და გლეხს, პარტიულს და უპარტიოს, რამდენ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს გაუტეხა გული, ათქმევინა ძალაუნებურათ საყვედური ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მისამართით, რომელიც მას თავისად მიაჩნია და რომლის გულისთვის ის მზადაა გასწიროს თავი!

იქნებოდა ნახევარი უბედურება, რომ მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესებს ბღალავს ჩვენი დაწესებულებების ბიუროკრატიული სიმახინჯე, თავის გულისწყრომას და საყვედურს მიმართავდენ მხოლოდ იმ მოკალათებული ბიუროკრატების წინააღმდეგ; მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ეს საყვედური და გულისწყრომა მეტ წილად იგზავნება ჩვენი პარტიის და ხელისუფლების მისამართით, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა და ბიუროკრატიზმისაგან სახელმწიფო აპარატის გაწმენდა.

ფაქტი, რომლის შესახებ მოგახსენებთ. მდგომარეობს შემდეგში:

17-ამა თვეს საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტ. საპროპ. განყოფილებაში შემოვიდა ოთხი ბავში 7-10 წლ., რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი წარმოადგენენ მეორე შრომის სკოლის მოსწავლეთა დელეგაციას; ერთი მათგანის, ბარდუაშვილის, დედა, რომლის მეტად ღარიბული ოთახი პლეხანოვის ქუჩაზე გაუნადგურებია ცეცხლს, მისულა დახმარებისათვის თბილისის აღმასკომის საბინაო განყოფილებაში, საიდანაც ის ამ განყოფილების ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს, ამხ. №-ს დარაჯის საშუალებით გამოუგდია გარედ. ბავშებს აღუწერდა უმწეო მდგომარეობა მათი ამხანაგისა, რომელიც დროებით დედასთან ერთად შეხიზნულა ვიღაც ნაცნობთან. უფრო მეტად კი მათ აღელვებდა საბჭოთა დაწესებულების პასუხისმგებელი მომუშავის მხრივ ყოვლად უმსგავსო, უდიერი მოპყრობა, ნაცვლად თანაგრძნობისა და დახმარების აღმოჩენისა.

— „განა ძია ლენინი ამბობდა, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არ მიიღოთ და გარეთ გამოაგდოთ დარაჯის საშუალებითო?"—გვეკითხებოდა ერთი ბავში.

— „ალბათ ამხ. №-ს უკუღმა გაუგია ძია ლენინის სიტყვები"-ო ამბობდა მეორე.

„საჭიროა პასუხი მოეთხოვოს ამხ. №-ს და უბინოთ დარჩენილ, ბარდუაშვილს კი აღმოუჩინოს დახმარება"-ო ამბობდა მესამე.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ბავშების განცხადებაში გაისმოდა არა გაუბედავი, თხოვნის კილო, არამედ მოთხოვნის გაბედული კილო.

ასეთია ფაქტი, გადმოცემული ბავშების მიერ. ასეთია ამ მოვლენის შეფასება ბავშების მიერ. შეიძლება ამ ფაქტისათვის ზოგიერთი ჩვენგანს, მისი მოწმეც რომ ყოფილიყო აღმასკომში, არც კი მიექცია დიდი ყურადღება, არამედ გამოეთქვა თავის გულში უბრალო უკმაყოფილება და გვერდი აევლო. ეს ხდება, რაც მეტად სამწუხარო და სავალალოა.

მაგრამ მას შემდეგ, როდესაც მას ყურადღება მიაქციეს 7-10 წლ. ბავშებმა, იმსჯელეს მასზე, სათანადოთ შეაფასეს ის და დელეგაციაც კი გამოჰყვეს, რომ ეს ეცნობებინათ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ეს მოვლენა და აქედან არ გავაკეთოთ ზოგიერთი საჭირო დასკვნები.

პირველი დასკვნა ამ ფაქტიდან. ჩვენს დაწესებულებებში ჯერ კიდევ საკმაოთ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებსაც დაავიწყდათ, რომ ისინი მშრომელ მასებს უნდა ემსახურონ, რომ ისინი მშრომელი მასების მიერ არიან დაყენებული, თუ გნებავთ, დაქირავებული მათი საქმეების საკეთებლად, რომ ისინი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ მშრომელთა მოთხოვნილებებს, რომ ისინი ვალდებული არიან იხმარონ ყოველი ღონისძიება, რომ შეუმსუბუქონ ღარიბებს და გაჭირვებულებს მდგომარეობა, რომ დააკმაყოფილონ მათი ისეთი თხოვნა ან მოთხოვნილებანი, რის დაკმაყოფილება შესაძლებელია, რომ დაბოლოს ადამიანური სიტყვებით მისცენ ახსნა-განმარტება ისეთ თხოვნა ან მოთხოვნილებაზე, რის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

მეორე დასკვნა. გაიზარდა მასის შეგნება. მასისათვის უცხო არ არის ჩვენი პარტიის და ხელისუფლების იდეები. არამც თუ მოზრდილები, არამედ პატარა ბავშებიც კი იცნობენ ლენინს, მის შეხედულებას სახელმწიფო აპარატზე და მის დამოკიდებულებას მუშებთან, გლეხებთან, ყველა მშრომელებთან და მათ მოთხოვნილებებთან.

მესამე დასკვნა. მუშებს და გლეხებს კარგათ აქვთ შეგნებული თავისი უფლებები საბჭოთა ქვეყანაში; არამც თუ მათ, არამედ მათ ბავშებსაც კი აქვთ შეგნებული ეს უფლებები. არამც თუ მუშები და გლეხები, არამედ ბავშებიც კი გრძნობენ, რომ ისინი ლენინის ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, რომ ისინი ძალა-უფლების მატარებელნი არიან. ამიტომ ისინი მოითხოვენ ჩვენი დაწესებულებებისაგან ამ უფლებათა სრულათ და სისწორით განხორციელებას, მოითხოვენ სასტიკი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც მოკალათებულან სხვადასხვა დაწესებულებებში, თავი ბატონებათ წარმოუდგენიათ, და უყურადღებოთ, ან უდიერად ეკიდებიან მასების მოთხოვნილებებს.

მეოთხე დასკვნა. მუშას და გლეხს, დიდს და პატარას სწამთ საბჭოთა სისტემის შინაგანი ძალები; სწამთ ძლიერება კომუნისტური პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი უიმედობას კი არ ეძლევიან იმ სიმახინჯეთა გამო, რომელთაც ადგილი აქვთ ზოგიერთ ჩვენს დაწესებულებებში ზოგიერთი პირების წყალობით, არამედ, სწამთ რა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას აქვთ ძალა და შეძლება ამ სიმახინჯეთა აღსაკვეთად, ცხადდებიან სადაც ჯერ არს და თამამად მოითხოვენ მკაცრი ზომების მიღებას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისი მოქმედებით, ვინც თავისი საქციელით, ვინც თავისი მოპყრობით მუშებსა და გლეხებთან, ჩირქს სცხებენ საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიას, ამახინჯებენ, სისწორით არ ატარებენ ცხოვრებაში ლენინის მოძღვრებას და ლენინის პარტიის დადგენილებებს.

მეხუთე დასკვნა. მასებს კარგათ შეგნებული აქვთ, რომ გარეშე მათი ფხიზელი და მკაცრი მეთვალყურეობისა, ხელისუფლებას და პარტიას არ შეუძლია აღმოფხვრას ძირ-ფესვიანად ჩვენს სახელმწიფო აპარატში ყველა ბიუროკრატიული გადამახინჯებანი და რკინის ცოცხით გამოწმინდონ იქიდან ყველა ბიუროკრატები და უხეში ელემენტები.

მასებს კარგათ აქვთ შეგნებული, რომ „ბრძოლა ბიუროკრატიზმთან ბოლომდი, სრულ გამარჯვებამდი, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას მართვა-გამგეობაში". **(ლენინი ტ. 16, გვ. 127).**

„თუ ჩვენ გვინდა ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, უნდა ჩავიყოლიოთ ამაში დაბლობები. რომელი სხვა საშუალებით შეიძლება მოვსპოთ ბიუროკრატიზმი, თუ არა მუშებისა და გლეხების მონაწილეობით"? **(ლენინი).**

„მასებს კარგათ აქვთ შეგნებული, რომ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან უნდა აწარმოებდნენ მუშების და გლეხების ფართო მასები. ლენინი გვასწავლიდა ჩვენ, რომ წარმატებითი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან შეიძლება მხოლოდ მასების მონაწილეობით". **(ს. ორჯონიკიძე. მე-15 ყრილობა).**

მასების ეს შეგნება და ამ შეგნების პრაქტიკაზე მოხმარა, გამოყენება თავდებია იმისა, რომ პარტია და ხელისუფლება შესძლებენ მიზნის მიღწევას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

ამიტომ ამხელენ ისინი ბიუროკრატიზმს, ბიუროკრატებს და მოითხოვენ მათთან ბრძოლას.

მეექვსე დასკვნა. ყოველმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, პასუხისმგებელი იქნება ის თუ ტექნიკური მუშაკი, კარგად უნდა ასწონ-დასწონოს ყველა ეს დასკვნები, შეისწავლოს კარგათ ლენინის სწავლება ბიუროკრატიზმის, მასთან ბრძოლის შესახებ, შეისწავლოს კარგად ჩვენი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებები ამ საკითხის შესახებ და აწარმოოს დაუღალავი და სისტემატიური მუშაობა თავის თავზე, საკუთარი თავის გარდასაქმნელად ისეთ ადამიანათ, რომელიც შეეფერება ახალ დროს, სოციალისტურ ხანას, იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც უყენებენ სოციალისტურ დროს მუშები, გლეხები და ყველა მშრომელები.

ვისაც სურს დარჩეს ჩვენს სახელმწიფო აპარატში, მან უნდა აწარმოოს დაუღალავი მუშაობა თავის საკუთარ თავზე ბიუროკრატიზმისაგან და ბიუროკრატიულ გადახრათაგან სრულიად და სავსებით განსათავისუფლებლად.

მეშვიდე დასკვნა. ჩვენი პარტიის არც ერთმა უჯრედმა არ უნდა გამოუშვას ყურადღებიდან, რომ საჭიროა ბიუროკრატიზმთან განუწყვეტელი და შეუბრალებელი ბრძოლა, კიდევ და კიდევ უნდა დასვას გასარჩევად ცეკას, ც. ს. კ. ცირკულიარი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, უნდა აამოქმედოს ბიუროკრატიზმთან მებრძოლი კომისიები, უნდა გაუწიოს მათ არა ფორმალური, არამედ ნამდვილი საქმიანი ხელმძღვანელობა, უნდა შეისწავლოს და გაამჟღავნოს ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მეთოდები და ფორმები, უნდა ჩაიყოლიოს ამ ბრძოლაში მუშების, მოსამსახურეების, გლეხების და ყველა მშრომელების ფართე მასები და სხვ.

ჩვენი პარტიის ყოველმა უჯრედმა, ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ „მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს შეუბრალებელი, სისტემატიური ბრძოლა ბიუროკრატიულ სიმახინჯეებთან ჩვენი საბჭოთა აპარატის ყველა ნაწილებში. საკითხი ეხება... მიუღებელ მოპყრობას ადამიანთან სახელმწიფო დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოოპერაციაში, მილიციაში, სასამართლოში და სხვ. არ უნდა ქონდეს ადგილი ისეთ მოვლენას, როცა ჩვენს კოოპერაციაში ტანისამოსის მიხედვით ხვდებიან და აცილებენ. თუ ყურადღებას მივაქცევთ ტანისამოსს, ეს უნდა იყოს იმის სასარგებლოთ, ვისაც არა აქვს კარგი ტანისამოსი. ყოველ ჩვენს დაწესებულებაში მომსვლელმა უნდა მიიღოს მისთვის საჭირო და გარკვეული პასუხი". **(ს. ორჯონიკიძე. მე-15 ყრილობა).**

მერვე დასკვნა. ც. ს. კომისიამ, მ. და გ. ინსპექციამ, ბიუროკრატიზმთან მებრძოლ ადგილობრივმა კომისიამ უნდა გამოიძიოს ეს კონკრეტიული შემთხვევა და სამაგალითოდ დასაჯოს დამნაშავე. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოიყენოს ამ შემთხვევაში მე-15 პარტყრილობის დადგენილების მე-10 მუხლი მ. და გლ. ინსპექციის და ც. ს. კ. ანგარიშის შესახებ. ეს მუხლი ამბობს. „ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული, თვით სასამართლოს პასუხისგებაში მიცემამდე, შეურყეველად უნდა ვსდევნიდეთ ყველა სახელმწიფო აპარატის ყველა იმ მოსამსახურეებს (როგორც კომუნისტებს, ისე უპარტიოებს), რომელნიც მთხოვნელებს მოეპყრობიან უყურადღებოდ, მედიდურად და ბატონურად; მუშისა ან გლეხისადმი უყურადღებობის გამოჩენა — ამა თუ იმ ადმინისტრატიულ, სავაჭრო, კოოპერატიულ ან სამრეწველო აპარატის მოსამსახურის მხრივ, განხილულ უნდა იქნას, როგორც საბოტაჟი და ბოროტმოქმედება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

დასასრულ, ვაცნობებ მეორე შრომის სკოლის მოსწავლეთა დელეგაციის წევრებს, რომელნიც აღელვებულნი იყვნენ № ამხანაგის მიერ „ძია ლენინის სიტყვების უკუღმა გაგებით", რომ სათანადო ორგანოების მიერ №-ს მიმართ იქნება მიღებული ისეთი ზომები, რომელიც დააშვიდებს თქვენს აღელვებულს უმანკო გულს და ბევრს №-ის მსგავსათ დაუკარგავს „ძია ლენინის სიტყვების უკუღმა გაგების" მადას.

თქვენ კი იზარდეთ, ისწავლეთ, იარეთ ძია ლენინის გზით, გახდით საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები და დაეხმარეთ საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას როგორც ბიუროკრატიზმის და სხვა სიმახინჯეთა, უკულმართობათა აღმოფხვრაში, ისე მთლიანად სოციალისტური საზოგადოების აგების საქმეში.

ხ. მამულია.

საბჭოთა საქართველო

წერილები

მიწათ-მოწყობა შორაპნის მაზრაში

მთელს მაზრაში მემამულეებზე ჩამორთმეული მიწების რაოდენობა უდრის 6.889 დეს. 120 კვ. საჟ. აქედან გლეხობას გადაეცა 5.65 დესეტინა. ჩარიცხულია სახელმწიფო ფონდში კულტურული მნიშვნელობისათვის 1.702 დეს. 120 კვ. საჟ.

1924 წელში ჩატარებულია მიწათ-მოწყობა ძველი წესით 27 სოფელში და მოწყობილია 28.248.3 დეს.

1925—26 წელში მოწყობილია 5 სოფელში 4.100 დეს. სივრცით. ამ ხუთ სოფელში ჩამორთმეულია მემამულეებზე ზედმეტად დატოვებული მიწები და განაწილებულია უმიწაწყლო გლეხობაზე 27 დეს. 7190 კვ. საჟ.

1926—27 წელს 1 ოქტომბრიდან დაწყებულია მიწათ-მოწყობა 7 სოფელში, რომლიდანაც დამთავრებულია 4 სოფელში და მოწყობილია 3.475 დეს. დანარჩენ სოფლებში მიღებულია ზომები მის დასამთავრებლად. სულ მთელს მაზრაში მოწყობილია 25.823.3 დეს. მიწა.

მიწების სიმცირის გამო გადასახლებულია მაზრიდან 8.000 კომლი; კერძოთ სამრეწველო რაიონიდან 900 კომლი. აქედან ტირიფონის ველზე მიჩნეული აქვთ სამოსახლო ადგილები ს.ს.ს.რ. ცაკის დასტურით 120 კომლს.

მ. გამყრელიძე.

შემოქმედის თემი, გურია
ფოსტის ულირსი გამგე

სოფ. შემოქმედში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, მას განაგებს ვინმე ალექსანდრე კეჟერაძე, რომელიც დღე და ღამე ღვინით არის გალეშილი, დაწესებულება უპატრონოთ აქვს მიტოვებული და „სადაც დაუღამდება, იქ გაუთენდება". უმეტეს შემთხვევაში კი მას უთენდება და უღამდება ბანქოს თამაშში. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ როგორი დაუდევრობით, სრული უპასუხისმგებლობით და თავისი მოვალეობის აბუჩად აგდებით ეკიდება სამსახურს მოქ. კეჟერაძე. ხშირია შემთხვევა, როცა ფოსტის კარები ღიაა, ხოლო კეჟერაძე კი ამ დროს კარტებს სცლის სახინკლეში.

იმედი გვაქვს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ღირსეულ პასუხს მოსთხოვს თავის ულირს თანამშრომელს.

კ. ხ—ძე.

წყალსადენის გაყვანის დამთავრება
(წერილი ცაგერიდან)

პირველ დეკემბერს ცაგერის მთავარი ქუჩის ბოლოზე, სახელდობრ სამპარტკომის და სამაზმასკომის შენობების წინ — ამოხეთქა ვიწრო მილში მომწყვდეულმა წყლის შადრევანმა, დიდი ინტენსივობით სწარმოებდა მუშაობა წყალსადენის გასაკეთებლად. და აი, პირველ დეკემბერს უწყლობით შეწუხებულ ცაგერის ქუჩებზე დაიწყო დენა წყაროს სუფთა წყალმა.

წყალსადენი წყალს მიაწვდის საავადმყოფოს, აბანოს და მოსახლეობასაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება წყალსადენს საავადმყოფოსათვის.

წყალსადენის დამთავრება უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მაზრაღმასკომის მუშაობაში.

ვუსურვებთ აღმასკომს ასეთი ენერგიული მუშაობის შემდგომ განვითარებას.

ა. ფრუიძე.

ხ. დიდება-კიკეთი, თბ. მაზრა
მოგვაშორეთ საქმის უცოდინარი.

სოფელ კიკეთში ინჟ. ლეონტიევს აქვს მოტორიანი წისქვილი, რომლითაც სარგებლობს კიკეთის რაიონის გლეხობა. თავიდანვე წისქვილს ამუშავებდა გამოცდილი მომუშავე ამხ. ლიპკო, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და გლეხობაც კმაყოფილი იყო. ის ხშირად აძლევდა გლეხებს ნისიად მინდ ფქვილს. ამას წინად მან თავი დაანება წისქვილში მუშაობას და მის ადგილზე მუშაობს ვინმე მიხაილოვი, რომელსაც მუშაობის არაფერი ესმის. გარდა ამისა ის უხეშად ეპყრობა გლეხებს, არ იცის ქართული ენა, რითაც დიდ გაჭირვებას განიცდიან წისქვილში მისული რუსული არამცოდნე გლეხობა.

ხსენებული სოფლების გლეხობა მოითხოვს ინჟ. ლეონტიევისაგან, რათა მან კვლავ მოიწვიოს წისქვილში სამუშაოდ ამხ. ლიპკო, ხოლო თუ ეს მოუხერხებელია, იმ შემთხვევაში გამოძებნოს ვინმე შესაფერი პიროვნება და მოგვაცილოს მოჩხუბარი და საქმის არამცოდნე მიხაილოვი.

დიდება-კიკეთლები.

მოსაგვარებელი საკითხი

მიმდინარე წლის დასაწყისში, მწყემს მეცხვარეებს ჩამოერთვათ ზამთრის საძოვრები და მის მაგიერად დაურიგდათ თათრული ბერდანკები, მაგრამ აღნიშნული სისტემის თოფების ვაზნები თითქმის არ იშოვება, ამის გამო ბევრი მეცხვარე დარჩა უიარაღოთ. ზამთრის დადგომის გამო გახშირდა მტაცებლობა, ცხვარს იტაცებენ მხეცებთან ერთად ყაჩაღებიც და ამ დროს კი მეცხვარე უიარაღოთ რჩება. დღეს ბევრია ისეთი მეცხვარე, რომელსაც უიარაღობამ მოუსპო საშუალება ცხვარი დაიცვას ნადირისა და მტაცებლობისაგან.

მეცხვარეთა კოოპერატიული საზოგადოება „მწყემსი", ენერგიულ ზომებს ღებულობს მწყემსებისათვის იარაღის მისაწოდებლად, მაგრამ ყველა მათგანის დაკმაყოფილება მას არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა, რათა მეცხვარეებს ამ საქმეში აღმოუჩინოს სასწრაფო დახმარება.

მწყემსი.

თავასის თემი, შორაპნის მაზრა
(დაიცავით ისტორიული ნაშთები)

ჩვენ თემში ბევრი ძველი ციხე-კოშკებია, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მათ დასაცავად დღემდის არავინ ზრუნავს და გლეხები ანგრევენ.

მართალია, ამის შესახებ იყო გლეხობა გაფრთხილებული, რომ არ დაენგრიათ ასეთები, გაზეთებშიაც ბევრჯერ დაიწერა წერილები, მაგრამ რა გამოვიდა, უბრალო თიწერ-მოწერას არ გასცილებია საქმე. ხოლო ძველ ნაშთებს გლეხები ისევ ანგრევენ, რაც დაუშვებელია. მაგალითად: „სკანდის ციხე" წელს დაანგრიეს, დაანგრიეს აგრეთვე „ნაკოშკარი" და „გორისა". არის ცდები „ნაკოშკარში" და ბუნებრივ „გამოქვაბულში" უნებართვო გათხრებისა.

საჭიროა ამ საკითხს სასწრაფო ყურადღება მიაქციონ ვისგანაც ჯერ არს, რომ გლეხებმა იგრძნონ ძველი ისტორიული ნაშთების დაცვის აუცილებლობა.

გ. ცინცაძე.

წერილებიდან

სოფ. ხოვლე, გორის მაზრა
გავხსენით ქოხ-სამკითხველო

ამას წინად ჩვენს სოფელში გაიხსნა ქოხ-სამკითხველო. მართალია, ის წინადაც არსებობდა, მაგრამ ბინის უქონლობის გამო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. სამწუხაროდ სამკითხველოს არა აქვს თანამედროვე ხასიათის წიგნები, რის შეძენისათვის საჭიროა ზრუნვა. სასურველია აგრეთვე ქოხ-სამკითხველოსთან მოეწყოს კოოპერატიული კურსები, რასაც კოოპერატივის გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ა. ჯ—შვილი.

ხავიქაო-მაიდანის თემი, სიღ. მაზრა
მადლობის ღირსია

ს. მაიდანში სწარმოებს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შენობის აგება. გლეხობა დიდ აქტივობას იჩენს ამ საქმეში. დიდი მადლობის ღირსია სამაზრო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვასილ კობულია, რომელმაც სკოლას დაუთმო იქვე მდებარე ოთხი ქცევა მიწა სრულიად უსასყიდლოთ, რითაც დიდათ შეუწყო ხელი სკოლის სათანადო დონეზე დაყენებას.

აქაური.

დ. ნაგომარი, გურია
საჭიროა მეტი ყურადღება

ნაგომარ-ოზურგეთს შუა მდებარე შარა-გზა ძალზე დაზიანებული იყო. ამ რამდენიმე დღის წინად ადიდებულმა მდინარე სუფსამ სრულიად წალეკა გზა და ეხლა ფეხით გავლაც კი შეუძლებელია.

საჭიროა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა მიიღოს ზომები გზის თავის დროზე შეკეთებისათვის.

შ. წიტაიშვილი.

კოჯორი, თბილისის მაზრა
გვაღირსეთ რადიო

კულტურული მუშაობა კოჯორში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. არ არის ადგილი სადაც შეიძლებოდეს გაზეთების წაკითხვა, ან რადიოს მოსმენა. კოჯორი თბილისის ახლოს მდებარეობს და აქ არც ისე ძნელია რადიო-მიმღების მოწყობა, მაგრამ ამისათვის არავინ ზრუნავს. საჭიროა ამ საკითხის დროზე მოგვარება.

გ. გარსიაშვილი.

გურია
საჭიროა სასწრაფო დახმარება

წელს მთელ გურიაში სიმინდის ცუდი მოსავალი იყო. მეტად მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ სურების, ჩოხატაურის, საჭამიასერის, ზემოხეთის და სხვა რაიონებში, ამ სოფლებში მოდიოდა თამბაქო, მაგრამ ეს ორი წელია მისი მოსავალიც ცუდი იყო. სიმინდი თანდათან ძვირდება. საჭიროა ამ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება სამაზრო ხელისუფლებამ, საკრედიტო ამხანაგობებმა და კოოპერაციამ, რათა თავის დროზე იხსნან გლეხობა მოსალოდნელ შიმშილობისაგან.

თოკაბაძელი.

ხოტევის თემი, რაჭის მაზრა
ცნობის მოყვარენი

აქაური ოთხწლედი და სამკითხველო ერთ შენობაშია მოთავსებული. ჩვენი ფოსტა წერილებს აწვდის სამკითხველოს, რომლის გამგემ უნდა ჩაბაროს დანიშნულებისამებრ, მაგრამ ხშირად გამგე და ცნობისმოყვარე მასწავლებელი ხსნიან სხვის წერილებს და კითხულობენ, რაც დაუშვებელია. საჭიროა ამ დაუდევრობას ბოლო მოეღოს.

რაჭველი.

მუშათა ცხოვრება

ძველი და ახალი დღესასწაულები

ახლოვდება ძველი, დრომოჭმული რელიგიური დღესასწაულები: შობა, წყალკურთხევა, აღდგომა და სხვა. ეს ე. წ. „ქრისტიანობის" დღესასწაულები არანაკლებ მუშისა და გლეხის ოჯახს და ხელს უშლიან მათ კულტურულ განვითარებას. არც ერთ სარწმუნოებას იმდენი ზარალი და მსხვერპლი არ მოუტანია კაცობრიობისათვის, რამდენიც ქრისტიანობას.

ვის ინტერესებს ემსახურებოდა და ემსახურება რელიგია და სარწმუნოება? მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ ქვეყნების გაბატონებულ კლასებს.

გაბატონებული კლასები დაბეჩავებულ და გაღატაკებულ ხალხს ისეთ რწმენას უნერგავდნენ დაქირავებული სამღვდელოების საშუალებით, რომელიც უზრუნველჰყოფდა მათ განცხრომით ცხოვრებას და მშრომელი ხალხის ძარცვას... ასე ხელოვნურად შექმნეს სამება, რათა ხალხი უკეთ გაეძარცვათ, მაგრამ სუყველას თავისი დასასრული აქვს; მშრომელმა ხალხმა უკვე გამოიღვიძა, მან შეითვისა ახალი ცხოვრება და ძველ ცრუ მორწმუნეობას ბრძოლა გამოუცხადა.

ჩვენი მუშების მოვალეობას შეადგენს მტერს კვალდაკვალ მისდიოს, მიჰყვეს მას სრულ დამარცხებამდე და განადგურებამდე. ასეთი ბრძოლის საწარმოებლათ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების დროს ფართე ასპარეზი გვაქვს. არავითარი წვეულებები აღნიშნულ დღეებში. ჩვენ გვაქვს ჩვენი რევოლიუციონური დღესასწაულები, როგორიც არის: პირველი მაისი, დიდი ოქტომბერი და სხვა, რომელიც ემბლემაა მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებისა.

ძირს ძველი, დამყაყებული ყოფა-ცხოვრება.

გაუმარჯოს ახალ, პროლეტარულ კლასიურ კულტურას.

ნიკო მკურვალი.

კლუბი თუ სამიკიტნო
(ჭიათურა)

ქ. ჭიათურაში არსებობს მუშათა კლუბი. კლუბი აკმაყოფილებს მუშათა გონიერულ და სულიერ მოთხოვნილებებს: არსებობს რამოდენიმე წრე, რომლის წევრთა 89 პროცენტი მაღაროს და მტვირთველი მუშებია. არსებობს აგრეთვე წიგნთსაცავ-სამკითხველო, სადაც უხვად სარგებლობენ აქაური მუშები წიგნებითა და სხვადასხვა ჟურნალებით. იმართება წარმოდგენა-საღამოები და სხვა.

მაგრამ ყოველივე ამას აბათილებს და აქარწყლებს ის: რომ კლუბთან არსებულ ბუფეტში უხვად მოიპოვება ღვინო და სხვა მაგარი სასმელები, იმ მიზნით, რომ არავინ დათვრეს და წესრიგი არ დაარღვიოს, კაცზე გადაწყვეტილია ნახევარი ბოთლი ღვინო. კარგი, დავუშვათ კარგი წესი ეს იყოს, მაგრამ ეს წესი მხოლოდ იმათზე ვრცელდება, ვინც ნახევარ ბოთლზე მეტს მაინც არ მოითხოვს. დანარჩენებმა კი გინდ ერთი ფუთი დალიონ, უარის მთქმელი კაცი არა სჩანს. ბუფეტის პატრონი ამას თავის კეთილი გულობით ხსნის „ნაცნობია რა ექნა არ მომეშვა" და სხვა.

ჭიათურა პატარა ქალაქია, იქაური ხალხის ცნობა არც ისე ძნელია ბუფეტის თავის მშრომლებისათვის. ამიტომ ლოთობასა და ღრიანცელს სისტემატიური ხასიათი აქვს ბუფეტში. მთვრალი ხალხი, შედის კლუბში და არღვევს წესრიგს, რითაც ხელი ეშლება საკლუბო საქმიანობას.

კლუბის გამგეობამ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი.

52 წლიწადი წარმოებაში

ამხ. ილია კასაშვილი 1874 წლიდან ჯერ კიდევ პატარა ებმება მძიმე შრომის უღელში. იგი მუშაობას იწყებს სხვადასხვა სტამბებში.

ძველად სტამბის მომუშავეებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მათთვის არ არსებობდა განსაზღვრული სამუშაო დრო. არც დასვენება და არც სხვა შრომის დაცვის კანონები, რომელიც დღეს არსებობს. განა შეიძლებოდა კი ფიქრი იმაზე, რომ მუშა რვა საათს იმუშავებდა ან დაზღვეული იქნებოდა? მუშის დღევანდელი მდგომარეობა მაშინ ოცნება იყო: და აი ასეთ მძიმე პირობებში 52 წლის განმავლობაში ფიზიკური შრომა და წარმოების არ მოშორება, არის ნამდვილი შრომის გმირობა, მშრომელი ხალხის სიყვარული და თავისი ხელობის პატივისცემა.

ილიკო კასაშვილს 52 წლიწადი ბევრი საუკეთესო მოხელეები გამოუზდია თავის მზრუნველობის ქვეშ. ბევრისათვის უჩვენებია სწორი გზა და ჩაუბამს იგი ცხოვრების ფერხულში. ყველა ისინი დღეს ამხ. კასაშვილს დიდის მადლობით და პატივისცემით იხსენიებენ.

ილიკო მარტო იმით კი არ არის შესანიშნავი, რომ მან 52 წელი გაატარა დაზგასთან, არამედ იმითაც, რომ მას არც რევოლიუციისათვის შეუქცევია ზურგი და მუდამ მზად იყო რითაც კი შეეძლო დახმარება გაეწია მებრძოლებისათვის.

1909 წლიდან 1912 წლამდე ილიკო კასაშვილი ახერხებს შევიდეს თავისუფალ მომუშავედ მეტეხის ციხეში არსებულ სტამბაში. მეც როგორც ტუსაღი და მასთან სტამბის მოხელე, ვიგზავნები ამავე სტამბაში სამუშაოდ: აქ ვხვდებით პირველად ილიკოს და უახლოვდებით ერთმანეთს: ეს იყო 1910 წელს. ეს დაახლოვება არ იყო უბრალო მუსაიფი, არამედ იყო რთული და ნამდვილი საქმიანი: ილიკო უნდა ყოფილიყო ამ ციხის პოლიტიკურ ტუსაღების კავშირის გამგებელი თავისუფალ ამხანაგებთან. ილიკო სიხარულით თანხმდება ამ მძიმე და მასთან სახიფათო წინადადებაზე და ენერგიით, თავდადებით და მასთან სიდინჯით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მისი საშუალებით პოლიტტუსაღებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გაბმული, როგორც პარტიასთან, ისე თავის ოჯახებთანაც.

აი, ასეთი სპეტაკი გულის პატრონს, პატიოსან და მუყაით მშრომელს, დღეს შეუსრულდა 52 წელი მისი დაუშრეტელი ენერგიის და გმირული შრომის წარმოებაში. კავშირმა მას მიანიჭა შრომის გმირობა. თბილისის სტამბის მუშებმა ძველ და დაუღალავ მუშას, ამხ. კასაშვილს, ღირსეული დაფასება უნდა მიუძღვნან.

მანანა გოგუაძე.

სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა

გადარჩევა ჩატარდა

ამას წინად უნივერსიტეტის შენობაში შესდგა გაზ. „სტუდენტთა ხმას" თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო მოხსენება კედლის გაზეთის მნიშვნელობის შესახებ და სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა.

მოხსენება გააკეთა ამხ. პაპავამ. მან გააცნო კრებას მუშაობის ახალი გეგმა და ის თუ როგორ უნდა შეიკრიბოს მომავალში კორესპონდენტები გაზეთისათვის. მომავალში „სტუდენტთა ხმა" გამოვა ლიტოგრაფიაზე დაბეჭდილი.

ახალ სარედაქციო კოლეგიაში კრებამ აირჩია ხუთი წევრი.

გოგებაშვილი.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობა
(„ზარია ვოსტოკას" სტამბა)

10 დეკემბერს „ზარია ვოსტოკას" სტამბაში შესდგა ადგილობრივ კედლის გაზეთის მუშკორების კრება. დღის წესრიგში იყო კედლის გაზეთის გამოკვლევა და სარედაქციო კოლეგიის გადარჩევა.

მცირე თათბირის შემდეგ, ძველი სარედაქციო კოლეგიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. ახალ სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნენ: ამხ. კუპრაძე, ვართანოვი, გიორგაძე; კისილოვი და ასლამაზაშვილი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ჩვენი გაზეთი გამოვა რეგულიარულად და პატიოსნად ემსახურება თავის დანიშნულებას.

ბ—ძ.

საყურადღებო წვრილმანი

რატომ მოუსპეს

უწინ რკინიგზის საავადმყოფოს მომვლელ ქალებს უფასოდ ეძლეოდათ პური და სადილი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში რატომღაც მოუსპეს მომვლელ ქალებს ეს შეღავათი.

პროფკავშირო, გამოარკვიე ეს საქმე.

ზალმიშ.

ვინ მისცა ამის უფლება

ამას წინათ მეორე საავადმყოფო, ქ. აღმასკომის მასალით შეაკეთეს. საავადმყოფოს ადმინისტრაციის ნებართვით დარჩენილი მასალა მიაქვთ ადმინისტრაციის ნაცნობებს და მეგობრებს.

საინტერესოა ვიცოდეთ ვინ მისცა ადმინისტრაციას ამის უფლება.

თანამშრომელი.

საჭიროა ქიმიური კაბინეტი

ამხ. მ. კახიანის სახ. მუშფაკში ქიმიური კაბინეტები არ არის, რის გამო მსმენელები საფუძვლიანად ვერ ითვისებენ ქიმიის საგანს.

განათლების კომისარიატმა უნდა მოაწყოს მუშფაკთან ქიმიური კაბინეტები.

გ. ხუციბერიძე.

მოუსპოთ ზედმეტი მუშაობა

რკინის გზის მთავარ საწყობის მუშები ზედმეტს მუშაობენ, ზედმეტი საათების ჯილდო კი მათ არ ეძლევათ.

ზედმეტი მუშაობა აქაც უნდა მოუსპოთ.

გ—ლ.

ბაჩანა

ნიკო პავლეს ძე რაზიკაშვილი — მწერლობაში ბაჩანა,—ეკუთვნოდა იმ ფშაურ ოჯახს, რომელმაც საქართველოს მისცა ნიჭიერი პოეტები. ვაჟა ფშაველა და ბაჩანა თითქმის ერთ და იმავე დროს გამოვიდნენ მწერლობის ასპარეზზე, მაგრამ უფროსმა ძმამ—ვაჟა ფშაველამ დაჩრდილა უმცროსი ბაჩანა.

ამ ძმებში პირველად ალაპარაკდა მთა თავისი პოეზიით. ეს პირველი ხმა ქართველ მწერლობაში უჩვეულოდ გაისმა.

ლიტერატურის ისტორია ამ მთის პოეზიის დასაწყისს ეძებს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში". შემდეგ მოდიან: სანდრო ყაზბეგი და რაფიელ ერისთავი, მაგრამ საფუძველი მთის პოეზიას მაინც ძმებმა რაზიკაშვილებმა ჩაუყარეს.

თვითონ ბაჩანაც კარგად გრძნობდა რაფიელ ერისთავისადმი სულიერ და პოეტურ ნათესაობას. ეს სჩანს რ. ერისთავის იუბილეზე ნათქვამ ლექსში:

„შენი პირიმე მოხუცო,
ია გვსურდა, მამაო,
ძილშიაც [illegible]
შენი ფანდურის ხმამაო...
ნება მიეცი დაგდადოს
გამოუდგომლად ყრმამაო".

ასე მორიდებით გამოვიდა ამ ორმოცდა ხუთი წლის წინად მწერლობაში ბაჩანა. ასე ჩუმად დალია სული თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში 18 დეკემბერს.

მისი ბედი სიკვდილამდეც მიაგავდა ვაჟა ფშაველას ბედს. ისინი ერთად იზრდებოდნენ სოფ. ჩარგალში, ასევე ერთად სწავლობდნენ გორის საოსტატო სემინარიაში და ერთად ეწეოდნენ სახალხო მასწავლებლობას მშობლიურ მთებში. სიკვდილისთვის მაინც ორთავენი თბილისში მოვიდნენ, რომ უფრო გულდაწყვეტით ეგრძნოთ მთების ბუნების დაშორება, იმ მთების ბუნებისა, რომელთანაც ისინი ასეთი უნაზესი სიყვარულით იყვნენ შეერთებული. როცა 1916 წლის აგვისტოში ვაჟა ფშაველა კვდებოდა საავადმყოფოში, მან სასიკვდილო აგონიაში ითხოვა ნედლი ფოთლებით შეხვევა, რომ მთა წარმოედგინა. ბაჩანას ზამთარში მოუხდა სიკვდილი, მაგრამ მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება.

ბაჩანას ლექსები უმთავრესად ფშაურ ყოფა-ცხოვრებას გამოხატავენ,— ხალხის გმირობას, თავისუფლებისადმი ლტოლვას. ის შეგნებულად ხმარობს, როგორც ვაჟა ფშაველა ფშაურ დიალექტს, მისი ლექსის ფორმა პრიმიტიულია, თითქო ეკამათება უბრალო შეგავსელ ლექსით ზოგჯერ პირდაპირ აქვს აღებული ხალხური შაირები. მიუხედავად იმისა, რომ ბაჩანას ჰქონდა ლტოლვა დიდი საკითხების გარკვევისა და მის ლექსებსა და პოემებში იჩენება აზროვნების კვალი, ის მაინც ნაკლებ მაგარია ეპიურ ნაწერებში და უფრო ეხერხება ლირიკა. მისი ლექსები „მუხა", „ტყის სიმღერა", „კესანე" —ნამდვილი ლირიკული შედევრებია.

იშვიათად წერდა ბაჩანა. ეს იშვიათად წერა ბოლომდე შერჩა მას. რასაკვირველია, ის არ იყო პროფესიონალი პოეტი, ბოლო დრომდე შინაგან არ მოსცილებია და თავისთავად ჩამორჩენილი იყო იმ პოეზიიდან, რომელმაც უკვე დატოვა სოფელი და ქალაქში გადაიტანა ასპარეზი. ზოგ შემთხვევაში მთის გარემო მართლაც იწვევდა მასში ჭაბუკურ შთაგონებას, რომელიც სიბერემდე შერჩა, მაგრამ იმავე დროს აშორებდა მას თანამედროვე პოეზიის მიმართულებას და ეს არქაიული ფიგურა ყოველთვის იწვევდა თანამედროვე პოეტებში გაკვირვებას. განსვენებული განსაკუთრებით გამძაფრებული გრძნობდა შემოქმედების უკანასკნელ ცეცხლის ტალღას. დიდი თავდადებით და გულმოდგინეობით ათავებდა პოემა-რომანს „წალკობა"-ს, რომელიც ორჯერ წაიკითხა თბილისში; ამ რომანს უთუოდ დიდი ეტნოგრაფიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს.

ბაჩანა თითქო გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, უნდოდა თავისი თხზულებანი ერთიანად დაბეჭდილი ენახა. სახელგამი შეუდგა კიდეც მისი წიგნის ბეჭდვას, — მაგრამ განსვენებულმა ვერ მოასწრო თვალით ენახა და დამტკბარიყო თავისი ნაშრომის გამოცემით.

ვალგადახდილი და ჭირნახული დაისვენებს თავისივე ძმის ვაჟა ფშაველას გვერდით დიდების პანთეონში.

ჩუმი იყო ბაჩანა და ხალხი, რომელიც უფრო აფასებს ასეთ ჩუმ მოღვაწეობას, უფრო გულით დაიტირებს თავის ღვიძლ პოეტსა და მოამაგე ადამიანს და ეს იქნება ნუგეში იმ ოჯახისათვის სახლს, რომელიც პოეტის სიკვდილით თავზარდაცემული შირაქის ველიდან მოდის ბაჩანასთან გამოსათხოვებლად.

ტიციან ტაბიძე.



ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილი (ბაჩანა)

ბაჩანა
(ლექსი დაწერილია ვახტანგ ვაჟას-ძე რაზიკაშვილის მიერ)

ია დაგეძებს მგოსანსა
ენძელა დაილალა;
დაისხა ცრემლით თვალები,
ნახვით ვერ გაიხარა.
ბებერი მუხა დაფიქრდა,
დაბლა დახარა თავია;
ცრემლი სდის ტოტებიდანა,
დაღრეჯით მდგომარია.
მუდამ მჩქეფარე არაგვი
გულ-ფიცხი, მაღალ ხმიანი,
ბრძოლის სიმებზე ნადენი,
ჭრელ ბოლო კალმახიანი
გარინდებულა, ტალღებსა
აღარ გაუდის ტრიალი,
მხოლოდ გოდების ხმა ისმის
სამგლოვიარო ჩქრიალი.
გაშტერებულან თხემები,
გარინდებულან მთანია,
ცაზედ შემდგარან ღრუბლები,
აღარ უბერავს ქარია.
გაიგეს შენის სიკვდილი
და იქვითინეს ძალზედა;
ფშავ-ხევსურეთის ქედებმა
შავი ჩაიცვეს ტანზედა.
არაგვიც გლოვობს მდინარე,
რადგანაც მთების შვილია;
შენსა დაკარგვას ჩიოდა,
მწვანე არაგვის პირია.
მაგრამ სამძიმარს არ ვეტყვი
არაგვს, მგოსანო შენსასა,
არც მთა კლდედ ჩამოღრუბლულს
წამოწეწილსა დედასა
იმით, რომ ლვაწლი არ მოკვდა,
სახელიც ისევ ჟღერობსა;
ისევ ჰფენს სურნელებასა,
ისევ და ისევ ხარობსა.

1927 წელი 22 დეკემბერი.

ქრონიკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლ. იუბილე.

1928 წლის 8 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წლის შესრულების გამო გადახდილი იქნება იუბილე. საიუბილეო კომისია ამჟამად იმუშავებს იუბილეს ჩასატარებელ გეგმას.

ამხ. პოდოლსკაიას მივლინება

პროფკავშირების სრულიად საკავშირო კულტთათბირზე ამიერ-კავკასიის პროფკავშირებს დათმობილი აქვთ ოთხი ადგილი. აქედან ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, თითო ადგილი მიეცა რესპუბლიკებს და ერთი ადგილი ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს.

ამიერ-კავკ. პროფსაბჭოდან საკავშირო კულტთათბირზე მივლინებულია ამხ. პოდოლსკაია.

ამიერ-კავკ. საორგანიზაციო თათბირი

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1928 წლის 8 იანვრისათვის თბილისში მოიწვიოს ამიერ-კავკასიის საორგანიზაციო თათბირი.

ამიერ-კავკ. პროლსტუდენტთა ბიუროების სესია

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამიერ-კავკ. პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროების თათბირის შემდეგი დღის წესრიგი:

პროფმუშაობა სტუდენტთა შორის და მისი პერსპექტივები (საკავშირო პროფსაბჭოსთან არსებულ პროლსტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენლის მოხსენება), მოხსენება სტუდენტთა კოოპორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ, საორგანიზაციო საკითხები, ამიერ-კავკ. რესპუბლიკების პროლეტარულ სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

თვითეული რესპუბლიკის პროლსტუდენტთა ცენტრალურ ბიუროდან თათბირს დაესწრება სამი კაცი.

სიმინდის შემოზიდვა

იმ 2.000.000 ფუთ სიმინდიდან, რომელიც შემოზიდული უნდა იქნეს საქართველოში, იანვრის განმავლობაში შემოზიდული იქნება 691 ვაგონი. აღნიშნული სიმინდი განაწილებული იქნება იმ რაიონებს შორის, სადაც წელს მცირე მოსავალი იყო.

ყვავილის სახადი ქუთაისში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შემოსულია ცნობები, რომ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში ძლიერ გავრცელდა ყვავილის სახადი. სახადთან ბრძოლის მიზნით ქუთ. ჯანმრთ. განყოფილებას გადაეგზავნა 5.000 დოზა ყვავილის ასაცრელი [illegible].

თბილისის აღმასკომში

✦ დაჯილდოება. ფიზკულტურის შეჯიბრში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად აღმასკომმა გადასდო 250 მანეთი.

ბაჩანას გარდაცვალების გამო

პოეტ ნიკოლოზ პავლეს-ძე რაზიკაშვილის— ბაჩანას ნეშტის დაკრძალვა მოხდება დღეს, 25 დეკემბერს სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, განსვენებულის ნეშტს ხელოვნების სასახლიდან გამოასვენებენ ნაშუადღევის პირველ საათზე. პროცესია გაივლის მიხაილის ქუჩაზე თავისუფლ. მოედანზე, რუსთავ. პროსპექტზე, ელბაქიძის დაღმართზე და პლეხანოვის პროსპექტზე. დაკრძალვა მოხდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დიდუბეში.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს 5 ს. პოეტ ბაჩანას ნეშტი რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან გადასვენებულ იქნა ხელოვნების სასახლეში. ნეშტთან გადაასვენეს საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა და განსვენებულის ახლო ნათესავებმა.

—საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. განსვენებულის კუბო მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით და გვირგვინებით. პანაშვიდის დროს უკრავდა სიმებიანი ორკესტრი.

კრებები და მოხსენებები

საქართველოს ფსიქოლოგიურ საზოგადოებაში. ორშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქართველოს ფსიქოლოგიური საზოგადოების მორიგი სხდომა. პროფ. ივანე ბერიტაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რეფლექსოლოგიის საგანი". დასწრება თავისუფალია.

ხელოვნების ქრონიკა

საბავშვო წარმოდგენა სახელმწიფო ოპერაში

წარმოდგენებზე ბავშვების დასწრების გაადვილების მიზნით, სახელმწიფო ოპერის დირექციას გადაწყვეტილი აქვს ხშირ-ხშირად მოაწყოს სპეციალური საბავშვო იაფ-ფასიანი წარმოდგენები. პირველი საბავშვო წარმოდგენა გაიმართება კვირას, 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე. წარმოდგენილი იქნება ორი ოპერა: „შვიდი თხა" და „წითელი ქუდი". ამას გარდა გაიმართება საბალეტო წარმოდგენა პერინის სტუდიის მონაწილეობით.

ბილეთების ფასები საგრძნობლად შემცირებულია: ლიტერ. ლოჟა (10 სულზე) ღირს 3 მან., პირველი იარუსის ლოჟა—3 მან. მეორე იარუსის—2 მან. და 40 კ. და მესამე იარუსის—2 მანეთი.

პარტერი—1 მან. და 70 კაპეიკიდან—1 მანეთამდე. ამფითეატრი—1 მანეთიდან—70 კაპეიკამდე.

ბალკონი: ბენუარი 70—60 კაპ. მეორე იარუსი—70-60 კაპ. მესამე იარუსი—60-50 კაპ. და მეოთხე იარუსი—40-20 კაპეიკამდე.

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოში

პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს კოლექტივი ამზადებს და მოკლე ხანში დადგამს არჩილ სავანელის პიესას „შეთქმულება"-ს.

ამავე სახელოსნოს კოლექტივი წითელარმიელთა სახლში 28 დეკემბერს წითელარმიელებისათვის დადგამს ი. ვაკელის „მეამბოხენი"-ს, დადგმა დ. კობახიძის.

✦ საბავშვო წარმოდგენა. დღეს ოპერის თეატრში დილით გაიმართება საბავშვო წარმოდგენა.

✦ „სინათლე". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სინათლე".

✦ „რევიზორი". მუშათა თეატრში დღეს დილით რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რევიზორი", საღამოს—„ჯენტლმენი".

✦ „პიკის ქალი". დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი".

✦ კონსერვატორიაში დღეს გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა ღია საღამო.

✦ „სიცოცხლე-სიხარულია". 28 დეკემბერს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება კომპოზიტორ დ. არაყიშვილის ახალი ოპერა: „სიცოცხლე სიხარულია".

შემთხვევები

რეციდივისტების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გიორგი ნიკოლოზისძე ალიშევსკი, ოვანეს ანდრიასძე ოგანეზოვი, მიხეილ ესტატესძე რეშენკო, ვალანიკ მარტიროსისძე სტეფანიანცი, სიმონ სამუელისძე ზისმანი, აპეტ ისაკისძე ხაჩატუროვი, ზურაბ მიკირტიჩის ძე სარქისიანცი, ვაჩეზ ალექსისძე არუთინოვი, ოვანეს არუთინისძე ალიხანოვი და არტაშ მნაცაკანისძე ოგანეზოვი.

ზემოჩამოთვლილი პირები სისტემატიურად ეწეოდნენ საცხოვრებელ ბინების და მაღაზიების გაქურდვას.

ქურდობა

გუშინწინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 15 შემთხვევას.

ვისია ფეხსაცმელები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი 24 წყვილი ფეხსაცმელი. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 7, გ. თუხარელთან.

გრიგოლ რობაქიძის მოხსენება

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ეს მეორე მოხსენებაა გრ. რობაქიძის. ვფიქრობდით პირველი მოხსენების დაპირებებს აქ გაამართლებდა და გერმანიაში გატარებულ 8 თვეს აუდიტორიისათვის სასურველ და მნიშვნელოვან დაკვირვებებით ასახავდა. ამის ნაცვლად აუდიტორია იძულებული იყო მოესმინა ის, თუ ვინ ნახა მომხსენებელმა, ან ვინ რა უთხრა მას „გველის პერანგის" გამოცემის შესახებ. წაიკითხა ჯერ გერმანულად და შემდეგ ქართულად გამომცემლობასთან მიწერილი სარეკომენდაციო წერილები, ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელო. საზოგადოებას გააცნო აგრეთვე ზოგიერთ გამომცემელთა და მწერალთა აზრი ამავე რომანის შესახებ. ასეთი წინასწარი საქმიანობა, ცხადია ყოველ ნაშრომის გამოცემას თან სდევს, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ქვეყანაში, და მისი საჯაროთ გამოტანა ცუდი თვისების თვითრეკლამას უდრის. მომხსენებელმა ასეთი უხერხულობა იგრძნო, და თავიდანვე განაცხადა, რომ მის „რისკს" ჰქონდა და აქვს საზოგადოებრივი ხასიათის მნიშვნელობა.

ეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, სთქვა მომხსენებელმა, რომ საქართველო გავაცნოთ ევროპას. ჩვენი მწერლობის ევროპაში გასვლა, აი მთავარი საქმე ქართული ლიტერატურის. და ეს მეტად საკამათო და საეჭვო „მთავარი საქმე" ქართული კულტურის საქმიანობას დაუკავშირა. რამოდენიმე სიტყვით შეეხო კულტურის საკითხს და სთქვა, რომ „კულტურა ნიშნავს წარსულს". ნათელია, რომ ასეთი გაგება კულტურის, მეტი რომ არა ვსთქვათ თავიდანვე სპობს ევროპაში გასვლის საჭიროებას და ჩვენ კულტურიანობას.

მომხსენებელმა დიდი პათოსით გაიმეორა, ჩვენი სინამდვილისათვის აზრ დაკარგული და სქოლასტიური თეორიები ებრაელთა რასის, დასავლეთის შვილოსნობის და აღმოსავლეთის მამობის ძიების. გარდა იმისა, რომ ეს თეძები ძველი და რეაქციონურია, ამავე დროს ცუდი მიბაძვაა ნ. ბერდიაევის, როზანოვის, ლ. შესტოვის, ლეონტიევის და სხვათა „ღრმა ფილოსოფიისა". ჩვენმა სალმა სინამდვილემ ეს სიმბოლისტური ფილოსოფია ძალიან მარჯვეთ ამოსწვა. ამიტომ ვერც „გველის პერანგი" მოაშუშებს, და გრ. რობაქიძეს თუ მართლა სურს ქართული კულტურის გაგება, უნდა იწამოს და შეიგნოს ახალი საქართველო. ამისათვის სრულიად არაა საჭირო ევროპის ლიტერატურული „პასპორტი".

ბ. შ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ბარიტის წარმოება

ბარიტი თეთრი მადანია. ის არის ქიმიური შეერთება ლითონ ბარიუმის, გოგირდის და მჟავბადის. მათი წილი ბარიტში წონით სხვადასხვაგვარია. ბარიუმი შეადგენს დაახლოვებით 59 პროცენტს, გოგირდი 13.6 და მჟავბადი 27.4. ქიმიურ ენაზე ბარიტს გოგირდმჟავი ბარიუმი ეწოდება. ის თეთრია. ხმარობენ უმთავრესად მინერალური საღებავებისათვის.

ხავსებით წმინდა ბარიტი ძლიერ იშვიათად მოიპოვება დედამიწის ზურგზე. უმრავლეს შემთხვევაში მას ურევია სილა, თიხა, რკინა და სხ. ყველაზე უფრო არა სასურველი ნარევია რკინა, ან უკეთ რომ ვთქვათ რკინის ჟანგი. უკანასკნელი რუხ ფერს აძლევს ბარიტს, უკარგავს თეთრ ფერს და ამით უვარგისად ხდის თეთრი საღებავებისათვის. საკმარისია ბარიტის მადანს (რომელსაც აგრეთვე მძიმეს ეძახიან) ნახევარი პროცენტი რკინა ერიოს, რომ მან მოყვითალო ფერი მისცეს.

ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრაში ბევრ ადგილას მოიპოვება ბარიტის მადანი. აქედან გაქონდათ და გააქვთ ის ხაზზ. კავშირის სხვადასხვა ადგილებში. ჯერ კიდევ ომამდე იყო აგებული ქუთაისში და ბათომში პრიმიტიული წისქვილები. აქ ბარიტი ირეცხებოდა, იფქვებოდა და იგზავნებოდა სხვადასხვა ქალაქებში. ეხლა ეს წისქვილები აღარ არის. ამიტომ მადანი ხშირად გაურეცხავი და დაუფქველი იგზავნება. ეს არ არის ხელსაყრელი. დაუფქველი ბარიტი უკეთეს შემთხვევაში 80 კ. ფასობს. დაფქვილი ბარიტი კი 8 მ. ღირს და ხშირად 8 მანეთამდე ადის. ცხადია რა თქმა უნდა, რომ გადამუშავებული საქონლის ბაზარზე გამოტანა უფრო ხელსაყრელია. ამიტომ კარგა ხანია საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახული ჰქონდა ქუთაისში ბარიტის წისქვილის აგება. ეს განზრახვა უკვე განხორციელდა. ბარიტის წისქვილის პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო ორი მომენტი: ბარიტი უნდა გაიწმინდოს ყველა მავნე ნივთიერებათაგან, დაიფქვას რაც შეიძლება წვრილად. ამ მომენტების მიხედვით წისქვილის მოწყობილობა შედარებით რთულია.

მოზიდული მადანი სამტვრევ მანქანებში იფშვნება და იგზავნება ავტომატიურად სარეცხ მანქანებისაკენ. გარეცხვა დამყარებულია იმ პრინციპზე, რომ უფრო მსუბუქ თიხა და სილა წყალს თან მიაქვს, მძიმე ბარიტი კი ჩქარა ეშვება ძირს. გარეცხილი ბარიტი გადადის წისქვილებში. აქ ის იფქვება დაახლოვებით ისე წმინდად, როგორც სიმინდის ფქვილი. გარეცხვის დროს ბარიტს მოშორდა თიხა და სილა, რკინა დარჩა. უკანასკნელის მოშორება უბრალო გარეცხით არ შეიძლება ამიტომ რკინისაგან გაწმენდა ხდება გოგირდის მჟავის საშუალებით. ბარიტი თხელ გოგირდის მჟავაში არ იხსნება. რკინა კი იხსნება. ამაზეა დამყარებული რკინის გამოყოფა. ს. მ. უ. ს. ცენტრალურ ლაბორატორიაში მოხდენილმა ცდებმა გვიჩვენა, რომ გოგირდის მჟავა კარგად სწმენდავს ბარიტს რკინისაგან. ქარხანაში წინასწარ დაფქვილი ბარიტი იგზავნება ერთგვარ ქვაბებში, სადაც გოგირდის მჟავაა მოთავსებული აქ რამოდენიმე ხანს ცხელ ხსნარში იმყოფება, და აქედან საშრობ განყოფილებაში იგზავნება. გაშრობილი ბარიტი ხელახლა ძლიერ წვრილად უნდა დაიფქვას. ეს ხდება ეგრედ წოდებულ მილის წისქვილებში. ამრიგად გადამუშავებული ბარიტი უკვე კარგ ხარისხის არის. მისი გადაგზავნა ხდება კასრებში ან კარგა ორნაგ ტომრებში (ჩვეულებრივ ტომრებში გაიცრება და საუკეთესო ნაწილი დაიბნევა).

დღეს-დღეობით კავშირის მოთხოვნილება ბარიტზე გამოანგარიშებულია ორ მილიონ ფუთამდე. სამ—ოთხი წლის განმავლობაში ეს მოთხოვნილება მოსალოდნელია გაიზარდოს სამ მილიონ ფუთამდე. კავშირის ტერიტორიაზე ბევრ ადგილას მოიპოვება ბარიტი; ოლონეცის გუბერნიაში, ურალზე, ციმბირში, აზერბაიჯანში და სხ. საქართველოს ბარიტის ბუდობები ჯერ-ჯერობით საუკეთესოთ ითვლებიან. ობიექტიური პირობები ხელს გვიწყობენ. უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ კავშირის მოთხოვნილების ნახევარს საქართველო დაფარავს. ეჭვს გარეშეა, რომ სათანადო სამეურნეო ორგანიზაციები შესძლებენ შესაფერი ადგილი მოუპოვონ ჩვენ ბარიტს კავშირის ტერიტორიაზე.

ბარიტი თავისთავად საღებავად არ ვარგა. რადგან ზეთი მას ვერ აკავშირებს. ცოტაოდენ ბარიტს კი ურევენ ხოლმე სხვა საღებავებს (ტყვიისას და ცინკისას). ხანდისხან ბარიტს დაფქულშიაც ურევენ. ამძიმებს და წონას ზრდის. უმრავლეს ნაწილს კი ხელახალი გადამუშავება სჭირდება. საინტერესოა ის მოვლენა, რომ თეთრი საღებავები ბუნებრივ ბარიტს ისე კარგად ვერ ირევენ, როგორც ხელოვნურს. ხელოვნური ბარიტის მისაღებათ შემდეგ საშუალებას მიმართავენ ხოლმე. ბუნებრივ ბარიტს ნახშირთან ერთად სწვავენ. ამ შემთხვევაში მივიღებთ გოგირდოვან ბარიუმს. უკანასკნელი წყალში იხსნება. ხსნარში ხელახლა გოგირდის მჟავს ასხამენ (ან გლაუბერის მარილის ხსნარს). ვღებულობთ გოგირდმჟავა ბარიუმს. ეს ქიმიურათ სავსებით იგივეა, რაც ბუნებრივი ბარიტი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საღებავებისათვის ხელოვნური ბარიტი სჯობს. ხელოვნურ ბარიტს ეძახიან „ბლინკფიქს".

ძლიერ გავრცელებული ბარიტის საღებავი არის ე. წ. ლიტაპონი. ეს არის შერეული მინერალური საღებავები. ის შესდგება ბარიტისაგან და გოგირდიან ცინკისაგან. მზად. შემდეგნაირად: ბუნებრივი დაფქვილი ბარიტი იწვება ნახშირთან ერთად, ისე როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. გოგირდიანი ბარიუმი და გოგირდმჟავი ცინკის წყალში იხსნება. ხსნარებს თუ ერთმანეთს ავურევთ, მივიღებთ ლიტაპონს. ლიტაპონში დაახლოვებით ოცდაათი პროცენტი გოგირდიანი ცინკია. დანარჩენი კი ხელოვნური ბარიტი. გოგირდიანი ცინკის რაოდენობა ცვალებადია, ხან მეტი ხან ნაკლები. ამისდამიხედვით იცვლება ლიტაპონის ხარისხიც. საუკეთესო თეთრ მინერალურ საღებავათ ითვლება ნახშირმჟავი ტყვია.

ამ საღებავს მეტოქეობას უწევს მხოლოდ ლიტაპონი. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიტაპონი საერთოთ უფრო იაფი ჯდება. უფრო საყურადღებოა ის მოვლენა, რომ ტყვია და იმის მარილები საწამლავს წარმოადგენენ. ქარხნებში სადაც ტყვიის საღებავებს ამზადებენ, ხშირი მოვლენა არის მუშების მოწამვლა. ტყვიის მარილებს „შემპარავ" საწამლავს ეძახიან. მოწამვლა ხდება ნელა. როდესაც ავადმყოფობა თავს იჩენს, უმრავლეს შემთხვევაში გვიან არის [illegible]ლის გადარჩენა ძნელია. ამიტომ განზრახულია კავშირში საერთოდ ტყვიის საღებავების წარმოების აკრძალვა. მისი ადგილი ლიტაპონმა უნდა დაიჭიროს. ცხადია ლიტაპონის წარმოებას სწრაფი განვითარება მოელის. ამიტომ გადაწყვეტილია ქუთაისის ბარიტის წისქვილის დამთავრებისთანავე (ეს ქარხანა მალე ალბათ გამოზაფხულზე, დაიწყებს მუშაობას) დაიწყოს მუშაობა ბარიტის საღებავების ქარხნის აგებაზე. ასეთი ქარხანა სჯობს აშენდეს წისქვილის ახლოს. ბარიტის გადამუშავება კიდევ სხვადასხვა პრეპარატებით შეიძლება. მაგალითად ქლორიანი ბარიუმი. უკანასკნელი (როგორც ყველა ბარიუმის მარილები, რომლებიც წყალში იხსნებიან) საწამლავს წარმოადგენს. მასზედ კავშირში დიდი მოთხოვნილება არის. საერთოთ ქუთაისის ბარიტის წისქვილი არის დასაწყისი ბარიტის გადამამუშავებელი მრეწველობის.

ეს მრეწველობა მოგვცემს წლიურად რამოდენიმე მილიონის საქონელს.

ალ. დევდარიანი.

მატარებლის გაჩერება ავტომატიურად

ნიუ-ჯერსის შტატში (ამერიკა) ქ. რიდინგში საჯაროთ გამოსცადეს ავტომატიური აპარატი მატარებლების გასაჩერებლად. აპარატი მოქმედობს ელექტრონის საშუალებით და არა საჭიროებს თვალყურის დევნებას მემანქანის მხრივ. როცა ორთქლმავალი შედგება დაზიანებულ რელსზე ან მის გორბალს შეეხება რაიმე გარეშე საგანი, საკაერო მუხრუჭი იმ წამსვე აჩერებს მატარებელს.

მუხრუჭით გამოცდის დროს ავტომატიურად იქნა გაჩერებული ორი ვაგონისაგან შედგარი მატარებელი, რომელიც 140 ვერსის სისწრაფით მიჰქროდა.

სურათზე—მატარებლის ავტომატიურად გამაჩერებელი აპარატი ორთქლმავლის ერთ გვერდზე.

უცნაური ავადმყოფობა

რუსეთის ბაქტერიოლოგთა საზოგადოების სხდომაზე ექ. ვ. ა. ბაშენინმა გააკეთა მოხსენება ახალი ეპიდემიის შესახებ, რომლის გავრცელება მიმდინარე წლის ივნისიდან შეიმჩნეულია ქ. მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში. ავადმყოფობა იწყება თავის ტკივილით, გულისა და კუნთების სისუსტით, მაღალი ტემპერატურით. მეექვსე დღეს, ჩვეულებრივ, ავადმყოფს ტანზე გამოაყრის ხოლმე. ტემპერატურა ხშირათ ეცემა მეშვიდე დღეს და ორი დღის შემდეგ ისევ იწევს. თუ რა იწვევს ავადმყოფობას, ეს საკითხი ჯერ გამოურკვეველია.

კიბოს გავრცელება

პროფ. პიტერმა (ჟენევა, შვეიცარია) შეადგინა ევროპაში კიბოს ავადმყოფობის გავრცელების რუკა, რომლიდანაც ნათლად სჩანს, რომ ეს ავადმყოფობა ჩრდილოეთის რასებში უფრო არის გავრცელებული, ვიდრე სამ

გონებრივ პროცესების რეგისტრაცია

როგორც ვიცით, გალვანომეტრი აღნიშნავს კუნთების და ნერვების უჯრედების გაღიზიანებულ მდგომარეობას. ცნობილმა მეცნიერმა პროფ. ნ. ვვედენსკიმ რამდენიმე წლის წინათ გამოარკვია, რომ ნერვების ქსოვილების გაღიზიანება გავლენას ახდენს ტელეფონის მემბრანაზე. სპეციალური გამაძლიერებლის საშუალებით ავსტრიელმა მეცნიერებმა შამინსკიმ და ალლერსმა ტელეფონში მიიღეს გარკვეული ხმაურობა, გამოწვეული ტვინისა და ნერვების მუშაობის გაძლიერებით. როდესაც ხმის გამაძლიერებელ აპარატის მავთულებს მიადებდნენ გამოსაცდელი პირონების თითებზე და მუხლებზე, ტელეფონის მილიდან რამდენიმე მანძილზე ისმოდა გარკვეული ხმაურობა, როდესაც გამოსაცდელ პირონებისათვის წინადადება მისცეს ეფიქრა რამე—მაგალითად განზრახვა ხელის აწევა — ტელეფონში ისმოდა ხმაურობა.

ახალი უკვამლო ორთქლმავალი



ამერიკის „საყოველთაო ელექტრონის კომპანიამ" თავის ქარხნებიდან გამოუშვა ახალი ტიპის ორთქლმავალი, რომლის ფრებს ნახშირის მტვერით ახურებენ. ორთქლმავლების აღმშენებლობაში შეტანილ ამ გაუმჯობესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ნახშირის მტვერისა, ახალი ორთქლმავლის გახურება შეიძლება ტორფით და ნახშირის სხვადასხვა ნარჩენებით.

აქ წავა კლიშე კლბთრდ სუეოზგ კლბთრდუე

სურათზე ნაჩვენებია ახალი ორთქლმავალი, რომელიც გარეგნულათ წააგავს ჩვეულებრივ ორთქლმავალს, მაგრამ მას აქვს დიდი, ყოველი მხრიდან დახურული ტენდერი, სადაც მოთავსებულია ნახშირის მტვერი.

სხვისი აზრების „წაკითხვის" გზაზე

ცნობილი რუსი მეცნიერი აკადემიკოსი პ. პ. ლაზარევი უკვე რამდენიმე წელიწადია აწარმოებს ცდებს ფსიქიურ მოვლენებზე, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ გარემო-პირობებში (სხვისი აზრების „კითხვა"). ამოცანა მდგომარეობს იმ გაღიზიანებათა მოვლენების შესწავლაში, რომლებიც წარმოიშობიან ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში და გრძნობის ორგანოებში. დამტკიცდა, რომ გაღიზიანების მიზეზს ყოველთვის წარმოადგენენ იონები (ე. ი. დატენილი ატომები ან ატომთა ჯგუფები), რომლებიც მოქმედობენ ნერვების დაბოლოებაზე. იონების გარეშე ადგილი არა აქვს გაღიზიანებას. ყოველგვარ გაღიზიანებას თან სდევს იონების გამოჩენა. თავის ტვინის ცენტრების შესწავლამ თვალსაჩინოდ ცხადჰყო, რომ ამ ცენტრებში გაღიზიანების დროს წარმოიშობა პერიოდული ქიმიური პროცესი, რომელსაც თან უნდა სდევდეს ელექტრონული ხასიათის პერიოდული მოვლენები. ასეთი მოვლენები მართლა თან სდევენ ამ პროცესებს, რასაც ცდებიც ამტკიცებენ. რადგან ყოველგვარი ელექტრონული პროცესი სხეულის ზედაპირზე გარშემო არსებულ სივრცეში იწვევს ტალღას, ტვინმაც თავის მუშაობის დროს უნდა წარმოშვას უმავთულო ტელეგრაფის ტალღების მსგავსი ტალღები.

ამოცანა, რომელსაც თავის წინაშე აყენებს აკადემიკოსი პ. პ. ლაზარევი მდგომარეობს ამ ტალღების დაჭერაში.

სინათლის ჩაქრობა ავტომატიურად

ამერიკის გენერალური ელექტრონული კომპანიის ინჟინერებმა ქ. გლენსფოლსში (ნიუ-იორკის შტატი) მოაწყვეს საქალაქო ელექტრო-დადგმულობა ქუჩის განათებ. ფარნების ავტომატიურად აანთებად და ჩასაქრობათ. ამ გამოგონებას საფუძვლად უდევს ე. წ. ფოტო-ელემენტი—მოწყობილობა, რომელიც დღის სინათლეზე ატარებს ელექტრობას, ღამით არა-გამტარათ იქცევა. ფოტო-ელემენტთან დაკავშირებულია ამომრთველი, რომელიც, დაბნელდება თუ არა: ანთებს ქუჩის ფარნებს და გათენებისას —აქრობს. ელექტრო-დადგმულობა სავსებით ავტომატიურია და არ მოითხოვს არავითარ თვალყურის დევნებას.

„ფრთხილად"

უცხოეთში შემოიღეს ავტომობილები, რომლებზედაც მოწყობილია სპეციალური საყვირები. ფოლაკზე ხელის დაჭერის დროს საყვირი იძახის: „ფრთხილად!", „გზა!", „ყურადღება!".

ქიმიურად წმინდა წყალი მავნებელია

გერმანიისა და ავსტრიის მთიან ადგილებში ბევრია ისეთი წყაროები, რომლებსაც მცხოვრებლები „შხამიანათ" თვლიან. ამ წყაროების წყალი იწვევს ავადმყოფურ მოვლენებს, მიუხედავათ იმისა, რომ არც ფერითა და არც გემოთი არ განირჩევა ჩვეულებრივი წყლისაგან. დიდი ხნის განმავლობაში ეს მოვლენა საიდუმლოებით იყო მოცული. როცა მოახდინეს ამ წყაროების წყლის ქიმიური ანალიზი, აღმოჩნდა, რომ მასში არა თუ არ მოიპოვება რაიმე შხამიანი ნივთიერება, არამედ რაიმე მინერალების ნიშან-წყალი. ამრიგად ამ წყაროების წყალი ქიმიურად წმინდა აღმოჩნდა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ამ წყაროების წყლის მავნე გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. საექიმო გამოკვლევები ამტკიცებენ, რომ იმისათვის, რათა საჭმლის მონელების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდეს, სასმელი წყალი უნდა შეიცავდეს მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობას. ქიმიურად წმინდა წყალი იწვევს საჭმლის მომნელებელ ორგანოების კატარალურ მდგომარეობას.

ახალი ტელესკოპი

ვილსონის ობსერვატორიის (კალიფორნიაშია) ასტრონომმა პროფ. რიტჩიმ გამოიგონა ახალი წესი ტელესკოპის რეფრაქტორების დამზადებისა შუშის ცალკე ნაჭრებიდან. დღემდი რეფრაქტორებს ამზადებდნენ ერთ მთლიან ჩამოსხმულ შუშიდან, რაც ძლიერ აძნელებდა რეფრაქტორის დამუშავებას. მთლიან რეფრაქტორების ჩამოსხმის და გამოთლის სიძნელის შედეგია ის, რომ მათი სიდიდე არ აღემატება 1 ნახ.—2 მეტრ განივში (поперечник). მსოფლიოში უდიდეს რეფრაქტორს, რომლის დამზადებამ დიდი დრო და თანხები მოითხოვა, განივი აქვს 2 ნახ. მეტრი. პროფ. რიტჩის მეთოდით ადვილათ შეიძლება 4 5 [illegible] დამზადება. სპეციალისტების აზრით, რიტჩის რეფრაქტორები შესაძლებლად გახდიან თანამედროვე ტელესკოპების სიძლიერის გადიდებას რამდენიმეჯერ.

სიფილისის გადადება გვამიდან

ამერიკელმა ექიმმა კრაციზენმა გამოარკვია, რომ სიფილისის პირველი სტადიით დაავადმყოფებულის გვამი ავადმყოფობის გადადების უნარს ინარჩუნებს სამი დღის განმავლობაში. სიფილისის მიკრობი გვამში განაგრძობს გამრავლებას 14 საათის განმავლობაში ადამიანის სიკვდილიდან და გადადების უნარს კარგავს მხოლოდ 72 საათის შემდეგ. შინაგან ორგანოებიდან ავადმყოფობის გადადების მხრივ ყველაზე საშიშა ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, რომლებშიც სიფილისის მიკრობი დიდხანს ინარჩუნებს სიცოცხლის უნარს. აქედან გამომდინარეობს სიფილისის გადადების საფრთხე იმ პირებისათვის, რომლებიც გვამის განკვეთას აწარმოებენ.

პირის სრულიად შეზრდის შემთხვევა

ავადმყოფობის იშვიათ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ლენინგრადში, პროფ. ბაბუხინის სახელობის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. საავადმყოფოში მიიყვანეს 1 წ 13 თვის ბავშვი, რომლის დედამ განაცხადა, რომ ბავშვი აღარ ლაპარაკობს და არ სჭამს, რადგან მას „შეეკრა" პირი. ბავშვის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ მას პირის ნახვრეტად პატარა მარცვლის ოდენა ჰქონდა. ბავშვს ჰქონდა მოხუცებულის ძლიერ დანაოჭებული სახე, კანი—მიწის ფერი, სრულიად უსისხლო. პირის დანარჩენი ნაწილი დაფარული იყო თეთრი, დაახლოებით ნახ. სანტიმეტრის სისქე კანით. ბავშვის უფრო ყურადღებით გასინჯვამ გამოარკვია, რომ მას აქვს სიფილისი.

ბავშვს გაუჭრეს პირი, მოაშორეს გადაკრული კანი. მან იმ წამსვე დაიწყო ლაპარაკი და განაახლა საჭმლის მიღება.

„ყინულის ბეტონი"

ერთმა ფინელმა ინჟინერმა შეიმუშავა უჯრედოვან ბეტონის ქვების დამზადების მეტად მოხერხებული წესი. ფორმებში ჩასხმის წინ ბეტონში ურევენ წვრილათ დამტვრეულ ყინულს. ბეტონის გამაგრების დროს, ყინული დნება და სტოვებს ცარიელ უჯრედებს. ასეთი წესით დამზადებულ ბეტონის ქვებს მთელი რიგი დადებითი თვისებები აქვს: იგი ცუდათ ატარებს სითბოს და ხმაურობას, მსუბუქია და მასთან ერთად—მაგარი.

ველოსიპედი—ავტომობილი



ახალი სახის ველოსიპედ-ავტომობილი, რომელიც ახლახან შემოიღეს ლონდონში.

ქუთაისი

მუშკოოპი იზრდება

(ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტისაგან)

დასრულდა ქუთაისის ერთიანი მუშათა კოოპერატივის საუბნო საზოგადო კრებები, რომელთაც მიზნად ჰქონდა დასახული გაეცნო თავის წევრებისა და ფართო საზოგადოებისათვის მუშკოოპის წლიური საქმიანობა.

ქუთაისის მუშკოოპი „კოოპერაცია" მთელ დასავლეთ საქართველოში უმძლავრესი და ერთ-ერთი უძველესი კოოპერატიული ორგანიზაციაა. დაარსდა ის 1914 წელში. განიცადა როგორც აყვავების (1917-18 წ.), ისე გაპარტახების (1920-21 წ.) ხანა. 1922 წლის ბოლოდან იწყება მისი თანდათანობითი აღორძინება. მას შემდეგ ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ და დღეს თამამად შეიძლება ითქვას—ის დგას სრულიად მკვიდრ ნიადაგზე. აქვს საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება; აქვს საკუთარი საზრუნავი თანხა; მრავალი სავაჭრო-საწარმოო დაწესებულება, საქონლით დატვირთული (დღევანდელი პირობების მიხედვით); მის გარშემო შემოკრებილია წევრების სახით ძველი მოსახლეობის ნახევარზე მეტი, დამსახურებული აქვს მშრომელ მცხოვრებთა დიდი ნდობა და სხვა.

ამას ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად მოწმობს შემდეგი ციფრები:

მუშკოოპის წევრთა რიცხვი 10.278-ის (1925—26 წლის რიცხვთან შედარებით 28.7 პროც. გადიდებული), ამათში მამაკაცია 8.840. დედაკაცი—1.433. ამგვარად კოოპერატივში შეკავშირებულია მოსახლეობის 62.6 პროც.

შემოსული საპაიო. თანხა 31.683 მან. 70 კაპ. (დარჩენილია წევრებზე 19.706 მან. 30 კაპ., რომელიც ნაწილობრივად შემოაქვთ).

მუშკოოპის სავაჭრო ქსელში, ქალაქად და სოფლად, სულ 37 მაღაზიაა (ამათგან 31 უნივერსალური, 6 სპეციალური) და 11 საწარმოო წამოწყება (5 პურის საცხობი, 2 სასადილო, სახარაზო, საძეხვე, საყასბო, ტრანსპორტი).

კოოპერატივის წლიური სავაჭრო ბრუნვა იყო 3.040.999 მ. (სავარაუდო გეგმით კი გათვალისწინებული იყო 2.541.280 მან.)

გასაყიდი საქონლის საშუალო დანარიცხი იყო 13.5 პროც. (წინა საანგარიშო წელში კი ეს დანარიცხი 23.5 პროც. უდრიდა)

საანგარიშო წელში საქონლის ფასი დაკლებული იყო საშუალოდ 10 პროცენტით.

წლიურ ბრუნვასთან შედარებით გამგეობის ხარჯები უდრიდა 9.22 პროც. (წინა წელში კი 10.28 პროც. იყო). მუშკოოპის საკუთარი საბრუნავი თანხა 175.815 მანეთამდი ავიდა. საქონლის მარაგი 524.773 მანეთის ღირებულებისაა და სხ.

მუშკოოპის საანგარიშო წლის განმავლობაში კულტურული მუშაობაც დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა. სხვათა შორის ჩატარებულია 49 კამპანია (მასიური კრებები ლექციით, ან საუბრით); დაარსდა ოთხი კოოპერატიული წრე (ორი ქალაქად და ორიც სოფლად) 165 მსმენელით; კოოპერატიულ კურსებზე გაგზავნა თავის ხარჯით ორი მსმენელი (ერთი ლენინგრადში და ერთიც თბილისში); 10 წლის საიუბილეო დღესასწაულზე გაავრცელა 10.000 ცალი „ჩვენი კოოპერაცია"-ს საიუბილეო ნომერი; ავრცელებს ხსენებული გაზეთის 400 ცალს; წლის განმავლობაში დაარიგა ლიტერატურა კოოპერაციაზე, სულ 8.000 ცალი; ექვსჯერ დადგა 7 ნომერი კოოპერატიული აგიტ-სატირა და სხვა.

აჰა მოკლედ ქუთაისის მუშკოოპის „კოოპერაცია"-ს 1926-27 საოპერაციო წლის საქმიანობა, რამაც შედეგად მისცა მას 40.000 მანეთის მოგება.

დონ—ვალიანი.

სასამართლო

თავის დაღრჩობა არ დაანება, თვითონ უნდოდა დაეღრჩო

გასულ წელს ერთმა თბილისელმა მოქალაქემ გვარად ალიევმა რაღაც „მოსაზრებით" თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

სანამ თავს მოიკლავდა, ალიევმა ერთი მაგრად გადაჰკრა „ზედაშე", გადაუხადა თავის თავს პანაშვიდი და „სულთათანის" სიმღერით, რომელიც მაყურებლების სიტყვით, „მრავალჟამიერს" უფრო ჰგავდა, აიღო მიმართულება მუხრანის ხიდისაკენ.

მუხრანის ხიდზე ალიევმა ერთხელ მაგრად ჩაავლო ხელი, მოიგლიჯა თავზე ქუდი, დაარტყა ძირს და მოახტა მოაჯირს, საიდანაც სამუდამოდ უნდა დაეყვინთა მტკვრის ტალღებში.

უეცრად ალიევს სტაცა მილიციელმა ხელი და გადმოათრია მოაჯირიდან.

— რას ჩადიხარ კაცო, განა არ იცი რომ ამისათვის პასუხს აგებ,—ეუბნება მილიციელი ალიევს.

— ვაჰ! შენ ხომ არ გაღრჩობ ძმაო, გამიშვი.. ჩემი თავი მე დავაღრჩო, ამის უფლებას ვინ წამართმევს...

ალიევს არ დაანებეს საქმის წასვლა „ცურვით" და მილიციელის თანხლებით წარადგინეს მე-5 კომისარიატში. ალიევი დაამწყვდიეს საპატიმრო ოთახში.

იმ ხანებში მეხუთე სამილიციო რაიონის უფროსი გახლდათ მოქალაქე ლეონტი ქიქინაძე. როგორც საბრალმდებლო დასკვნა ლაპარაკობს, ქიქინაძეს უყვარდა „გადამეტება": სადაც თავაზიანი სიტყვა-პასუხი იყო საჭირო, იქ ყვირილს დაიწყებდა, ხოლო, სადაც დასაშვები იყო ცოტათი ხმის ამოღება, იქ უკვე მუშტებზე გადადიოდა.

ეხლა დავუბრუნდეთ ისევ მოქ. ალიევს, რომელიც საპატიმრო ოთახში ზის. ალიევი არაფრის გზით არ შეურიგდა ცხოვრებას. ერთხელ გადასწყვიტა და მორჩა. უნდა დაიღრჩოს თავი ყოველ მიზეზს გარეშე.

ალიევი საპატიმრო ოთახში იხდის ტანისამოსს ხევს ნაჭრებათ, შემდეგ გადააბამს ერთმანეთს და აკეთებს სახრჩობელას.

ის დროა თავი უნდა გაუყაროს სახრჩობელაში, რომ უეცრად თვალი შეასწრო მცველმა მილიციელმა და ალიევს თავის ჩამოღრჩობის საშუალება არ მისცა.

— ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! რა ხალხში ჩავარდი.. ხალხნო, ჩემი თავი მე მეკუთვნის თუ არა!—იძახოდა ალიევი.

ეს ამბავი აცნობეს უბნის უფროსს ქიქინაძეს. უკანასკნელი შევარდა საპატიმრო ოთახში, და იმის მაგიერ, რომ დაემშვიდებია აღელვებული მოქალაქე გადმოაბრუნა ალიევი, დააჯდა გულზე და ურტყა და ურტყა. როცა ალიევმა თვალები გაახილა, ქიქინაძე შედგა გულზე ფეხით და თელა და თელა პასუხის ცემით.

— აჰ გენაცვალე, როგორც იქნა ერთი კაცი ვნახე, რომელსაც ჩემი სიკვდილის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.. მისუსტებული ხმით იძახოდა ქვევიდან ალიევი.

ქიქინაძემ მოითხოვა ბაწარი.

— აი, ყოჩაღ! წელან გამოგიგზავნეთ ბაწარი თქვენ ოჯახაშენებულებო! გამომიკიდეთ ჰერში... აი იქ, მერე თქვენ აღარ შეგაწუხებთ..

ქიქინაძემ შეკრა ალიევი და შეკრულსაც ურტყა კარგა მაგრათ.

ეს ამბავი გაიგეს სადაც ჯერ არს. ალიევი მეორე დღეს, გამოფხიზლებული, მაგრამ მოხარშულ კარტოფილივით დალბილებული, გამოუშვეს საპატიმროდან.

ქიქინაძე მიცემულია პასუხისგებაში. მის წინააღმდეგ იგივე ნაირმა და ცხვირ-პირ დამტვრეულ მოქალაქეს აქვს აღძრული საჩივარი.

საქმე მალე გაირჩევა.

ზერ.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ნ. ა. ვიგდორჩიკი ნორმალური შრომა

პროფესიური ჰიგიენის საფუძვლები

გვ. 189. ტირაჟი—1500. გამომცემლობა „შრომა". თბილისი 1927 წ. ფასი—45 კაპ.

მეურნეობის კაპიტალისტურმა სისტემამ, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად შრომითი პირობების გაუარესება გამოიწვია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა მუშის ცოცხალ ორგანიზმს და იგი დამასნეჯებამდე მიჰყავს. მუშა—მანქანას, რომელიც მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მექანიკურად უმნიშვნელო მოძრაობას აკეთებს, უძლურდება სხეულის დანარჩენი ნაწილები, იგი ატროფიას განიცდის.

ამასთან საბრძოლველად შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი, რომელიც მიზნად ისახავს შრომის პირობების შესწავლას და შემდეგ ამ მავნე პირობებთან ბრძოლას. ეს დარგი პროფესიური ჰიგიენის სახელს ატარებს.

აღნიშნული წიგნაკი შეიცავს ამ მეცნიერების საფუძვლებს, პოპულარულად, ყველასათვის გასაგები ენით გადმოცემულს. წიგნაკში ღრმა მეცნიერული საკითხები ისე ცოცხლად არის განმარტებული, რომ იგი ინტერესით იკითხება.

პროფესია და შრომის სხვადასხვა სახე, ადამიანის სხეულის მოძრაობათა მექანიზმი, ენერგია და მისი გარდაქმნა, საჭმელი როგორც ენერგიის წყარო, უსულო მანქანა და ცოცხალი ორგანიზმი, კუნთების და სხვა ორგანოთა მუშაობა, შრომითი მოწამვლა, ნორმალური შრომა და შრომის გაჯანსაღება, შესვენებები, შრომის განაწილება, შრომა და ცხოვრება, აი ისეთი საკითხებია, რომლის ცოდნა მუშისათვის დიდ საჭიროებას შეადგენს, მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

შრომის შედარებით იდეალურ პირობებს მიწათმოქმედების შრომა შეიცავს, რომელთანაც მოძრაობის მრავალგვარი პროცესებია დაკავშირებული, რამაც უკანასკნელ ხანებში ახალი იდეის წარმოშობაც გამოიწვია ქალაქის შემბოჭველ პირობებიდან, ისევ სოფლად თავისუფალ ცხოვრებისაკენ დაბრუნება. მაგრამ ამ იდეამ გამოძახილიც რომ ჰპოვოს, მას თვითონ ბუნებრივი პროცესები ეღობება წინ, რაც მოსახლეობის ზრდასთან შედარებით, მიწის სიმცირეში მდგომარეობს, ამისათვის საბოლოო მიზნად ისევ შრომის პირობების შეცვლა რჩება.

ყოველგვარი შრომა წარმოადგენს სხვადასხვაგვარ მოძრაობას. ეს მოძრაობა ხდება კუნთების საშუალებით, კუნთები კი არის მხოლოდ ხორცის მეცნიერული სახელწოდება, რომელიც ცალკე ძაფისაგან ან ბოჭკოსაგან შესდგება. საბოლოოდ, მუშაობა არის სხეულის სხვადასხვა ნაწილის კუნთების შეკუმშვა, რომლისთვისაც ძალაა საჭირო. ძალას მეცნიერულად ენერგიას ეწოდება, ძალას—ენერგიას—ნახშირი იძლევა, რომელსაც მეცნიერები ნახშირბადს უწოდებენ, ის მრავალგვარი ენერგია, რომელიც ჩვენ მოძრაობაში გვხვდება, მხოლოდ ძირითადი ნახშირის წვის ძალის შეცვლილი ენერგიაა; წინასწარ შეიძლება ადამიანმა გამოიანგარიშოს, თუ რამდენ ძალას მოგვცემს ნახშირის განსაზღვრული რაოდენობა, მაგალითად; ერთი გირვანქა ნახშირის დაწვისაგან ვღებულობთ იმდენ სითბოს, რამდენიც სამ ვედრო წყლის ასადუღებლად არის საჭირო.

რა არის ადამიანის ენერგიის წყარო? საჭმელი, რომლითაც იგი იკვებება. იგი გარეგნულად მართალია სამი ძირითად ნაწილისაგან შესდგება—ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები, მაგრამ არსებითად აღნიშნული სამი ნივთიერებაც მხოლოდ ნახშირბადის (ნახშირის) სხეულთა შენაერთს წარმოადგენს, ამას ნათლად ამტკიცებს ის, რომ ცეცხლზე გაჩერებული ხორცი ნახშირათ იქცევა. ამგვარად, მანქანისა და ადამიანის მოძრაობას ერთი და იგივე საფუძველი აქვს, მაგრამ ადამიანის განსხვავება მანქანიდან იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყველაზე გამძლე „მანქანაა". რომელიც ყველა სხვა მანქანათა უპირატესობით არის დაჯილდოვებული. ეს უპირატესობა არის თვით აღდგენის უნარი. თუ ფოლადის მანქანა აღუდგენელად იცვითება, სათუთი ქსოვილისაგან შემდგარი ადამიანის კუნთი სისხლის მიმოქცევის საშუალებით გარედ ისვრის გაცვეთილსა და მოწამლულ ნაწილაკებს და მის მაგიერ იღებს ახალს, ენერგიითა და საამშენებლო მასალით სავსე ნაწილაკებს.

წიგნის ეს ადგილი მეტად საინტერესოა.

საერთოდ ეს წიგნაკი, როგორც კარგი პოპულარული მეცნიერული ნარკვევი, მრავალ საინტერესო ცნობებს შეიცავს და მისი გამოცემა დროულია. ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, გონებრივი შრომის პირობების არა ამომწურავად განმარტება.

აღსანიშნავია მხოლოდ ცუდი თარგმანი. ჭრელდება როგორც დამახინჯებული სიტყვები: „ორგანება", „ნიტოობა", „ჯანჯილი", ისე მახინჯი კონსტრუქცია, უფერული, განმეორება: „კუნთების მუშაობა და სხვა ორგანოთა მუშაობა".

არეულია წიგნის ფურცლებიც, 67 გვერდიდან გადახვალთ 88 გვერდზე, 85—67 გვ.

ყ. მ.

რკინისგზებზე

რატომ დააგვიანა ჩქარ მატარებელმა

ჩქარი მატარებელი № 2 თბილისში უნდა მოსულიყო (ლენინგრადიდან) 23 დეკემბერს, მაგრამ ამ დღეს მატარებელი არ მოსულა. მატარებლის დაგვიანება გამოიწვია თოვლის ნამქრებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რუსეთის რკინის გზებზე.

შემთხვევა სადგ. მინგეჩაურში

24 დეკემბერს სადგ. მინგეჩაურიდან (ბაქოს ხაზზეა) სახ. მატ. № 13 გამოშვების დროს გამოსასვლელ ისარზე მატარებლის შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ერთი ვაგონი.

მემანქანემ დიდხანს ვერ შეამჩნია ვაგონის ჩავარდნა.

შემთხვევის ადგილზე ევლახიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელმაც მოძრაობა აღადგინა 2 საათის და 40 წუთის განმავლობაში.

სასროლო სპორტი

ბოლო ხანებში საქართველოში ძალიან განვითარდა სასროლო სპორტი. ამჟამად სოფლად და ქალაქად მოწყობილია 80-ით ტირი, სასროლო წრეების რიცხვი 200-მდე აღწევს.

სამხედრო ნაწილების გარდა, სასროლო საქმეს ხელმძღვანელობენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები. ეს უკანასკნელნი აწვდიან სასროლო წრეებს საჭირო მასალას, იარაღს, მიზნებს და სხვა.

ტირი მოწყობილი აქვთ აგრეთვე პროფკავშირებს თავის კლუბებში და სამხედრო კუთხეებში, სადაც დროგამოშვებით იმართება ვარჯიში და შეჯიბრი სროლაში. სროლაში მონაწილეობენ ქალებიც.

სავარჯიშო სროლის გარდა ტარდება მასიური სროლა მინდვრათ და ტაქტიკური მეცადინეობა სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობით.

სასროლო სპორტის განსავითარებლად გახზრახულია სამხედრო კუთხეების, ქოხ-სამკითხველოების, კლუბების და სასროლო წრეების უზრუნველყოფა თოფებით, ვაზნებით და საჭირო ხელსაწყოებით.

ავიაქიმში

ავიაქიმოსნების მეთაურთა კურსები

იმ მიზნით, რომ ავიაქიმის უჯრედები უზრუნველყოფილ იქნენ მუდმივი მეთაურთა შემადგენლობით, თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოაწყოს მათ მოსამზადებელი კურსები. კურსების დებულება უკვე დამტკიცებულია საზოგადოების ცენტრ. გამგეობის მიერ.

ავიაქიმი ტრანსპორტზე

გზათა სახ. კომისარიატმა და ავიაქიმის ცენტრ. გამგეობამ მიმართეს ტრანსპორტზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებს წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინჟინერ-ტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული ავიაქიმის საზოგადოების მასიური და სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობის საწარმოებლად. ამ პირთ, რომელნიც გამოიჩენენ აქტიობას ამ დარგში, მიეცემა ნება ისარგებლონ ლაბორატორიებით და სახელმძღვანელოებით სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობისათვის.

თათბირი

27 დეკემბერს ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმი თბილისში იწვევს [illegible] რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და დიდ მაზრების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მდივნების თათბირს.

თათბირის პროგრამაში შედის: მშრომელთა სამხედრო მომზადება, მოხსენებები ადგილებიდან, მასიური მუშაობა, ფინანსიური დისციპლინა, სექციების მუშაობა და სხვა.

ფიზკულტურა

მელითონეთა კავშირში

ფიზკულტურის განვითარების მხრივ მელითონეთა კავშირს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თბილისში. კავშირში ამჟამად ერთიანდება 18-მდე ფიზკულტურის წრე. მათ შორის ტანვარჯიშის—1, ძალოსნობის—1, სასროლო—5, ფეხბურთის—3, კალათბურთის—4 და ჭადრაკის—1. წრეებში მოვარჯიშეთა რიცხვი აღემატება 370 კაცს. მიმდინარე წელს უფრო უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ის ძალოსნები, რომლებიც ემზადებიან სპარტაკიადისადმი მონაწილეობის მისაღებად.

სამთა-მადნო მუშაკთა შორის

სამთო-მადნო მუშაკთა ფიზკულტურის წრეების მუშაობას წელს უფრო გაუმჯობესება ეტყობა შარშანდელთან შედარებით. საქპროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროში მოსულ ცნობებით, კავშირი ამჟამად აერთიანებს 15-მდე ფიზკულტურის წრეს. მათ შორის ტანვარჯიშობის—3, ძალოსნობის—1, ფეხბურთის—3, ჭადრაკის—1 და 7 სხვადასხვა წრეები. მოვარჯიშეთა რაოდენობა უდრის 210 კაცს. წრეები მუშაობენ რეგულიარულად. ხშირად იმართება ამხანაგური შეჯიბრები.

რადიო-გადაცემა

კვირა, 25 დეკემბერი

დღეს, 25 დეკემბერს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენება რელიგიური ცრუმორწმუნეობის შესახებ—ქართულ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სასოვაჭრო ბაზრის მდგომარეობა თბილისში—ქართულ და თურქულ ენებზე.

ობსერვატორიის ცნობა.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ორშაბათი, 26 დეკემბერი.

იყო თუ არა ქრისტე—ქართულ ენაზე.

დეკაბრისტების აჯანყება 1825 წელში—ქართულ და რუსულ ენებზე.

ქალების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში—სომხურ ენაზე.

საუბარი რადიო-ტექნიკაზე—რუსულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

უმუშევრობის ლიკვიდაციაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს უმუშევართა კოლექტივების ორგანიზაციას. ამ დღეებში შრომის ბირჟასთან ჩამოყალიბდა ყუთების დამამზადებელი კოლექტივი „ხის დამმუშავებელი". რომელშიაც დღეიდან იმუშავებს 15 კაცი, ხოლო 23 დეკემბრისათვის შემატება კიდევ 6 კაცი. კოლექტივის ორგანიზაციისა და ინვენტარის მოწყობისათვის დახარჯულია 920 მანეთი. სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებთან დადებულ ხელშეკრულებებით, კოლექტივი დაკვეთებით უზრუნველყოფილია 6 თვით. ჯერ-ჯერობით მიღებულია 56.000 [illegible] ყუთებზე.

პარტიული კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს 26 დეკემბერს ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის ქალ. ორგანიზატორების თათბირი.

ყველა ქალ-ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა შესდგება ორშაბათს, 26 დეკემბერს. საღამოს ზუსტ 6 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის—ამხ. სვანიძის კაბინეტში. ხსენებულ კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ბარბარე გიორგის ასული ცაგარლისა, შვილი ანტონ ივანეს-ძე, ნინო გიორგის ასული, რევაზი მიხეილის-ძე და ვახტანგი რევაზის-ძე რუსიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 22 დეკემბერს გარდაიცვალა

ივანე ანტონის-ძე ცაგარელი

პანაშვიდი შაბათს, 24 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, კვირას, 25 დეკემბერს, დღის 12 ნახ. საათზე. ბინა: ვერა—მარტის ქუჩა, (ყოფ. ბოგოსლოვისა, სახლი № 6 889 2—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამი, შვილები: [illegible] გიორგი, ნინო და ძმა ალექსანდრე, [illegible] ოჯახით, რძლები: თინათინი [illegible] (ვაჟა ფშაველას ქვრივი) ოჯახით და მისი ობლები; შვილიშვილები: ეთერი, ნინა, გუგული და ვახტანგი რაზიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ა. წ. 17 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ალექსანდრეს საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი მამა მგოსანი

ნიკო პავლეს-ძე რაზიკაშვილი
(ბაჩანა)

დაკრძალვა მოხდება დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—კვირას—დეკემბრის 25 შუადღის 1 საათზე. გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან ივ. მაჩაბლის ქ. № 13. 862

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აუწყებს საზოგადოებას, რომ კავშირის წევრის დამსახურებული პოეტის და სახალხო მასწავლებლის

(ნიკო რაზიკაშვილის)
პოეტ ბაჩანას

დაკრძალვა მოხდება დღეს, დეკემბრის 25-ს, დიდუბის პანთეონში გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან დღის 1 საათზე. 899

ხელოვნების სასახლე და სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დეკემბრის 17-ს, გარდაიცვალა

პოეტი ბაჩანა

დაკრძალვა მოხდება დღეს, დეკემბრის 25 ს, დიდუბის პანთეონში, გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან, დღის 1 საათზე 899

1-ლი სამრეწველო ეკონომიური ტექნიკუმის მასწავლებლები და მოწაფენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, ამავე ტექნიკუმის ყოფილი მოწაფის

ანიკო კვირიკაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, გამოსვენება დღეს, 12 საათზე, საკუთარ ბინიდან (ბუფერის შესახვევი № 10) კუკიის სასაფლაოზე. 892

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე პორფილე თეძურაზისძე უჩამეიშვილი პაპატინა შვილებით კარლო, ლუბა და ანგელინა, მასთან დედა თეკლე, და მარო, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

იულია ჯანჯღავა-უჩამეიშვილის

გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. უკანასკნელი გამოთხოვების და გასვენების დღეა სამშაბათი, 27 დეკემბერი, 12 საათზე ქალ. სამტრედიაში ორპირის ქუჩაზე, საკუთარი სახლი № 66 891

მიიღება ხელის მოწერა „კომუნისტი" 1928 წლისათვის

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ.—კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 „ — „	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ — „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ — „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ — „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით.	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მანეთი

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ დოლარი
3 „	4 „
6 „	8 „
1 წლით	16 „

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34.

0 1

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1928 г.
НА БОЛ. ЕЖЕДН. КРАЕВ. ГАЗЕТУ
ЗАРЯ ВОСТОКА
ОРГАН ЗАККРАЙКОМА ВКП (б) и ЗАКЦИК'а
7-ой ГОД ИЗДАНИЯ.

„ЗАРЯ ВОСТОКА" на своих страницах освещает вопросы внутренней и иностранной политики, партийной, рабочей и профессиональной жизни, советского строительства, деревни и крестьянства, борьбы с бюрократизмом, рационализации аппарата, повышения производительности труда, экономической жизни: декреты и постановления Закавказского правительства.

„ЗАРЯ ВОСТОКА" единственная газета, которая дает большую информацию по Ближнему Востоку.

„ЗАРЯ ВОСТОКА" имеет своих собственных корреспондентов в Париже, Берлине, Лондоне, Варшаве, Будапеште, Праге, Вене, Бухаресте и др. На Востоке: в Стамбуле, Ангоре, Смирне, Эрзеруме, Тейране, Тавризе и Кабуле.

„ЗАРЯ ВОСТОКА" имеет своих собственных постоянных корреспондентов по всему ЗСФСР.

УСЛОВИЯ ПОДПИСКИ ВСЮДУ С ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ

Льготн. (для рабоч., служ., крес., красноарм. и уч.):

На 1 год	10 руб.—коп.
На 9 месяцев	8 „ 35 „
На 6 месяцев	5 „ 50 „
На 3 месяца	2 „ 85 „
На 1 месяц	1 „ — „

Общая (для учрежд., организ. и частн. гражд.):

На 1 год	13 руб. 50 коп.
На 9 месяцев	10 „ 50 „
На 6 месяцев	7 „ — „
На 3 месяца	3 „ 60 „
На 1 месяц	1 „ 25 „

Заграницу на год—15 дол., на 6 месяцев—8 дол. и на один месяц—1,5 доллара.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

В ГЛАВНОЙ КОНТОРЕ—Тифлис, просп. Руставели, № 8.
В ЭКСПЕДИЦИЯХ И-ва—
СПЕЦИАЛЬН. УПОЛН.—снабжен. соответств. удостов.
КОНТРАГЕНТАМИ И-ва—
ПОЧТОВО-ТЕЛЕГРАФН. ПРЕДПРИЯТ. ЗСФСР.—

ქ. ბაქოდან დაბრუნდა და მსგავსათ წინა წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.)

მათემატიკის მასწავლებელი
ი. მაჩაიძე

ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდან: ალექსის ქ. № 5), 2—7 ს. კვირა უქმე დღეებიდან 9—12 3—5. 10—3

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონის და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ვ. კანტოროვიჩი

მიღება 11-დან 3 დე და 6 დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით. საბა-სულხანის ქ. № 4 (ყ. ფოლიცინისა)

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. [illegible] ავადმყოფებია მიიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—15

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ექიმი
კ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

მუშა

მიიღება ხელისმოწერა 1928 წლისათვის

საკ (ბ) ტ. კ., ტფ. აღმასკომის და ს. პ. კ. ს. ორგანო

თვიური ხელისმომწერლები მიიღებენ უფასოთ ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ტარტაროზი"-ს

რედაქცია: კამოს ქ., № 68, ტელეფონი № 9—08. მთავარი კანტორა: ჯორჯიაშვილის ქ., № 6, ტელეფონი № 24—03.

ხელისმოწერის პირობები:

კოლექტ. ხელისმომწერთათვის:

1 თვით	80 კ.
3 „	2—30 „
6 „	4—40 „

ინდივიდ. ხელისმომწერთათვის:

1 თვით	1—00
3 „	2—85
6 „	5—50

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. გურჯაანი — ადგილკომში ამხ მოვნაძესთან ადგ. გურჯაანისა და ახლო მდებარე რაიონებისათვის
2. სიღნაღი — განყ. გამგე მდივანოვთან სიღნაღის მაზრისათვის
3. თელავი — განყ. გამგე რევაზოვთან მთელი თელავის მაზრისათვის
4. გორი — ფ.-ტ კანტორა.
5. ხაშური — მ. გოგუაძესთან.
6. სურამი — გამომც. „შრომა"-ს სააგენტ.
7. ბორჯომ ბაღი — ამხ. ლომსაძესთან ადგ. კიოსკში
8. აბასთუმანი — ფ.-ტ კანტორა.
9. ახალციხე — ფ.-ტ კანტორა.
10. ახალქალაქი — ფ.-ტ კანტორაში.
11. შიათურა — განყ. გამგე გ. გოგელიახთან მთელი შორაპნის მაზრისათვის
12. ზესტაფონი — რწმუნებ. ცხომელიძესთან. ზესტაფონი, აჯამეთი და მისი ახლო მდებარე რაიონებისათვის.
13. სვირი — რწმუნებულ ფხაკაძესთან.
14. თერჯოლა — სამკითხველოს გამგე ამხ. ნემსიწვერიძესთან.
15. ჩხარი — ამხ. გამთენაძესთან.
16. რიონი — გოცირიძესთან.
17. ქუთაისი — შავდიასთან.
18. წყალტუბო — ბერიშვილთან.
19. ტყიბული — გველესიანთან.
20. სამტრედია — განყ. გამგე ლ. გოკ-ლიასთან. სამტრედია და ახლო მდებარე რაიონისათვის.
21. სამიქაო — ამხ. დ. თელიასთან—ქარხნის მუშებისა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
22. ხონი — წიგნის მაღაზია მინა ჭავჭანიძესთან.
23. აბაშა — განყ. გამგე მიქაძესთან აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
24. ახალ სენაკი — [illegible] გრიგოლიასთან. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისათვის
25. ზუგდიდი — პოლიტგანის კიოსკში კ. კოლასონიასთან.
26. ფოთი — „მუშა"-ს განყოფილება მგალობლიშვილთან.
27. ლანჩხუთი — რწმუნებ. შ. ძლონტთან—ლანჩხუთი, ნიგოითი, ჯუმათი და მისი ახლო მდებარე თემებისათვის.
28. ოზურგეთი — დოლიძესთან.
29. ბათომი — ფ.-ტ კანტორაში.
30. სოხუმი — ფ.-ტ კანტორაში მთელი აფხაზეთისათვის.
31. ოჩემჩირე — ფ.-ტ. კანტორა.
32. გაგრი — ფ.-ტ კანტორა.
33. გალი — ფ.-ტ. კანტორა.
34. ბაქო — ფ.-ტ. კანტორა.

და ყველა ა.-კ. ფ.-ტ. კანტორებში.

ქ. თბილისში მიიღება ხელისმოწერა გაზეთ „მუშა"-ზე ლენინის რაიონში არსებულ გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს განყოფილება. საბჭოს ქ. № 112, ტელ 12—77. კანტორა ღიაა ყოველდღე 8—11 საათამდე და 12—3 საათამდე

„მუშა"-ს მთავარი კანტორა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1928 г.
на ежедневную массовую рабочую газету
РАБОЧАЯ ПРАВДА
Орган: ЦК и ТК КП (б) Г., СПСГ и Тифл. Сов. Р. К. и К. Д.
— 6-ой год издания —
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ С ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ

Для рабочих, служащих, крестьян, красноармейцев и учащихся

На 1 год	8 руб. 50 коп.
На 9 месяцев	6 руб. 70 коп.
На 6 месяцев	4 руб. 40 коп.
На 3 месяца	2 руб. 30 коп.
На 1 месяц	— 80 коп.

Для учреждений, организаций и частных лиц

На 1 год	11 руб.
На 9 месяцев	9 руб.
На 6 месяцев	6 руб.
На 3 месяца	3 руб.
На 1 месяц	1 руб. 10 коп.

Заграницу 1 год—11 дол., на 6 мес.—5,5 дол., на 3 мес.—3 дол., на 1 мес.—1 дол.

—ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:—

В Главной Конторе—Тифлис, проспект Руставели, 14.
Ленинском отделении—Тифлис, Советская ул. № 112.
Уполномоченными—по всей линии ЗКВ ж. д. и по предприятиям—снабженными соответствующими удостоверениями.
Контрагентами и во всех почтово-телеграфных предприятиях Закавказья.

1928 წლის 1 იანვრიდან

იწყებს გამოსვლას ს ს ს.რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის

ორკვირეული ორგანო

„საბჭოთა სამართალი"

„საბჭოთა სამართალი" ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი" დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვადასხვა მუხლების ახსნა-განმარტებებით და კომენტარიებით.

„საბჭოთა სამართალი" დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი ექნება ადგილი პენიტენციალურ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის მუშაობას.

გარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში იქნება აგრეთვე შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულიარები), ფოსტა, განცხადებები და სხვა.

ჟურნალში თანამშრომლობენ შემდეგი ამხანაგები: (ანბანზე) ალხოვი, ამაღლობელი ს.; ანდრონიკაშვილი ლ.; გაბაზოვი გ.; გაბაშვილი; გალუსტიანი; დოლიძე თ., მარდანიანი, ვარძიელი ი., იუზბაშევი, კაჭარავა ა., კოსტავა ა., ლუნკევიჩი, მახარაძე ფ., მესხიშვილი, მიქელაძე კ., ნანეიშვილი, ნუცუბიძე შ., როინიშვილი ი., რცხილაძე გ.; სიჭინავა ი.; სურგულაძე ი.; ტალახაძე ი.; ტატიშვილი მ.; ქავთარაძე პ.; ქორქაშვილი მ.; შავერდოვი, შურღაია ლ.; ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი.

სარედაქციო კოლეგია: ი. ტალახაძე, ა. კაჭარავა. პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინიშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან 6 თვით—5 მ. 50 კაპ. 3 თვით—3 მან. ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

რედაქციის და კანტორის მისამართი: თბილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, ტელ. № 13—68.

ნ. 384

ერთდროულად კინო-თეატრებში

სამშაბათიდან
27
დეკემბრიდან

სოლეი
მინიონი

პარიზის
ახალი კინო-სურათი
კულისებში
ულამაზესი ქალის
მარჩელლა ალბანისა
და
ვერნერ პრაუსის
მონაწილეობით

ნ. 389

გაზ. „კომუნისტ"-ზე

ხელისმოწერა მიიღება ქუთაისში

ჟურნალ-გაზეთების კანტორაში

მინა სიმონის-ძე ტუაგლაძესთან

როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 64.

გაზეთის დამტარებელ თეიმურაზ მეგრელიშვილთან, გრიშა ლომიძესთან, ვასო შვანგირაძესთან და იულო მეგრელიშვილთან.

სადგურ ქუთაისის კიოსკი—ილია ხახელაშვილთან.

სადგურ რიონის კიოსკი—კონსტანტინე ჟორჟოლიანთან.

ტყიბულში—მაღაროებში გველეხიანთან.

ტყიბულში (ქალაქში)—აბაიშვილთან.

ქუთაისის რკინისგზის საყუდი—ზოხიაშვილთან.

ბაღდათში—პროფბიუროში ჩიქვინიძესთან.

წყალტუბოში—პეიშვილთან.

ნ. 378 3—1

დაარსებულია 1926 წ.

სახელგამის
კონტრაგენტი
ამხანაგობა
„წიგნი"

დაარსებულია 1926 წ.

ამხანაგობის მიზანია ბეჭვდითი ნაწარმოების გავრცელება საქართველოში და საქართველოს გარეშე მცხოვრებ ქართველებში. ამხანაგობას ესაჭიროება

პასუხისმგებელი აგენტები საქართველოს ყველა ქალაქებში და თემებში

ამხანაგობა თავის აგენტებს მიაწოდებს ყოველგვარ წიგნებს, ყველა ჟურნალ-გაზეთებს, საკანცელარიო ნივთებს, საბავშვო სათამაშოებს, მუსიკალურ და ფიზკულტურის საგნებს. გარდა ამისა, თანახმად ყველა გაზეთების კანტორებთან დადებულ ხელშეკრულებისა ამხანაგობა „წიგნი" მიაწოდებს თავის აგენტებს გაზ. „კომუნისტს", „მუშას" და „ახალ სოფელს".

აგენტებს ეძლევათ პროცენტები.

ამხ-ბა „წიგნი"-ს გამგე დ. მიქელაძე

მისამართი: თბილისი ჯორჯაძის ქ. № 1. 2-1 ნ. 385.

---

31 დეკემბერს 1927 წ. დილის 11 საათზე

№ ქართული საარტ. ლეგიონი გაყიდის

11 დაწუნებულ ცხენს

თანახმად ს.რ.ს. ბრძანებისა 1925 წ. № 477 ვაჭრობა მოხდება საბურთალოზე. პირველ რიგში ცხენები შეიძლება გადაიცვალოს ვარგის ცხენებზე, მერმე მიეცემა დაბალ ფასებში ყოფილ წ.-არმ. ზედმეტ მსახურთ, გლეხკომების საშუალებით ყოფილ წ.-არმიელების ოჯახებს, ღარიბ გლეხებს და სხვა. საჭიროა წარმოდგენა სათანადო საბუთების. 896

მთელი მსოფლიო

სარგებლობს სატრანსპორტო რეკლამით, როგორც ყველაზე უფრო რაციონალური და ხელსაყრელი რეკლამით

პლაკატები და აფიშები რკინისგზის სადგურებზე,
პლაკატები ნავთსადგურებში,
პლაკატები ვაგონებში,
პლაკატები გემებზე

საუკეთესო შედეგებს იძლევიან პროდუქციის გასაღების საქმეში

სატრანსპორტო რეკლამის მონოპოლია ეკუთვნის:

საკავშირო კანტორას „ტრანსრეკლამა"—გზათა კომისარიატთან არსებულ—წყალზე მშველელთა კომიტეტი.

მთავარი კანტორა:—მოსკოვი, ცენტრი, ლუბიანსკის გასავალი.

წარმომადგენლობანი: ლენინგრადი, კიევი, სიმფეროპოლი, როსტოვი (დონზე), თბილისი, ირკუტსკი, მინსკი, ოდესა, ხარკოვი, ბაქო, ტაშკენტი, ხაბაროვსკი, ნ.-ნოვგოროდი, სვერდლოვსკი, სამარა, რასტოვი, ნ.-ნიკოლაევსკი, ორენბურგი და სხვ.

მხოლოდ და მხოლოდ „ტრანსრეკლამას" აქვს უფლება გააკრას პლაკატები და განცხადებები თბილისის ტრამვაის ვაგონებში და ს ს.რ.კ. სხვა ქალაქების ტრამვაის ვაგონებში

78

ა.-კ. წარმომადგენლობა. თბილისი, რუსთაველის პრ. № 27 წყალზე მშველელთა ამ.-კავ. კომიტეტი.

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

„მნათობი"

„მნათობში" მონაწილეობენ ქართული მწერლობის და მეცნიერების საუკეთესო ძალები. ჟურნალს საკუთარი თანამშრომლები ჰყავს მოსკოვსა და ლენინგრადში.

1928 წლის 1 იანვრიდან „მნათობი" იწყებს თავისი არსებობის მეხუთე წელს.

ფასის დაკლება იმ მიზნით, რომ „მნათობი" გახდეს ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი, რედაქციამ და გამომცემლობამ დაადგინეს 25% გაიაფონ ჟურნალის წლიური ხელისმოწერა, ხოლო ჟურნალის მოცულობა დარჩება უცვლელი.

ამიტომ 1928 წლისთვის „მნათობი" ეღირება.

ერთი წლით—12 მანეთი 3 თვით—3—50
6 თვით 6 მან. ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

წლიურ ხელისმომწერთ ფასი შემოაქვთ შემდეგ ვადებში: ხელისმოწერის დროს 3 მანეთი, ხოლო სამ-სამი მანეთი 30 მარტს, 30 ივლისს და 15 ნოემბერს.

დაიწყო ხელისმოწერა 1928 წლისთვის, ხელისმოწერას ღებულობს სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის ყველა მაღაზია, ცენტრ. საქართველოში პერიოდ-სექტორი და აგრეთვე კერძო აგენტები, რომელნიც იქნებიან სათანადო მანდატით.

რედაქციის მისამართი. თბილისი, რუსთაველის გამზ. 23 სახელგამი.

ნ 390

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

იწვევს იმ პირთ და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა

საჯარო ვაჭრობაში

რომელიც დანიშნულია 27 დეკემბერს, დღის 2 საათზე, თბილისის გამასწორებელ სახლებისათვის ერთი წლის განმავლობაში ხორცის და მწვანეულობის მისაწოდებლად, სახელდობრ: ხორცის, კართოფილის, ლობიოს, ხახვის, მწვანილის, საჭმელი ზეთის და სხვა. იჯარა შეიძლება აღებულ იქნეს ერთის მიერ ყველა სანოვაგეზე და ნაწილობრივად, იჯარის პირობების და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნობებს იძლევა შინსახკომისარიატი ყოველ დღე.

წერილობითი განცხადება მიიღება შინსახკომის საფინანსო ნაწილში 27 დეკემბრამდე დახურულ კონვერტში წარწერით: 27 დეკემბრის საჯარო ვაჭრობისათვის.

განმეორებითი შეჯიბრება სამი დღის შემდეგ.

ნ. 391 შინსახკომისარიატი

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. კ. ჯინჯელაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 28 დეკემბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 9 ნეკრასოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით და სოფიო მამულოვების მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს, კედლის სარკეს, სკამებს, კამოდს და სხვას შეფასებულს 360 მანეთად, მარიამ ბადრიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 24 ნოემბრის 1927 წ. თარიღით, № 3921 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეძლებულ ფასებიდან. ნ 387

აპოლო	არფასიტო	სოლეი	დარვაზი
მონოპოლიურად მხატვრული ფილმი „ბელვერდის ჩრდილები" (ჩილობი ახდილია)	უკანასკნელი დღე „რა საჭიროა ცოლის გამოცვლა" სამშაბათიდან „მონტე-კარლოს ალხასრული"	პირველად თბილისში „ტყის ნადირი" დღეს დამატებითი სეანსი. დასაწყისი საღამოს 5 საათზე ყველა ადგილები 20 და 30 კ.	უკანასკნელი დღე პოეტი და მეფე დღეს დამატებითი სეანსი დასაწყისი საღამოს 5 საათზე ყველა ადგილები 20 კ.

ცირკი „კოლოს" ტელ. 1—29

პარასკევს 23, შაბათს 24, კვირას 25 დეკემბერს

განსაკუთრებული სანახაობანი

10 ახალი ატრაქციონი 10

პროგრამის მთავარი ნაწილი: მსოფლიო ბალანსის ნიმუში იაპონელები „სიმადო"

პირველი ქართველი მწვრთნელი ცხომელიძე და ყველა თქვენი საყვარელი ცხოველები.

კვირას, 25 დეკემბერს დღის სანახაობა სრული საღამოს პროგრამით ყველა ახლად ჩამოსულ №№ მონაწილეობით, დასაწყისი დღის 2 საათზე.

დირ. ი ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზენსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე

ნ. 373 3—1

მატარებლების გაუქმება და დანიშვნა

ა.-კავკ. რკინისგზების გამგეობა

იუწყება, რომ 26 დეკემბრიდან ახალ ცნობამდე სამგზავრო მატარებლები № 5—6 თბილისი—ბათომი და № 13—14 თბილისი ბაქო მოხსნილია. იმავე 26 დეკემბრიდან მატარებელი № 13—14 თბილისი—ბათომი ივლის შეცვლილი განრიგებით, სახელდობრ: მატარებელი № 14 თბილისიდან გადის საღამოს 10 საათსა და 40 წუთზე, ჩადის ბათომში დღის 12 საათზე, მატარებელი № 13 ბათომიდან გამოდის საღამოს 8 საათსა და 05 წუთზე. თბილისში ჩადის დილის 10 საათსა და 07 წუთზე ადგილობრივ დროით. ნ 380 2—

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 28 დეკემბერს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 20 კოლუბანის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ ნონიევის მოძრავ ქონებას: სამოცი ვედრა თეთრი ღვინოს კასრიანად შეფასებულს 195 მანეთად, გრიგოლ ტატინიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 29 ნოემბ 1927 წ. თარიღით, № 2375 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 893

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. დ. ლომთაძე

აცხადებს, რომ 10 იანვარს 1928 წ. დღის 12 საათზე ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფ. ობჩაში მდებარე (ქუთაისის მაზრაში), ალექსანდრე მიხეილის-ძე გამყრელიძის ძველ სახლს უჭეროს და უიატაკოს, დახურული ყავრით, შეფასებული 210 მან., დასაკმაყოფილებლად ვერა ნიკოს ასულის ბებიაშვილის ფულადი გადასახადისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 388

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 დეკემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 15 ლერმონტოვის ქ და 1 საათზე სიონის ქუჩაზე, შეშის საწყობში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გრიგორი აბაშიძის მოძრავ ქონებას: ლერმონტოვის ქუჩაზე ერთ კუბ. საჟ. შეშას და სიონის ქ. 2 საძი მერვედი კუბ. საჟ. შეშას შეფასებულს 170 მანეთად, მერკურკრედიტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 5 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2271 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 898

დაკარგა მშენებელ მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი ვლადიმერ ჯალალონიას სახელზე, ჩ. გ. [illegible]

დაკარგა მარტვილის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ გაცემული პირადი წიგნაკი ფორმა № 4, № 49 ამბროსი გაბისონიას სახელზე, ჩ. გ. 901

დაკარგა განკავშირის წიგნაკი № 8679, ანა ტაბატაძის სახელზე, ჩ. გ. 900

დაკარგა საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 14 | 519 სიმონ აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 897

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 28 პარმენ გიორგის-ძე სულაძეს სახელზე, ჩ. გ. 894

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 19470—ნესტორ ლექენიძეს სახელზე, ჩ. გ. 895

დაკარგა პატენტი № 975 იესე სიმონის-ძე ძიძიშვილის სახელზე. ჩ. გ. 865

ПРОМЫСЛОВОЕ КООПЕРАТИВНОЕ Т-ВО РАБОЧ. и СЛУЖАЩ.

Парфюмерной фабрики

быв. А. М. ОСТРОУМОВА

Москва, 33 Гжельский пер. 13.

Требуйте везде!



Требуйте везде!

КРЕМ, МЫЛО ПУДРА „Метаморфоза"

КРЕМ и МЫЛО „Чистотел"

МЫЛА:

1) Чередовое детское,
2) От головной перхоти
3) Рондо (круглое)

НОВОСТЬ!!! „САЛОМЕЯ" „Мои грезы" ПУДРА

Остерегайтесь подделок!!!

Б. 225 3-3

საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"

ბალანსი

აქტივი. 1927 წ. 1-ლ იანვრისთვის. პასივი.

აქტივი		
I. ქონება		
შენობები და ნაგებობანი	436.222 56	
მოწყობილობა და მანქანები	262.949 85	
იარაღი	2.634-01	
სამეურნეო ინვენტარი	68.073—95	
კულტურული მცენარეები	3 336.261—47	4 106 141—74
II. დაუმთავრებელი შენობები		32.721—65
III. დაუმთავრებელი კაპიტალური შეკეთება		2.117—94
IV. მასალები:		
დამხმარე მასალა	43 824-35	
სათბობი მასალა	2.857—23	
შესაკეთებელი და საამშ. მასალა	35.117 87	81.799 45
V. დაუმთავრებელი დამზადება		20—26
VI. ნახევარ-ფაბრიკატები საწყობებში		2.547—20
VII. საქონელი.		
საქონელი გამგეობის და განყოფ. საწყობებში	117 031—36	
საქონელი გადაცემული საკომისიოთ	47.294—00	164.325—36
VIII. ფულადი სახსარი:		
სალარო	1.990—47	
სახელდახელო ანგარიშები	235.935—48	237 925—95
IX სხვა დაწესებულებათა აქციები და პაები		1.500—00
X. ანგარიშ-სავალდებულო თანხები		4.031—93
XI. სამისალებო თამასუქები და საბუთები		
განაღდებული თამასუქები		3.150—00
XII. დებიტორები		
მუშა-მოსამსახურენი	815—75	
მყიდველები	249.570—72	
სხვადასხვა დებიტორები	91 88—25	342.267—72
XIII გაუნაღდებელი აქციები		149.000—00
XIV. მომავალ წლების ხარჯები		63.833—03
ბალანსი		5.191.382—23

პასივი		
I თანხები:		
სააქციო თანხა	5.000 000—00	
საამორტიზაციო თანხა	55.617—34	5 055.617—34
II. ბანკები განაღდებულ თამასუქებით		3.150 00
III კრედიტორები:		
მუშა-მოსამსახურენი	18 98	
გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი	50.564—73	
სხვადასხვა კრედიტორები	13.673—12	64.256—83
IV. მოგება.		
საანგარიშო წლის მოგება		68.358 06
ბალანსი		5.191.382—23

ბალანსის იქით მუხლები

აქტივი		პასივი	
იჯარით აღებული ქონება	34.551—60	მოიჯარადრენი	34.551—60

მოგება-ზარალის ანგარიში

დებეტი		
1. სავაჭრო ხარჯები	მან. 61 526—35	
2. საერთო-ადმინისტრ. ხარჯები	„ 74.153—74	
3. საქონლის დანაკლისი	„ 60—79	
4. შემთხვევითი ხარჯები	„ 22.578—33	
5. საავრიკულტ. ღონისძიებ. ხარჯები.	„ 22.445—73	
6. მიწადმოქმედების ხარჯები	„ 5.257—05	
7. ქონების და კულტ. მცენარ. ამორტიზ.	„ 55.617—34	241 639—33
სალდო—სუფთა მოგება		68.358—06
ბალანსი		მან. 309.997—39

კრედიტი	
1. მოგება საქონ. რეალიზაციიდან	მან. 286 608—82
2. მიღებული პროცენტები	„ 15.424—34
3. დამხმარე მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შემოსავალი	„ 7 963—93
4. შემთხვევითი შემოსავალი	„ 0—30
ბალანსი	მან. 309.997—39

ეს ბალანსი დამტკიცებულია საქართველოს ს.ს რ. სამეურნეო ორგანოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 4 § 10—1927 წ. ივლისის 11-ს თარიღით).

გამგეობის თავმჯდომარე ა. ქავთარაძე

მთავარი ბუხჰალტერი ა. აუცე

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კ. ჩხენკელი

ნ. 370